4

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

თბილისი
2003

გზამკვლევი გამოცემულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და IRIS-საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს USAID-ის პოზიციას.

სარედაქციო კოლეგია:

რედაქტორები: ნანა ფრუშიძე
ლალი ჩხეტია
აეტორები: თამარ გურჩიანი
სიმონ პაპუაშვილი
ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ქალდანი

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

კრილოვის ქ. 15
თბილისი 0102, საქართველო
(+995 32) 93 61 01

ტირაჟი 400 ცალი

აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გავრცელება ან გაყრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

© 2001, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ISBN 99940-729-2-7

შინაარსი

ნინასიტყვაობა 4

1. შესავალი 5

2. რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები 7

3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ევროპის სასამართლოს პრაქტიკა 31

4. რელიგიური გაერთიანებები 49

5. რელიგია და განათლება 58

6. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკა:

   – ბუსკარინი და სხვები სან მარინოს წინააღმდეგ (1999) 64

   – ჩაარე შალომ ვე ტსედეკი საფრანგეთის წინააღმდეგ (2000) 67

   – ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ (1993) 74

   – კალაჯი თურქეთის წინააღმდეგ (1997) 79

   – კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ (1993) 85

   – ლარისისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (1996) 91

   – მანუსაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ (1996) 96

   – ვალსამისები საბერძნეთის წინააღმდეგ (1996) 98

   – ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (1994) ..102

7. ამონაკრები საერთაშორისო აქტებიდან 105

8. ამონაკრები საქართველოს კანონმდებლობიდან 112

9. გამოყენებული ლიტერატურა 133

წინასიტყვაობა

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია. ეს უფლება მორწმუნეთა ცნობიერებისა და მათი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ერთ-ერთ სასიცოცხლო ელემენტია და, ამასთანავე, იგი ფასეულია ათეისტებისა და იმ პირებისათვისაც, რომელნიც ინდიფერენტულნი არიან რელიგიისადმი. რელიგიური თავისუფლება ასევე მოიცავს „რელიგიის გამომჟღავნების თავისუფლებასაც" როგორ ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ.

დღეს საქართველოში აქტუალურ თემად იქცა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება. მიმდინარეობს დისკუსია და მსჯელობა რელიგიის შესახებ კანონის მიღების საჭიროებაზე. პარლამენტის წევრების, ექსპერტთა ჯგუფის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ რამდენიმე კანონპროექტია შემუშავებული.

არაერთი სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია თუ არასამთავრობო ორგანიზაცია გამოეხმაურა საქართველოში რელიგიის შესახებ კანონის შექმნის იდეას. ზოგი ამ კანონს პანაცეად მიიჩნევს, ზოგი კი ფიქრობს, რომ კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში საკმაოდ ნათლად არის ჩამოყალიბებული რელიგიის, რწმენისა და სინდისის თავისუფლების კონცეფცია, კანონმა კი უნდა განსაზღვროს რელიგიური ორგანიზაციებისა თუ კონფესიების სტატუსი, რეგისტრაციის წესი და სხვა.

წინამდებარე გზამკვლევის მომზადებით ჩვენ მიზნად დავისახეთ, საზოგადოების სამსჯავროზე გამოგვეტანა აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო ნორმები და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკა. მიმოგვეხილა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება რელიგიური გაერთიანებების სტატუსისა და საკუთრების ფორმებთან დაკავშირებით. ასევე გვინდოდა, მსჯელობის საგნად გვექცია რელიგიისა და განათლების ურთიერთკავშირი.

ვფიქრობთ, დღეს, როცა საქართველოში დემოკრატიული განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო და ევროპასთან ინტეგრირებას ვესწრაფვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების პატივისცემა და დაცვა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს გზამკვლევი მცირე წვლილს მაინც შეიტანს სამართლიანი და დემოკრატიული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებასა და განხორციელებაში.

თამარ ქალდანი

1. შესავალი

ტერმინების: აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის მნიშვნელობა

რელიგიის თავისუფლებაში მოაზრებული ტერმინები: „აზრი", „სინდისი", „რელიგია" და „რწმენა" - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრაქტიკამ თავისებურად განმარტა, რითაც საინტერესო გახადა არა მათი ეტიმოლოგიური, არამედ სამართლებრივი მნიშვნელობა და ურთიერთმიმართება.

ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო აქტში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ბირთვს წარმოადგენს მათი აბსოლუტურად კერძო ხასიათი. სინდისის თავისუფლება შინაგანი თავისუფლებაა და მას ჯერ კიდევ რეფორმაციის დროს ეწოდა „სამზარეულოს თავისუფლება" („свобода кухньи"). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს მის კერძო ხასიათზე, რამაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებში ჰპოვა ასახვა. აზრისა და სინდისის თავისუფლება მოიცავს ყოველი ადამიანის თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ ჰქონდეს, მიიღოს ან აღიაროს რელიგია ან მრწამსი, როგორ ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ. შეასრულოს და გამოხატოს საკუთარი რელიგია ლოცვით, ქადაგებითა და სწავლებით ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედების გარეშე. სულიერი და მორალური ეგზისტენციის ეს უფლება მჭიდრო კავშირშია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-17, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-8 და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების (The right of privacy ან private life) უფლებასთან, რომელიც გულისხმობს ადამიანური ეგზისტენციისა და ავტონომიის სფეროს. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სხვა ადამიანების თავისუფლებისა და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლებით.

აზრისა და სინდისის თავისუფლება, ისევე როგორც რელიგიური შეხედულებების შეცვლის უფლება, არ შეიძლება სახელმწიფოს რეგულირების საგანი გახდეს. „სახელმწიფომ შეიძლება მოაწესრიგოს რელიგიის მხოლოდ გარეგანი გამოვლინება."[1] სინდისისა და აზრის თავისუფლება გულისხმობს ყოველი ადამიანის უფლებას, იცხოვროს სხვა ადამიანთა სინდისთან ჰარმონიაში, რაც ნიშ-

[1] Human Rights Ceneral Coment #22(48)

ნავს იმას, რომ იგი სინდისის აბსოლუტური თავისუფლებით სარგებლობს მანამ, სანამ სხვათა თავისუფლებას არ შეეხება.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18, ევროპის კონვენციის მე-9 და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-18 მუხლში მოცემული ტერმინი „რელიგია და რწმენა" სათავეს ერკოტ კრიშნასვამისაგან იღებს. მან როგორც დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის ქვეკომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა, 1956 წელს პირველად გამოიყენა „რელიგია და რწმენა" - ეს ორი ტერმინი ერთად, რაც გამართლებული იყო იმითაც, რომ ისინი მოიცავენ სხვადასხვა თეისტურ მრწამსს, ისეთ რწმენას, როგორიცაა აგნოსტიციზმი, თავისუფალი აზრი, ათეიზმი და რაციონალიზმი. ტერმინი „რწმენა" არარელიგიურ მრწამსსაც გულისხმობს. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ 1993 წელს გამოცემულ ზოგად კომენტარში[2] კი საუბარია იმაზე, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-18 მუხლი იცავს რელიგიურ, არარელიგიურ და ათეისტურ რწმენას ისევე, როგორც უფლებას, არ აღიარო არც ერთი რელიგია და მრწამსი, რითაც ხაზი გაესვა ამ ტერმინების ფართოდ განმარტების საჭიროებას. ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მნიშვნელობა არა აქვს რელიგიისა და რწმენის წარმოშობის დროს და რომ ძირძველ რელიგიებს არ უნდა ჰქონდეთ არანაირი განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი.

აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მისი კერძო და საჯარო შინაარსით თანაბარი ღირებულებაა როგორც რელიგიური, ასევე არარელიგიური მრწამსის ადამიანებისთვის, რაც უდავოდ აფართოებს მის მნიშვნელობას და, შესაბამისად, ზრდის ამ თავისუფლების დაცვის აუცილებლობას.

[2] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-18 მუხლზე.

2. რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები

რელიგიის თავისუფლების შესახებ მოწოდება შუა საუკუნეების სამართლებრივი აზროვნების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი გახდა. აღნიშნული მოწოდება აისახა ისეთ სამართლებრივ აქტებში, როგორიცაა 1789 წლის საფრანგეთის დეკლარაცია **„ადამიანისა და მოქალაქის უფლებების შესახებ“**. კერძოდ, დეკლარაციის მე-10 მუხლი ადგენს: „არ შეიძლება ვინმეს შეეზღუდოს აზრის გამოხატვის თავისუფლება" ეს დებულება ეხება რელიგიური ხასიათის გამონათქვამებსაც იმდენად, რამდენადაც მოსაზრების გამოხატვა არ არღვევს კანონით დადგენილ საზოგადოებრივ წესრიგს. იმავე წელს მიიღეს ამერიკის კონსტიტუციის ,,უფლებათა ბილის" სახელით ცნობილი ათი შესწორება, რომელიც 1791 წელს ათი შტატის მიერ რატიფიცირების შემდეგ შევიდა ძალაში. **„უფლებათა ბილის“** პირველი მუხლი უკრძალავს კონგრესს ისეთი კანონის მიღებას, რომელიც აფუძნებს რომელიმე რელიგიას ან კრძალავს მის თავისუფალ აღმსარებლობას.

მიუხედავად დასახელებული დოკუმენტების ღირებულებითი მნიშვნელობისა, მათში ჩამოყალიბებული სამართლებრივი ფასეულობების საყოველთაო გავრცელება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხერხდა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების ათვლის წერტილად მიიჩნევა **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება**, რომლის მთელი რიგი დებულებები ადამიანის უფლებებს უკავშირდება.

წესდების 1.3 მუხლში განისაზღვრა **გაეროს** მიზნები: „საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების მოგვარებაში; ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ხელშეწყობა და წახალისება ყველასათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა“, ასევე, **გაეროს** წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, „მიიღონ ერთობლივი და დამოუკიდებელი ზომები“ „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და განხორციელებისათვის გამონაკლისის გარეშე, განურჩევლად რასობრივი კუთვნილებისა, სქესის, ენისა და აღმსარებლობისა“.

საკვანძო დოკუმენტი, რომელმაც პირველად მოახდინა ადამიანის უფლებათა ნორმების სისტემატიზაცია, იყო **გაეროს** გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებული **„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“**. მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაცია არ არის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი, მისი მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა სამართლისათვის ძალზე დიდია, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მოცემული ნორმები აისახა 1948 წლის შემდგომ მიღებულ როგორც უნივერსალურ, ასევე რეგიონალურ და დარგობრივ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ დეკლარაცია არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წყაროც, რასაც მოწმობს თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობის პრაქტიკა.

დეკლარაციით გამოცხადებული თითოეული უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, **რელიგიისა... თუ მრწამსისა**. დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, ეს ტერიტორია დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდულია თავის სუვერენიტეტში.[3]

ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და მათ აქვთ უფლება, თანაბრად იყვნენ დაცულნი ამ დეკლარაციის საწინააღმდეგო ნებისმიერი დისკრიმინაციისა და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.[4]

დეკლარაციამ განათლების უფლებას მიანიჭა რასობრივი და რელიგიური შეუწყნარებლობის წინააღმდეგ „ბრძოლის იარაღის“ ფუნქცია. კერძოდ, 26.2-ე მუხლი განსაზღვრავს: „განათლება ხელს უნდა უწყობდეს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი და რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად“. აღნიშნულ დებულებას შეიცავს **„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“** საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლიც. ამავე დროს დეკლარაციით განსაზღვრულია ყოველი სრულწლოვანი მამაკაცისა და ქალის უფლე-

[3] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - მუხლი 2.
[4] იქვე, მუხლი 7.

ბა, რასის, ეროვნების ან რელიგიური ნიშნის მიხედვით ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი.

ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება მოიცავს საკუთარი რელიგიის ან რწმენის შეცვლის, საკუთარი რელიგიის ან აღმსარებლობის როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვებთან ერთად საჯაროდ ან კერძოდ ქადაგების, ღვთისმსახურებისა და რელიგიურ რიტუალთა ან წესჩვეულებათა შესრულების თავისუფლებას.[5]

დეკლარაცია თვითონვე განსაზღვრავს მის მიერ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლებსა და პირობებს და ადგენს: „დეკლარაციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში".[6]

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან" ერთად მიიღეს მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი - **„საერთაშორისო კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ" კონვენციის მიღება.**[7] კონვენციის მეორე მუხლი დანაშაულად აცხადებს გენოციდს, ხოლო გენოციდად აღიარებს ქმედებას, რომელიც ჩადენილია რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობის მიზნით. კერძოდ, გენოციდად ითვლება:

ა) ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობა;

ბ) ასეთი ჯგუფის წევრთათვის სხეულის სერიოზული დაზიანების ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება;

გ) რომელიმე ჯგუფისათვის წინასწარგანზრახვით ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც გამიზნულია მის მთლიანად თუ ნაწილობრივ ფიზიკურად გასანადგურებლად;

დ) ზომები, რომელთა მიზანია ასეთი ჯგუფის წრეში შობადობის შემცირება;

---

[5] იქვე, მუხლი 29.

[6] იქვე, მუხლი 18.

[7] 1948 წლის 9 დეკემბერი.

ე) ბავშვთა ძალდატანებით გადაცემა ადამიანთა ერთი ჯგუფიდან მეორისათვის.

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს 1951 წლის **„საერთაშორისო კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ"**. კერძოდ, ჩამონათვალში, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს პიროვნების დევნას, მოცემულია რელიგიაც. პიროვნებას, რომელიც დაამტკიცებს, რომ იგი არის რელიგიური ნიშნით დევნის მსხვერპლი მისი მოქალაქეობის ან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში (აპატრიდობის[8] შემთხვევაში) ან გააჩნია საფუძვლიანი შიში, რომ შესაძლოა გახდეს დევნის მსხვერპლი, უნდა მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი.

კონვენციის ხელმომწერი მხარეები ასევე კისრულობენ ვალდებულებას, რომ კონვენციის დებულებებს გამოიყენებენ ლტოლვილთა მიმართ რასის, რელიგიისა თუ წარმოშობის ქვეყნის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.[9]

კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე: „ხელმომწერი მხარეები მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ლტოლვილებს რელიგიური აღმსარებლობისა და ბავშვების რელიგიური აღზრდის თავისუფლების მხრივ სულ ცოტა ისეთივე კეთილსასურველ გარემოს შეუქმნიან, როგორც საკუთარ მოქალაქეებს".

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ დაიდო ორი საერთაშორისო ხელშეკრულება: **„პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ"** და **„პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ"**. პაქტები ძალაში შევიდა 1976 წელს. აღნიშნულმა დოკუმენტებმა მოახდინეს დეკლარაციით აღიარებული უფლებების დაკონკრეტება. განსხვავებით დეკლარაციისაგან, პაქტების დებულებები იურიდიულად სავალდებულო ხასიათს ატარებს მონაწილე სახელმწიფოთათვის.

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტში" მოცემული მთავარი დებულება, რომელიც რელიგიის თავისუფლებას ეხება, არის მე-18 მუხლი, რომლის თანახმადაც:

1. თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას,

---

[8] მოქალაქეობის არ მქონე პირი.

[9] კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ მუხლი 3.

საკუთარი შეხედულებისამებრ ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით; ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით, ქადაგებითა და სწავლებით.

2. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას, ჰქონდეს და მიიღოს რელიგია ან მრწამსი საკუთარი არჩევნის მიხედვით.

3. რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძოდ, საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის და, ცხადია, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

4. წინამდებარე პაქტის ხელმომწერი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ მშობელთა და კანონიერ მეურვეთა უფლებას, საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა.

პაქტის მე–18 მუხლთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1993 წელს მიიღო ოცდამეორე **ზოგადი კომენტარი**, სადაც განმარტებულია მუხლის დებულებანი.

კომიტეტმა განაცხადა, რომ მე-18.1 მუხლში მოცემული აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (რომელიც გულისხმობს რწმენის თავისუფლებასაც) მოიცავს ნებისმიერი ტიპის აზრის, რელიგიის ან რწმენის ქონის თავისუფლებას, რათა აზრისა და სინდისის თავისუფლება თანაბრად იქნეს დაცული რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან ერთად.

მე–18 მუხლი იცავს ადამიანის თავისუფლებას, არ მისდიოს რომელიმე რელიგიას და არ იქონიოს მრწამსი საერთოდ (არათეისტური (non_theistic) ათეისტური (atheistic).

კომიტეტმა ფართოდ განმარტა ტერმინები „რელიგია" და „რწმენა" და განაცხადა, რომ მე–18 მუხლის მოქმედების არე არ შემოიფარგლება ტრადიციული რელიგიებით; იმ რელიგიებით, რომლებიც ინსტიტუციონალურადაა უკვე ჩამოყალიბებული ან მსგავსია ტრადიციული რელიგიებისა. დაუშვებელია ნებისმიერი დისკრიმინაცია იმ მოტივით, რომ ესა თუ ის რელიგიური მიმდინარეობა ახლად დაფუძნებულია ან წარმოადგენს უმცირესობას, რაც

ხშირად რელიგიური უმრავლესობის მხრიდან მტრული დამოკიდებულების საგანია.

მე-18 მუხლი განასხვავებს აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლებისაგან. აზრისა და სინდისის თავისუფლება, ისევე როგორც პიროვნების უფლება, ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი თავისი შეხედულებისამებრ, აბსოლუტური უფლებაა და შეზღუდვას არ ექვემდებარება.

რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება შესაძლოა განხორციელებულ იქნეს როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად საჯაროდ და კერძოდ, რაც გულისხმობს მოქმედებათა ფართო სპექტრს. ღვთისმსახურება მოიცავს იმ რიტუალურ და ცერემონიულ მოქმედებებს, რომლებიც ადამიანთა მრწამსის გამოხატვას ემსახურებიან და რომელთა რეალიზებაც მოითხოვს სალოცავი ადგილების აშენების და საკულტო საგნებისა და წეს-ჩვეულებების გამოყენების შესაძლებლობას. რელიგიისა და მრწამსის გამოხატვა გულისხმობს არა მხოლოდ გარკვეულ ცერემონიულ მოქმედებებს, არამედ ასევე გარკვეული ჩვეულებების დაცვას, მაგალითად: საკვების მიღებისას გარკვეული შეზღუდვების დაწესებას (მარხვა), გამორჩეული ტანსაცმლის ან თავსაბურავის ტარების უფლებას, ანდა განსაკუთრებული ენაზე საუბარს.

რელიგიისა და მრწამსის განხორციელება (practice) და სწავლება (teaching) გულისხმობს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა მაგალითად: რელიგიური ლიდერების (წინამძღვრები, მასწავლებლები) არჩევის შესაძლებლობა, სემინარიებისა და რელიგიური სასწავლებლების დაარსების უფლება, ასევე გარკვეული რელიგიური შინაარსის ტექსტების მომზადებისა და გავრცელების შესაძლებლობა.

18.2-ე მუხლი კრძალავს ყოველგვარ იძულებას, რომელიც მიმართულია პიროვნების რწმენის შეცვლის ან აღიარებისაკენ. დაუშვებელია ამ მიზნით ფსიქიკური იძულება ან რაიმე სახის სასჯელის დაწესება.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რომელიმე კონკრეტული რელიგიის სწავლება ეწინააღმდეგება მე-18.4 მუხლს და დასაშვებად მიჩნეულია მხოლოდ რელიგიის ზოგადი ისტორიისა და ეთიკის სწავლება მაქსიმალური ობიექტურობისა და ნეიტრალურობის პირობებში.

პაქტის მე-20 მუხლის შესაბამისად, ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რომლის მიზანია დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზება, უნდა აიკრძალოს კანონით. კომიტეტმა თავის მეთერთმეტე ზოგად კომენტარში განაცხადა, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან შემოიღონ კანონმდებლობა, რომელიც ამგვარ მოქმედებას გამოაცხადებს დასჯადად.

18.3-ე მუხლი განსაზღვრავს შესაძლებლობას, როდესაც დასაშვებია რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლების შეზღუდვა. კერძოდ, ამგვარი შეზღუდვა აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით და აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის და სხვათა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

არ შეიძლება შეიზღუდოს პიროვნების უფლება – არ დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას, ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი თავისი არჩევანის მიხედვით, ასევე მშობელთა და კანონიერ მეურვეთა უფლება – საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა. დასაშვები შეზღუდვების შესახებ დებულებათა განმარტებისას მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ პაქტით აღიარებული თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი, შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ პაქტის მე-2, მე-3 და 26-ე მუხლებისათვის ზიანის მიუყენებლად.

კომიტეტის აზრით, მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი ვიწროდ უნდა განიმარტოს და შეზღუდვა დასაშვებად ჩაითვალოს მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევებში, რომლებიც მოცემულია მესამე პუნქტში და უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ იმ მიზნებს, რომლებიც აღნიშნულ პუნქტშია ჩამოთვლილი, ასევე უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული.

სახელმწიფოთა მოხსენებები უნდა შეიცავდნენ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას მე - 18.3 მუხლის საფუძველზე განხორციელებული შეზღუდვების თაობაზე, ასევე იმ შედეგების თაობაზე, რომლებიც აღნიშნული შეზღუდვების განხორციელებამ განაპირობა.

იმ ფაქტმა, რომ რომელიმე რელიგია აღიარებულია სახელმწიფო ან ოფიციალურ (ტრადიციული) რელიგიად, ან მისი მიმდევრები წარმოადგენენ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, არ შეიძლე-

ბა რაიმე გავლენა იქონიოს პაქტის მე-18 მუხლით აღიარებული უფლებით სარგებლობაზე იმ პირთა მიერ, რომელნიც წარმოადგენენ რელიგიურ უმცირესობას. აღნიშნულ პოზიციას ამყარებს პაქტის ოცდამეშვიდე მუხლი, რომელიც ამბობს: „იმ ქვეყანაში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომელნიც ასეთ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია; აგრეთვე ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე".

მიუხედავად იმისა, რომ პაქტი არ შეიცავს დებულებას სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან მრწამსის საფუძველზე გათავისუფლების შესახებ, კომიტეტმა განაცხადა, რომ აღნიშნული უფლება თავისთავად გამომდინარეობს პაქტის მე-18 მუხლიდან და სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დააწესონ ალტერნატიული სამსახური იმ პირთათვის, ვინც მსოფლმხედველობითი მოსაზრებებიდან გამომდინარე უარს ამბობს სამხედრო სამსახურზე.

კომიტეტი ინვევს წევრ სახელმწიფოებს, რათა მათ წარმოადგინონ ინფორმაცია ალტერნატიული სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობისა და იმ პირობების შესახებ, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს პიროვნებამ, რომელსაც სურს სამხედრო სამსახურის ნაცვლად ალტერნატიული სავალდებულო სამსახურის გავლა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პაქტის მერვე მუხლიდან გამომდინარე, რომელიც ეხება მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვას, ალტერნატიული სამსახური, ისევე როგორც სამხედრო სამსახური, არ შეიძლება ჩაითვალოს იძულებით შრომად.

რელიგიის თავისუფლების შესახებ დებულებებს შეიცავს ასევე **„საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ"**, რომელიც მიიღეს 1966 წლის 7 მარტს. კერძოდ, კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე „ძირითად ვალდებულებათა შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამ კონვენციის მე-2 მუხლში, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, აკრძალონ და მოსპონ რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმა და უზრუნველყონ ყოველი ადამიანის თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე რასის, კანის ფერის, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. განსაკუთრებით ისეთ უფლებათა განხორციელებასთან მიმართებით, როგორიცაა:

- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება;
- რწმენის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლება.

რელიგიის თავისუფლების უფლებით სარგებლობისას საერთაშორისო დონეზე განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ 18 წელს მიუღწეველი პირები. კერძოდ, **გაეროს** ეგიდით 1989 წლის 10 ნოემბერს მიღებული **„ბავშვის უფლებათა კონვენციის"** თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის[10] აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია: საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად".

კონვენციის ოცდამეათე მუხლი იცავს უმცირესობებსაც. კერძოდ, იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობები, ან პირები, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნებიან, ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნება, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, რომ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ეზიაროს საკუთარ კულტურას, დაუფარავად აღიაროს თავისი რელიგია და აღასრულოს რელიგიური წესები ან ისაუბროს მშობლიურ ენაზე".

კონვენციის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ თითოეული ბავშვის ამ კონვენციით აღიარებულ უფლებებს, მისი მშობლების ან მეურვის რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ ბავშვის დაცვა დისკრიმინაციისა და სასჯელის ნებისმიერი ფორმისაგან, რომელიც უკავშირდება ბავშვის, მისი მშობლების, კანონიერი მეურვის ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, გამოთქმულ აზრებს ან რწმენას".[11]

---

[10] კონვენციის მიხედვით ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის პირი.

[11] ბავშვთა უფლებების კონვენცია. მუხლი 2.

გაეროს გენერალური ასამბლეის 36/55 რეზოლუციის საფუძველზე 1981 წლის 25 ნოემბერს მიიღეს **„დეკლარაცია რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე შეუწყნარებლობის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“**. დეკლარაცია დღეისათვის არსებული ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც უშუალოდ მიეძღვნა რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და რელიგიის თავისუფლების საკითხებს.

დეკლარაციის პრეამბულიდან გამომდინარე, „რელიგია ან მრწამსი თითოეული მორწმუნესათვის წარმოადგენს ცხოვრებისეული კონცეფციის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს“ და „აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უპატივცემულობამ და შელახვამ პირდაპირ თუ არაპირდაპირ შედეგად კაცობრიობას მრავალი ტანჯვა და ომი მოუტანა, განსაკუთრებით, როცა ის გამოიყენებოდა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისა და ხალხებსა და ერებს შორის სიძულვილის გაღვივებას საშუალებად“. „რელიგიისა თუ მრწამსის თავისუფლებამ ასევე ხელი უნდა შეუწყოს საყოველთაო მშვიდობის, სოციალური სამართლიანობისა და ხალხთა მეგობრობის განვითარებას“.

დეკლარაციის გამოთქმა - „შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე“ - ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, დაფუძნებულს რელიგიასა და მრწამსზე, რომელსაც მიზნად აქვს ან შედეგად მოსდევს თანაბარ საწყისებზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების, ამ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის ან მათი გამოყენების შესუსტება თუ სრული უარყოფა. დისკრიმინაციის განმახორციელებელ სუბიექტებად შესაძლოა მოგვევლინონ ნებისმიერი სახელმწიფო, ორგანიზაცია, პირთა ჯგუფი ან ცალკეული პირი.

რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაცია ადამიანის პიროვნების ღირსების შეურაცხყოფა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების უარყოფაა და დაიგმობა როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებში დეტალურად ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა და როგორც დაბრკოლება სახელმწიფოთა შორის მეგობრულ და სამშვიდობო ურთიერთობათა დამყარების გზაზე.

უმნიშვნელოვანეს დებულებებს შეიცავს დეკლარაციის მე-6 მუხლი, რომლის თანახმადაც „აზრის, სინდისის, რელიგიისა თუ მრწამსის თავისუფლება შეიცავს შემდეგ თავისუფლებებს:

ა) კულტის ასრულება ან რელიგიასა თუ მრწამსთან დაკავშირებული თავშეყრა და ამ მიზნით შეკრების ადგილების შექმნა და შენახვა;

ბ) სათანადო საქველმოქმედო თუ ჰუმანიტარული დაწესებულებების შექმნა და შენახვა;

გ) რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და მრწამსთან დაკავშირებული აუცილებელი საგნებისა და მასალების შესაბამისი მოცულობით წარმოება, შეძენა და გამოყენება;

დ) ამ სფეროებში შესაბამისი პუბლიკაციების წერა, გამოშვება და გავრცელება;

ე) რელიგიისა თუ მრწამსის საკითხების სწავლება ამ მიზნისათვის შესაფერ ადგილებში;

ვ) ცალკეულ პირთა და ორგანიზაციათაგან ნებაყოფილობითი ფინანსური და სხვა შეწირულობების მოძიება და მიღება;

ზ) შესაბამისი ხელმძღვანელების მომზადება, დანიშვნა, არჩევა ან მემკვიდრეობის წესით უფლებამოსილების გადაცემა ამა თუ იმ რელიგიისა თუ მრწამსის საჭიროებისა და ნორმების თანახმად.

თ) დასვენების დღეების დაცვა, დღესასწაულების აღნიშვნა და წეს-ჩვეულებათა შესრულება რელიგიისა თუ მრწამსის შესაბამისად;

ი) ცალკეულ პირებსა თუ თემებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კავშირის დამყარება და შენარჩუნება რელიგიისა თუ მრწამსის სფეროში.

თუ გავითვალისწინებთ იმ ტენდენციას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი დოკუმენტების მიღებისათვისაა დამახასიათებელი, გარკვეული პროგნოზის გაკეთებაა შესაძლებელი. კერძოდ, 1959 წელს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მიღებას 1989 წელს მოჰყვა ანალოგიური შინაარსის კონვენციის მიღება; 1963 წელს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციის მიღების შემდგომ, 1966 წელს, მიიღეს მსგავსი შინაარსის მქონე კონვენცია; 1967 წელს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის დეკლარაციის მიღების შემდგომ, 1979

წელს, მიღებული იქნა ანალოგიური კონვენცია; ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში მიღებული იქნება კონვენცია რელიგიისა და რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ზემოთ განხილულ დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ ნორმებს გაიმეორებს და სახელმწიფოთათვის იურიდიულად სავალდებულოს გახდის, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება რელიგიის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით გაეროს დონეზე.

1992 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო **„დეკლარაცია იმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ, რომლებიც ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს განეკუთვნებიან“.**

დეკლარაციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ აღნიშნული უმცირესობების უფლებათა დაცვის ხელშეწყობა უდავოდ განაპირობებს პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობას იმ ქვეყნებში, რომლებშიც უმცირესობები ცხოვრობენ.

სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და დაიცვან უმცირესობათა თვითმყოფადობა მათი ტერიტორიის ფარგლებში, რისთვისაც მიღებული იქნება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები.

პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს, უფლება აქვთ, ისარგებლონ საკუთარი კულტურით, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მრწამსი და აღასრულონ რელიგიური წეს-ჩვეულებები, ისარგებლონ საკუთარი ენით ყოველგვარი ჩარევისა და დისკრიმინაციის გარეშე როგორც კერძოდ, ასევე საჯაროდ. მათ ასევე უფლება აქვთ ეფექტურად მონაწილეობდნენ კულტურულ, რელიგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

უმცირესობებს უფლება აქვთ, დააარსონ საკუთარი ასოციაციები, იქონიონ მშვიდობიანი ურთიერთობა როგორც საკუთარი, ასევე სხვა უმცირესობას მიკუთვნებული ჯგუფის წევრებთან.

წევრი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ უმცირესობების მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სრული და ეფექტური განხორციელების მიზნით ყველა საჭირო ღონისძიებათა გატარება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და კანონის წინაშე სრული თანასწორობის საფუძველზე.

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარანტიებს ადგენს ჰუმანიტარული სამართალი. კერძოდ, **ჟენევის კონვენციებისათვის** საერთო მესამე მუხლის თანახმად: „პირებს, რომელნიც უშუალოდ არ მონაწილეობენ სამხედრო მოქმედებებში, ასევე პირებს, რომელთაც დაყარეს იარაღი ან აღარ მონაწილეობენ სამხედრო მოქმედებებში ავადმყოფობის, ჭრილობების, დაკავების ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, უფლება აქვთ მოითხოვონ ჰუმანური მოპყრობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, რელიგიისა, აღმსარებლობისა და სხვა ანალოგიური კრიტერიუმებისა“.

სამედიცინო-სანიტარული შემადგენლობა და სასულიერო პერსონალი, რომელნიც დახმარებას უწევენ სამხედრო ტყვეებს, არ უნდა იყვნენ შეზღუდულნი. მათ უნდა მიეცეთ ყველა შესაძლებლობა სამხედრო ტყვეებისათვის სამედიცინო და სულიერი დახმარების აღმოსაჩენად, მათ შორის:

ა) მათ აქვთ უფლება, პერიოდულად მოინახულონ სამხედრო ტყვეები იმ სამუშაო ჯგუფებსა და ჰოსპიტალებში, რომელიც ტყვეთა ბანაკს გარეთ მდებარეობს.

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ისინი ემორჩილებიან იმ ბანაკის შინაგანაწესს, რომელშიც იმყოფებიან, არ შეიძლება მათ აიძულონ იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც არ არის დაკავშირებული სამედიცინო ან რელიგიურ ვალდებულებებთან.

სამხედრო ტყვეებს მიეცემათ სრული თავისუფლება საკუთარი რელიგიური წესების აღსრულებისათვის იმ პირობით, რომ დაცული იქნება სამხედრო ხელისუფლების მიერ დაწესებული დისციპლინარული წესრიგი.

კულტის მსახური სამხედრო ტყვეები, რომელნიც არ შედიოდნენ საკუთარი არმიის სამხედრო-სასულიერო შემადგენლობაში, განურჩევლად მათი მრწამსისა, მიიღებენ ნებართვას, თავისუფლად აღასრულონ საკუთარი რელიგიური ვალდებულებები თანამორწმუნეებთან ერთად. არ შეიძლება მათი იძულება შეასრულონ სამუშაო.

იმ შემთხვევებში, როცა სამხედრო ტყვეები მოკლებულნი არიან სულიერი დახმარების შესაძლებლობას თავისი შენაერთის სამხედრო სასულიერო პირთაგან ან კულტის მსახურთაგან, დაინტერესებულ სამხედრო ტყვეთა მოთხოვნით დანიშნულ იქნება მათი მრწამსის ან სხვა მსგავსი მრწამსის მქონე კულტის მსახური.

ასეთის არარსებობის შემთხვევაში დანიშნული იქნება სხვა „მცოდნე პირი," თუ მსგავსი რამ დასაშვებია რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

ომის დროს სამოქალაქო პირების რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ გარანტიებს შეიცავს ჟენევის მეოთხე კონვენცია, რომლის 93-ე მუხლი განსაზღვრავს: ინტერნირებულ პირებს (პირებს, რომელნიც საომარი მდგომარეობის დროს დაკავებულნი არიან განსაზღვრულ ტერიტორიაზე) მიეცემათ სრული თავისუფლება საკუთარი რელიგიური წესების აღსრულებისათვის ღვთისმსახურების ადგილებზე ვიზიტების ჩათვლით იმ პირობით, რომ დაცული იქნება დადგენილი დისციპლინა".

რელიგიის თავისუფლება – რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები

გარდა ადამიანის უფლებათა დამცავი უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებისა, არსებობს რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები და მექანიზმები, მათ შორის ევროპული, ამერიკული და აფრიკული სისტემები. სახელმძღვანელოს წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება ევროპის რეგიონში არსებული ის სამართლებრივი სტანდარტები და მექანიზმები, რომლებიც რელიგიის თავისუფლებას შეეხება.

აღსანიშნავია, რომ რეგიონალური სტანდარტები ხშირად ავსებენ და აკონკრეტებენ უნივერსალურ სტანდარტებს და იმავე დროს ქმნიან უფრო ეფექტურ უფლებადამცავ მექანიზმს, რომელიც ინდივიდს უფლებას აძლევს დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს სამართლიანი დაკმაყოფილება (just sutisfaction) დამრღვევი სახელმწიფოსაგან.

ევროსაბჭო

ევროპის საბჭო, რომლის უმთავრესი მიზანია პლურალისტული დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და სამართლის უზენაესობის პრინციპების დამკვიდრება, დაარსდა 1949 წელს. დღეისათვის ორგანიზაცია აერთიანებს 45 ევროპულ სახელმწიფოს.

ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებულ იქნა არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზანს ემსახურებიან, მათ შორის: ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის სოციალური ქარტია, კონვენცია წამების, ადამიანური ღირსების დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია და სხვა ხელშეკრულებები.

რელიგიის თავისუფლებისათვის დასახელებულ დოკუმენტთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია **ევროპის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენცია**, რომლის მე-9 მუხლში ნათქვამია:

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას მარტო თუ სხვებთან ერთად, საჯაროდ და კერძოდ; თავისუფლებას, გამოამჟღავნოს თავისი რელიგია ან მრწამსი აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.
2. ადამიანის რელიგიისა და რწმენის გამომჟღავნების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც განსაზღვრულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, „მასში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასათვის ისეთი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვაგვარი აზრი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლობა, ქონება, დაბადება ან სხვაგვარი სტატუსი.

კონვენციის 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად კი სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ ბავშვებისათვის ისეთი განათლება და სწავლა, რომელიც შეესატყვისება მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსს.

კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ძალზე მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა. ეს უკანასკნელი მიმოხილულია ამ სახელმძღვანელოში.

ევროპის საბჭოს მიერ დიდი ყურადღება ექცევა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას. 1993 წელს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ შეიქმნა ad hoc ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კომიტეტი (უუდკ), რომელმაც 1994 წელს მინისტრთა კომიტეტის დავალების შესაბამისად წარმოადგინა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ კონვენციის პროექტი, ე. წ. ჩარჩო კონვენცია, რომელიც ხელმოსაწერად ღიაა 1995 წლის 1 თებერვლიდან როგორც ევროსაბჭოს წევრი, ისე არაწევრი ქვეყნებისათვის.

ჩარჩო კონვენცია ისტორიულად პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის თითქმის ყველა ასპექტს, მათ შორის, რელიგიის თავისუფლებასაც.

კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, „მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ აღიარონ, რომ ყოველ პირს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, აქვს თავისი სარწმუნოების ან მრწამსის აღმსარებლობისა და რელიგიური ორგანიზაციების, დაწესებულებებისა თუ ასოციაციების შექმნის უფლება“.

მონაწილენი უზრუნველყოფენ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული ყოველი პირის პატივისცემის, მშვიდობიანი შეკრებების, გაერთიანების შექმნის თავისუფლების, მრწამსის გამოხატვის, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას.[12]

მონაწილენი ასევე კისრულობენ ვალდებულებას, საჭირო პირობები შეუქმნან პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, მათი კულტურის გასავითარებლად, თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ კი მათი რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები თავს იკავებენ იმგვარი პოლიტიკის გატარებისა თუ პრაქტიკული საქმიანობისგან, რომელიც მიმართულია ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირთა იძულებითი ასიმილაციისაკენ და იცავენ მათ ნებისმიერი მოქმედებისაგან, რომელიც მიმართულია ასეთი ასიმილაციისაკენ.

[12] ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მუხლი 5.

მონაწილენი კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ სათანადო ზომები იმ პირთა დასაცავად, რომლებიც შეიძლება გახდნენ მუქარის ან დისკრიმინაციული აქტების, მტრობისა თუ ძალმომრეობის ობიექტები მათი ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ან ენობრივი კუთვნილების გამო.[13]

მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს ევროპის საბჭოს პოლიტიკური ორგანოების - საპარლამენტო ასამბლეისა და მინისტრთა კომიტეტის - მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დოკუმენტები წევრ-სახელმწიფოთათვის იურიდიულად სავალდებულო ხასიათს არ ატარებს, მათი მნიშვნელობა დიდია ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბებისა და შემდგომში მიღების თვალსაზრისით, ასევე ორგანიზაციის პოლიტიკის განსაზღვრისათვის ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ დოკუმენტთაგან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- რელიგია და დემოკრატია (რეკომენდაცია 1396(1999);
- რელიგიური შემწყნარებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში(რეკომენდაცია 1202(1993);
- სექტების არალეგალური მოღვაწეობა(რეკომენდაცია (1412).

1. რელიგია და დემოკრატია

- ასამბლეა აცნობიერებს, რომ თუნდაც დემოკრატიის პირობებში არსებობს გარკვეული ,,დაძაბულობა" რელიგიის გამოხატვასა და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის. იმ პრობლემათაგან, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოება აწყდება, ბევრი რელიგიურ ასპექტს მოიცავს, მათ შორისაა: შეუწყნარებელი ფუნდამენტალისტური მოძრაობები და ტერორისტული აქტები, რასიზმი, ქსენოფობია და ეთნიკური კონფლიქტები.
- დემოკრატია და რელიგია არ შეიძლება იყოს შეუთავსებელი. პირიქით, დემოკრატიას შეუძლია შექმნას საუკეთესო გარემო რწმენისა და სინდისის თავისუფლებისთვის, რელიგიური პლურალიზმის უზრუნველყოფის გზით. თავის მხრივ, მორალური და ეთიკური ვალდებულებებით, მოვლენათა მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით, კულტურული გამოხატვის ფორმებითა და ზოგადად ღირებულებათა სისტემის მეშვეობით რელი-

[13] იქვე, მუხლი 6.

გია შეიძლება იყოს ნამდვილი „პარტნიორი" დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

- დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა ყველა რელიგიისათვის უნდა უზრუნველყონ თანაბარ პირობებში განვითარების შესაძლებლობა.
- პრობლემა იქმნება მაშინ, როცა ხელისუფლება ცდილობს, რელიგია გამოიყენოს საკუთარი მიზნებისათვის ან პირიქით, როცა ესა თუ ის რელიგია თავისი საქმიანობით პირდაპირ უშლის ხელს სახელმწიფოს თავისი მიზნების მიღწევაში.
- რელიგიური ექსტრემიზმი, რომელიც განაპირობებს შეუწყნარებლობასა და ძალადობას, წარმოადგენს „ავადმყოფი საზოგადოების" სიმპტომს და სერიოზულ ზიანს აყენებს დემოკრატიულ გარემოს. იმდენად, რამდენადაც ამგვარი ქმედებები შეიძლება არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგს, მათთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ კანონის უზენაესობის პრინციპის გათვალისწინებით და როცა ხელისუფლების რეალური მიზანია საზოგადოებისათვის იმ პრობლემების მოხსნა, რომლებიც ექსტრემალური რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობას ახლავს თან.

საპარლამენტო ასამბლეა მინისტრთა კომიტეტს აძლევს რეკომენდაციას, რათა მან მოუწოდოს წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს:

1.° შექმნან სინდისისა და რელიგიის თავისუფლების გამოხატვის რეალური გარანტიები. კერძოდ:

ა. დაიცვან რელიგიური პლურალიზმი ისე, რომ ყველა რელიგიურ მიმდინარეობას ჰქონდეს თანაბარ პირობებში განვითარების შესაძლებლობა;

ბ. შექმნან პირობები რელიგიური რიტუალებისა და ჩვეულებების თავისუფალი განხორციელებისთვის;

გ. უზრუნველყონ ყველა ინდივიდისთვის განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობა მათი რელიგიური მრწამსისა და ჩვეულებების შესაბამისად;

დ. ყველა რელიგიისათვის უზრუნველყონ საზოგადოებრივ მედიაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პირობებში.

2. ხელი შეუწყონ რელიგიის შესახებ განათლების გავრცელებას. კერძოდ:

ა. ხელი შეუწყონ სკოლებში განსხვავებულ რელიგიათა შედარებითი ისტორიის სწავლებას;

ბ. ხელი შეუწყონ სამეცნიერო კვლევის წარმოებას რელიგიის ისტორიასა და ფილოსოფიაში:

გ. ითანამშრომლონ რელიგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან იმ მიზნით, რომ მათ სასწავლო პროგრამაში ჩართონ მასალა ადამიანის უფლებათა ისტორიის, ფილოსოფიისა და სხვა მეცნიერებათა შესახებ;

დ. ბავშვთა განათლების სფეროში თავიდან აიცილონ ნებისმიერი კონფლიქტი, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოს ხელშეწყობით რელიგიის შესახებ სწავლებასა და ოჯახის რელიგიურ მრწამსს შორის.

2. რელიგიური შემწყნარებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

ევროპაში მიმდინარე ცვლილებები და უწყვეტი მიგრაციული პროცესები განაპირობებდა განსხვავებული მსოფლმხედველობრივი და რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრების აუცილებლობას.

- განსხვავებული რელიგიების ამგვარმა "შეხვედრამ" შესაძლოა განაპირობოს საყოველთაო ღირებულებებისადმი ერთიანი საზოგადოებრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და კულტურული მრავალფეროვნება. თუმცა მისი შედეგი შეიძლება იყოს რელიგიური სეპარატიზმი და ფუნდამენტალიზმიც. რელიგია ხშირად გვევლინება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დაპირისპირების საფუძვლად.
- იმ სამი ძირითადი მონოთეისტური რელიგიიდან, რომლებიც გავრცელებულნი არიან ევროპის რეგიონში, თითოეულ მათგანს საფუძვლად უდევს შემწყნარებლობა და თანაბარი პატივისცემით ეკიდებიან სხვა რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანებს. ყოველი ადამიანი განიხილება როგორც ერთი ღმერთის ქმნილება და ისინი თანაბრად ღირსეულ და თანასწორუფლებიან პირებად მიიჩნევიან.
- ევროპის ისტორია ცხადყოფს, რომ ებრაული, ქრისტიანული და ისლამური კულტურების თანაარსებობა, რომელიც დამოკიდებულია ურთიერთპატივისცემასა და შემწყნარებლობაზე, განაპირობებს ევროპული ერების საერთო კეთილდღეობას;

- სეკულარულმა სახელმწიფომ რაიმე რელიგიური ხასიათის ვალდებულებები არ უნდა მოახვიოს თავს საკუთარ მოქალაქეებს;
- სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გაატარონ საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც რელიგიური შემწყნარებლობისა და განსხვავებული მრწამსის მქონე ადამიანთა პატივისცემისაკენ იქნება მიმართული.

3. სექტების არალეგალური მოღვაწეობა

ასამბლეა რელიგიურ პლურალიზმს ბუნებრივ შედეგად მიიჩნევს რელიგიის თავისუფლებას. სახელმწიფოს ნეიტრალურობა და კანონის წინაშე თანაბარი დაცვის პრინციპები წარმოადგენენ ფუნდამენტური ხასიათის გარანტიებს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისაგან დასაცავად.

ასამბლეა მოუწოდებს წევრ-სახელმწიფოებს:

ა. დააფუძნონ ეროვნული და რეგიონალური საინფორმაციო ცენტრები.

ბ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროგრამებში ჩართონ ინფორმაცია მნიშვნელოვანი რელიგიური მოძღვრებების ისტორიისა და ფილოსოფიის შესახებ.

გ. გამოიყენონ "ნორმალური" სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოების პროცედურები სექტების უკანონო საქმიანობის აღმოსაფხვრელად.

დ. სადაც აუცილებელია, ხელი შეუწყონ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნებას რელიგიური ძალადობის მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრთა დაცვის მიზნით.

ე. მიიღონ მკაცრი ზომები დისკრიმინაციული ან ისეთი პრაქტიკის წინააღმდეგ, რომელიც იწვევს რელიგიურ უმცირესობათა საზოგადოებისაგან გარიყვას.

ევროპის რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **„ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის"** საქმიანობა, რომლის ეგიდით მიღებულ დოკუმენტთა მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ წარმოადგენენ იურიდიულად სავალდებულო ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, დიდია, რასაც მოწ-

მობს **ეუთოს** მაღალი ავტორიტეტი და ევროპის სახელმწიფოთა პრაქტიკა **ეუთოს** დოკუმენტებთან მიმართებაში.

აღნიშნულ დოკუმენტებში პრაქტიკულადაა გათვალისწინებული ყველა ის დებულება, რომლებიც სხვადასხვა უნივერსალურ და რეგიონალურ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებშია ასახული და რომლებიც რელიგიის თავისუფლებას ეხება.

კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის: აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ყოველგვარი განსხვავების გარეშე.

პიროვნების თავისუფალი აღმსარებლობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით მონაწილე სახელმწიფოები:

– მიიღებენ ეფექტურ ღონისძიებებს ცალკეული პირებისა და გაერთიანებების მიმართ რელიგიისა და მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით. ადამიანის უფლებათა აღიარების, განხორციელებისა და სარგებლობის უზრუნველყოფის გზით საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მორწმუნეთა და ურწმუნოთა სრული თანასწორობის გზით.

– ხელს შეუწყობენ ურთიერთმიმტევებლობისა და პატივისცემის კლიმატის შექმნას, სხვადასხვა სარწმუნოებრივ და არასარწმუნოებრივ გაერთიანებებს შორის.

– უზრუნველყოფენ სტატუსის მინიჭებას იმ რელიგიური გაერთიანებებისათვის, რომელნიც აღასრულებენ ან მზად არიან აღასრულონ თავიანთი მრწამსი საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციის ფარგლებში.

რელიგიური გაერთიანებების უფლების პატივისცემის გამოსახატავად უზრუნველყოფილი და გარანტირებული უნდა იყოს:

– ღვთისმსახურებისა და შეკრებებისათვის საჭირო თავისუფლად ხელმისაწვდომი ადგილების დაფუძნებისა და შენახვის თავისუფლება;

– საკუთარი იერარქიული ან ინსტიტუციონალური სტრუქტურის შესაბამისად ორგანიზების შესაძლებლობა;

– საკუთარი მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად პერსონალის არჩევა, დანიშვნა ან შეცვლა;

– ნებაყოფილობითი ფინანსური და სხვა შემოწირულობების მოთხოვნა და მიღება;

– ურთიერთობის შესაძლებლობა სხვადასხვა კულტებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან რელიგიურ თავისუფლებათა მოთხოვნების უკეთ გაგების მიღწევის მიზნით.

– ყოველი ინდივიდის უფლების პატივისცემა მიიღოს და გადასცეს რელიგიური განათლება როგორც მარტომ, ისე სხვებთან ერთად მისთვის სასურველ ენაზე;

– მშობელთა უფლების პატივისცემა შვილების რელიგიურ და ზნეობრივ აღზრდაზე საკუთარი შეხედულების შესაბამისად;

– რელიგიური პერსონალის მომზადება შესაბამის დაწესებულებებში;

– მორწმუნეთა და რელიგიურ გაერთიანებათა უფლების პატივისცემა, შეიძინონ და ისარგებლონ რელიგიური გამოცემებით, წმინდა წიგნებითა და სხვა ნივთებით, რომლებიც საჭიროა რელიგიის და მრწამსის აღსასრულებლად;

– რელიგიური კულტების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელშეწყობა, რათა მათ აწარმოონ, განახორციელონ იმპორტი და გაავრცელონ რელიგიური გამოცემები და მასალები;

-– რელიგიური ორგანიზაციების დაინტერესების დადებითად შეფასება, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დიალოგში, მათ შორის მასმედიის საშუალებათა მეშვეობით.

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოდასახელებულ უფლებათა განხორციელება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და შეესაბამება მათ მიერ ნაკისრ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს. სახელმწიფოები კანონითა და ადმინისტრაციული პრაქტიკით უზრუნველყოფენ აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ეფექტურ განხორციელებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი ეხება, არის სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან სინდისის ან მრწამსის საფუძველზე გათავისუფლების შესაძლებლობა.

სახელმწიფოები შეთანხმდნენ, განიხილონ საკითხი ალტერნატიული სამსახურის შემოღების თაობაზე იმ ქვეყნებშიც, სადაც მსგავსი ინსტიტუტი არ მოქმედებს. ალტერნატიული სამსახური არ შეიძლება იყოს დაკავშირებული სამხედრო შენაერთში სამსახურ-

თან, არამედ უნდა ჰქონდეს სამოქალაქო ხასიათი, უნდა იყოს საზოგადოებისათვის სასარგებლო და არ უნდა ატარებდეს სასჯელის ხასიათს. ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე უნდა იყოს საჯარო და საზოგადოებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი.

შეჯამება

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა.

რელიგიის თავისუფლებას დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, რაც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მოცემული უფლება ასახულია არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში, როგორც უნივერსალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც მხოლოდ რელიგიის საკითხებს მოანესრიგებდა.

ფორმულირებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში ასახული რელიგიის თავისუფლების გარანტიები სამ ძირითად კატეგორიად შეიძლება დაიყოს.

1. რელიგიისა და მრწამსის საფუძველზე ყოველგვარი დისკრიმინაცია აკრძალულია, რაც სახელმწიფოებს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ვალდებულებებს. მოცემული კატეგორია აბსოლუტური ხასიათისაა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია.
2. ყველა ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება აბსოლუტურია მის გარეგან გამოვლინებამდე (forum internum).
3. ყველა ადამიანს აქვს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. მოცემული თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საზოგადოებრივი წესრიგის, მორალისა და ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის მიზნით (forum internum).[14]

---

[14] დასაშვები შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია იხილეთ სახელმძღვანელოს შესაბამის თავში.

პირს, რომელიც თვლის, რომ დაირღვა მისთვის მინიჭებული რელიგიის თავისუფლება, უფლების დასაცავად უნივერსალურ დონეზე შეუძლია მიმართოს **ადამიანის უფლებათა გაეროს კომიტეტს** იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც მოახდინა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და მისი პირველი ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება. რეგიონალურ დონეზე კი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ევროკონვენციის მონაწილეა.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი; აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; ევროპის სასამართლოს პრაქტიკა

1. რა უფლებებია დაცული მეცხრე მუხლით

ევროპის კონვენციის მე-9 მუხლით აღიარებული აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებასთან ერთად წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედს. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, „ეს უფლება მორწმუნეთა ცნობიერებისა და მათი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ერთ-ერთ სასიცოცხლო ელემენტია, ამასთანავე, იგი ფასეულია ათეისტების, აგნოსტიკოსების, სკეპტიკოსებისა და იმ პირთათვისაც კი, რომელნიც ინდიფერენტულად ეკიდებიან ამ საკითხებს. დემოკრატიული საზოგადოებისაგან განუყოფელი საჯაროობა, რომლის მოპოვებაც შესაძლებელი გახდა საუკუნეების მანძილზე ბრძოლის შედეგად, დამოკიდებულია ამ უფლებაზე"[15]

სასამართლოს მიდგომა მე-9 მუხლთან დაკავშირებით შემოსული საქმეებისადმი სხვა მსგავსი სტრუქტურის მქონე მუხლების (8-11) განხილვის წესის ანალოგიურია. კერძოდ, სასამართლო პირველ რიგში მსჯელობს იმის შესახებ, თუ რამდენად ესადაგება განმცხადებლის მოქმედება ტერმინების: „აზრი", „სინდისი" და „რელიგია" მნიშვნელობას. თუ იგი დაადგენს, რომ პირის მოქმედება არ მოიცავს დასახელებულ ტერმინთაგან ერთ-ერთს მაინც, საქმე იხურება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მსჯელობს, იყო თუ არა შეზღუდვა „გათვალისწინებული კანონით", „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის", პროპორციული მისაღწევი მიზნისა და ემსახურებოდა თუ არა მე-9.2 მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებრივი სიკეთის დაცვას.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ზოგადად ხორციელდება ადამიანთა ცნობიერებაში და მათი ერთმანეთისაგან გაყოფა რთულია. მხოლოდ მაშინ, როცა ესა თუ ის პიროვნება

---

[15] Kokkinakis vs. Greece (1993.).

გამოხატავს საკუთარ რელიგიას ან მრწამსს, სახელმწიფოს შეუძლია გაიგოს მისი (რელიგიის ან მრწამსის) არსებობისა და თვისობრიობის შესახებ. ამ შემთხვევაში პიროვნების მიერ რელიგიის ან რწმენის აღმსარებლობა შეიძლება მოხვდეს კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) ან მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) დაცვის ქვეშ, ანუ მოქმედებს lex specialis - უპირატესობის პრინციპი.

სასამართლოს და კომისიას მხოლოდ რამდენჯერმე მოუხდათ მე-9 მუხლში მოცემული „აზრის თავისუფლების" საკითხის განხილვა. განმცხადებლები ამ შემთხვევაში ამტკიცებდნენ, რომ აზრი და ენა იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ენით სარგებლობის უფლების შეზღუდვა აზრის თავისუფლების დარღვევაა. არც კომისია და არც სასამართლო ამ არგუმენტაციას არ იღებს. „ბელგიის ლინგვისტურ საქმეში" კომისიამ განაცხადა, რომ მე-9 მუხლი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც, სახელმწიფო ცალკეულ პირებს არ აძლევს უფლებას, ისარგებლონ მშობლიური ენით სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში. ამასთან, კომისიამ აღნიშნა, რომ გარკვეული გარემოებების არსებობისას სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას იმ პირთა ინტერესები, რომელთაც სათანადოდ არ იციან ოფიციალური ან ფართოდ გავრცელებული ენა, მაგალითად სისხლის სამართალწარმოების დროს. ამგვარი უფლებები მოცემულია ევროკონვენციის მე-5, მე-6 მუხლებში და როგორც კომისიამ აღნიშნა, ისინი დამოუკიდებელია მე-9 მუხლით გათვალისწინებული „აზრის" თავისუფლებისაგან.

აღსანიშნავია, რომ მე-9 მუხლში მოხსენებული ტერმინი – „აზრი" – გარკვეულნილად განსხვავდება მე-10 მუხლში მოცემულ ტერმინ „მოსაზრებისაგან", რამეთუ აზრი (thought) მე-9 მუხლის მიზნებისათვის გულისხმობს აზროვნების პროცესს, უფრო ზუსტად, აზროვნების პროცესის თავისუფლებას. ხოლო ტერმინში „მოსაზრება" (opinion) იგულისხმება უფრო კონკრეტული იდეა ან იდეათა ერთობლიობა, რომელიც შესაძლოა გამოხატულ იქნეს.

შესაბამისად, აზრის თავისუფლება გულისხმობს, რომ არავინ უნდა დაექვემდებაროს ისეთ მოპყრობას, რომლის მიზანია შეცვალოს პიროვნების აზროვნების პროცესი. ასევე, აკრძალულია ყოველგვარი იძულება, რომელიც მიმართულია აზრის შეცვლის ან მათი იძულებით გამოხატვისაკენ. მე-9 მუხლი ინდივიდს იცავს ყოველგვარი რელიგიური და პოლიტიკური ინდოქტრინაციისაგან,

რომელიც მომდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან.[16]

სტრასბურგის ორგანოები (წარსულში კომისიაც) იშვიათად განიხილავენ ტერმინების – „სინდისი" და „მრწამსი" – მნიშვნელობის საკითხს. მათ არც ერთხელ არ განუხილავთ საკითხი ამ ორ ტერმინს შორის განსხვავების შესახებ. როგორც წესი, სასამართლო იღებს განმცხადებლის მტკიცებას, რომ ესა თუ ის აზრი ან ინტელექტუალური პოზიცია ეხება „სინდისის" ან „რწმენის" საკითხებს კონკრეტული განმცხადებლისათვის. ამასთან, სტრასბურგის ორგანოები არცთუ იშვიათად მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამა თუ იმ მრწამსის აღმსარებლობა არ ექცევა მე-9.1 მუხლის მოქმედების სფეროს ქვეშ, რამდენადაც ესა თუ ის მოქმედება წარმოადგენდა არა მოცემული მრწამსის აღმსარებლობას, არამედ მოტივირებული იყო ამ უკანასკნელით ან მისი არაპირდაპირი ზემოქმედების შედეგს წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, საქმეში – ეროუსმიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Arrowsmith v, UK) ბრიტანეთის მოქალაქე, ქალბატონი ეროუსმიტი, აპროტესტებდა მისი დევნისა და გასამართლების ფაქტს, რომელიც შედეგად მოჰყვა მის მიერ შეიარაღებულ ძალებში საინფორმაციო ლიფლეტების გავრცელებას. ეროუსმიტი სამხედრო შენაერთის წევრებს მოუწოდებდა, უარი ეთქვათ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე რწმენისა და ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე. იგი ამტკიცებდა, რომ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ დაარღვია მისი სინდისისა და რწმენის თავისუფლება, რადგან იგი იყო პაციფისტური მსოფლმხედველობრივი მრწამსის მიმდევარი. კომისიამ ჩათვალა, რომ პაციფიზმი წარმოადგენს ფილოსოფიას, რომელიც ექცევა მე-9 მუხლის მოქმედების სფეროში, თუმცა ლიფლეტების გავრცელება არ წარმოადგენს პაციფისტური მრწამსის აღმსარებლობას, რამდენადაც ტერმინი „აღმსარებლობა", ისე როგორც იგი გამოყენებულია მე-9.1 მუხლში, არ მოიცავს ყოველგვარ მოქმედებას, რომელსაც საფუძვლად უდევს ესა თუ ის რელიგია ან რომელიც ჩადენილია მათი ზემოქმედების შედეგად."[17] კომისიამ ასევე დაადგინა, რომ განმცხადებელს სათანადოდ ჰქონდა მოხმობილი მე-10 მუხლი პროკლამაციების გავრცელების მიმართ, თუმცა მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ჩარევა კანონიერი იყო ეროვნული უსაფრთხოებისა და (არმიაში) უწესრიგობის თავიდან აცილების ინტერესებიდან გამომდინარე.

---

[16] Appl. 23380/94. C.J and J.J. vs. Poland (1996).

[17] Arrowsmith vs. UK (1978).

საქმეში X and Church of Scientology vs. Sweden კომისიამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემულ შემთხვევაში რელიგიური ორგანიზაციის მიერ გაკეთებული სარეკლამო განცხადება რწმენის აღმსარებლობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. დაადგინა რა, რომ ამგვარი განცხადება ატარებდა წმინდა კომერციულ ხასიათს, კომისიამ განაცხადა, რომ იგი არ ექცეოდა მე-9.1. მუხლის დაცვის სფეროშია.

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა კომისია ერთ-ერთი უჩვეულო საქმის განხილვისას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმღეგ, რომელშიც განმცხადებელი გამოთქვამდა სურვილს, რომ მისი ცერფლი სიკვდილის შემდგომ მის მშობლიურ მინაზე ყოფილიყო მიმოფანტული. კომისიამ ჩათვალა, რომ „განმცხადებლის აღნიშნული სურვილი არ შეიძლება განიხილებოდეს მრწამსის აღმსარებლობად, როგორც ეს ნაგულისხმევია კონვენციის მე-9.1. მუხლში, მიუხედავად იმისა, რომ მას უთუოდ ძლიერი მოტივაცია უდევს საფუძვლად."[18]

კომისიამ ასევე მიიჩნია, რომ ქმედება, რომელსაც კავშირი აქვს პიროვნების სინდისთან ან მრწამსთან, არ ექცევა მე-9.1. მუხლის დაცვის სფეროში, თუკი სახელმწიფოში არსებობს ნეიტრალური ინსტიტუტი ან პრაქტიკა, რომელიც ინდივიდისაგან მოითხოვს ისეთ საქმიანობაში მონაწილეობას, რომელიც მის მრწამსს ეწინააღმდეგება. ასე, მაგალითად, პეტიციაში გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთი გადასახადების გადამხდელი (კვაკერთა საზოგადოების წევრი) მოითხოვდა, რომ ხელისუფლებას მოეხდინა მის მიერ გადახდილი გადასახადების ასიგნება სამშვიდობო პროგრამებზე იმის მაგივრად, რომ აღნიშნული თანხა მოხმარებოდა ქვეყნის თავდაცვას. კომისიამ განაცხადა, რომ:

„მე-9 მუხლი პირველ რიგში იცავს ინდივიდის პიროვნულ და რელიგიურ მრწამსს, ანუ სფეროს რომელსაც forum internum-ს უწოდებენ. ამასთანავე, იგი იცავს ქმედებას, რომელიც განუყოფლადაა დაკავშირებული ასეთ შეხედულებებთან და მათ გარეგან გამოვლინებასთან. მაგალითად, ქმედება, რომელიც ღვთისმსახურებასა და ლოცვას უკავშირდება და რომელიც წარმოადგენს რელიგიური მრწამსისა და ჩვეულებების გამოხატვის პრაქტიკის ასპექტს საყოველთაოდ აღიარებული ფორმით.

[18] Appl. 8741/79.

გადასახადების გადახდის ვალდებულება ატარებს ზოგად ხასიათს და თავისთავად მას არ მოსდევს არავითარი შედეგი, რომელთაც რელიგიურ მოსაზრებებთან ექნებათ კავშირი.

აქედან გამომდინარეობს, რომ მე-9 მუხლი განმცხადებელს არ ანიჭებს კანონმდებლობის დაცვისაგან თავის არიდების შესაძლებლობას რწმენის საფუძველზე, კანონმდებლობისა, რომელიც გამოიყენება ნეიტრალურად, საერთო წესით საჯარო სფეროში, ისე რომ არ აყენებს ზიანს კონვენციის მე-9 მუხლით დაცულ თავისუფლებათა სფეროს."[19] ę

ანალოგიური პოზიცია დაადასტურა გაეროს ადამიანს უფლებათა კომიტეტმა საქმეში – J.P. v. Canada – ქალბატონმა J.P.-მ რომელიც არის კვაკერთა საზოგადოების წევრი, უარი განაცხადა გადასახდების იმ ნაწილის გადახდაზე, რომელიც ფედერალური ბიუჯეტის სამხედრო ხარჯების ნაწილის შესავსებად იყო გამიზნული. გადასახადების გადახდაზე უარის თქმამდე მან არაერთხელ მიმართა ქვეყნის შესაბამის ორგანოებს საჩივრით, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა მისი სინდისისა და რელიგიის აღმსარებლობის უფლებას არღვევდა. იგი კომისიის წინაშე სამართალწარმოებისას ამტკიცებდა, რომ სამხედრო ხარჯებისათვის განკუთვნილი გადასახადების გადახდის ვალდებულება ეწინააღმდეგება მე-18 მუხლის მოთხოვნებს და პროცედურული წესების შესაბამისად (წესი №86) კომიტეტისაგან ითხოვდა დროებითი ღონისძიებების მიღებას, რადგან საგადასახადო სამსახური აპირებდა დავალიანების იძულების წესით ამოღებას.

კომიტეტმა მიიჩნია, რომ განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან გადასახადების გადახდაზე უარის თქმა მრწამსის საფუძველზე არ ექცევა მე-18 მუხლის დაცვის სფეროში. ანალოგიური განცხადება გააკეთა კომიტეტმა საქმეში K.V. and C.V. vs. Greece (აპლიკაცია №568/1993).

მე-9 მუხლით დაცული უფლებები შეიძლება ნაწილობრივ დაემთხვეს, (გადაფაროს) ან წინააღმდეგობაში მოვიდეს კონვენციით დაცულ სხვა უფლებებთან. მაგალითად, ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს მრწამსის გამოხატვას, რომელიც დაცულია მე-9 მუხლით და ამავე დროს მასზე შესაძლოა გავრცელდეს მე-10 მუხლის დაცვის სფერო. აღნიშნულ საკითხს სასამართლო წყვეტს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თუმცა, როგორც ეს ეროუსმი-

[19] Appl. 10358/83.

ტის საქმიდან ჩანს, იგი ამჯობინებს მე-10 მუხლის შესაბამისად საქმის განხილვას, რამდენადაც ეს შესაძლებელია ქმედების ხასიათიდან გამომდინარე.

საქმეში – Hoffman v. Austria – განმცხადებელი, ავსტრიის მოქალაქე, ქალბატონი ჰოფმანი, ითხოვდა ორ არასრულწლოვან შვილზე მეურვეობის უფლებას მეუღლესთან განქორწინების შემდგომ. განქორწინებას საფუძვლად დაედო ქალბატონი ჰოფმანის იეჰოვას მოწმეთა სექტაში გაწევრიანება და მის საქმიანობაში აქტიური ჩართვა. ჰოფმანის მეუღლე, ბატონი ჩ, რომელიც კათოლიციზმის მიმდევარია, აცხადებდა, რომ „იმ რელიგიური კონფესიის საგანმანათლებლო პრინციპები, რომელსაც მისი ყოფილი მეუღლე მიეკუთვნებოდა, ანტისაზოგადოებრივია იმ გაგებით, რომ მოუწოდებს ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობების დამყარებისაგან თავის შეკავებას, რამაც შესაძლოა გამოინვიოს ბავშვის სოციალური იზოლაცია. ამასთან, იეჰოვას მოწმეთა მიმდინარეობაში მოქმედმა წესმა, რომლის მიხედვითაც მშობელს შეუძლია უარი განაცხადოს შვილისათვის სისხლის გადასხმაზე, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბავშვის სიცოცხლეს გარკვეულ გარემოებებში." თავის მხრივ ქალბატონი ჰოფმანი აცხადებდა, რომ იგი უკეთ შეძლებდა შვილების აღზრდას და როგორც დედა, გააკეთებდა ყველაფერს ოჯახში ბავშვთა სწორად აღზრდისათვის სათანადო გარემოს შესაქმნელად.

c

ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ მიაკუთვნა რა მეურვეობის უფლება ბატონ ჩ-ს, დაეთანხმა მის არგუმენტაციას ბავშვთა უფლებათა დაცვის თაობაზე.

ქალბატონი ჰოფმანი პეტიციაში მიუთითებდა როგორც მე-9, ასევე მე-8 მუხლის მე-14-სთან კავშირში და კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის შესაძლო დარღვევაზე.[20]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რა მე-8 მუხლის მე-14-სთან კავშირში დარღვევა, განაცხადა, რომ არ უნდა წამოჭრილიყო საკითხი მე-9 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმეში – Darby v. Sweden – განმცხადებელი, ბრიტანული წარმოშობის ფინეთის მოქალაქე, მუშაობდა შვედეთში 1966-1986 წლებ-

[20] კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი, რომელიც ეხება განათლების უფლებას, ითვალისწინებს მშობელთა უფლებას, „აირჩიონ შვილებისათვის ისეთი განათლება და სწავლება, რომელიც შეესაბამება მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსს".

ის განმავლობაში. 1979-1981 წლებში იგი იხდიდა მუნიციპალურ გადასახადს, რომელიც მოიცავდა საეკლესიო მოსაკრებელსაც. პირებს, რომელნიც განმცხადებლის მსგავსად არ იყვნენ შვედეთის ოფიციალური ეკლესიის წევრები სათანადო განაცხადის საფუძველზე, უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ მუნიციპალური გადასახადის შემცირება საეკლესიო მოსაკრებლის გამოქვითვის გზით. თუმცა იმ დროისათვის მოქმედი შვედეთის კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებელი მოკლებული იყო ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას, რადგან იგი არ იყო რეგისტრირებული შვედეთის ტერიტორიაზე. კომისიაში სამართალწარმოებისას მან დააყენა მე-9 მუხლის მე-14-სთან კავშირში დარღვევის საკითხი კომისიამ განმცხადებლის არგუმენტაცია გაიზიარა და დაადგინა როგორც მე-9 მუხლის დამოუკიდებლად, ასევე მე-14 მუხლის დარღვევაც. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის პრეტენზიები ძირითადად ეხებოდა შვედეთის საგადასახადო კანონმდებლობის დისკრიმინაციულ ხასიათს, სასამართლომ უფრო ლოგიკურად მიიჩნია, განეხილა საქმე საკუთრების უფლებასთან მიმართებაში დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველზე (პირველი ოქმის 1-ლი მუხლი კონვენციის მე-14 მუხლთან კავშირში). დაადგინა რა 1-ლი მუხლის დარღვევა მე-14-სთან კავშირში, სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია, განეხილა მე-9 მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხი.

მ:საქმეში – Ahmad v. UK – ბატონ აჰმედს, რომელიც იყო მუსულმანური რელიგიის განუხრელად მიმდევარი, თავისი რელიგია ავალდებულებდა, დასწრებოდა ლოცვებს პარასკევობით იმ შემთხვევაში, თუ იმყოფებოდა ფეხით სამოგზაურო მანძილზე მეჩეთიდან. 1968-72 წლებში იგი მუშაობდა ლონდონის ერთ-ერთ სკოლაში სრულგანაკვეთიანი სამუშაო განრიგით მასწავლებლად. ამ პერიოდის განმავლობაში ბატონ აჰმედს არ მოუთხოვია მეჩეთში ლოცვებზე დასწრების ნებართვა (პარასკევობით ლოცვა ემთხვეოდა მის სამუშაო საათებს), რადგან სკოლა, რომელშიც იგი მუშაობდა, არ მდებარეობდა მეჩეთიდან ფეხით სამოგზაურო მანძილზე. 1974 წელს იგი გადაყვანილ იქნა სხვა რეგიონში, სადაც მან თავისი სურვილით შეარჩია მეჩეთთან ახლომდებარე სკოლა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბატონი აჰმედი ესწრებოდა პარასკევობით ლოცვებს მეჩეთში ისე, რომ მის კლასში ამ პერიოდის განმავლობაში შედიოდნენ სხვადასხვა მასწავლებლები. თუმცა მას შემდეგ, რაც მათი მხრიდან გამოითქვა პროტესტი, სკოლის

ადმინისტრაციამ ბატონ აჰმედს მოსთხოვა სამსახურის დატოვება ან ნახევარგანაკვეთიან სამუშაო განრიგზე გადასვლა, რამდენადაც იგი არღვევდა საკონტრაქტო ვალდებულებებს. კომისიამ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „პიროვნებამ რელიგიური მრწამსის აღმსარებლობისას უნდა გაითვალისწინოს ის საკონტრაქტო ვალდებულება, რომელიც თავისი ნებით იკისრა". გამომდინარე იქედან, რომ ბატონ აჰმედს სკოლის ადმინისტრაციასთან კონტრაქტის გაფორმებისას არ მოუთხოვია პარასკევობით გათავისუფლების ნებართვა, მე-9 მუხლი არ დარღვეულა.

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა სასამართლო საქმეში – Kalac v. Turkey. განმცხადებელი ბატონი კალაჯი იყო სულეიმანთა სექტის მიმდევარი. ბატონი კალაჯი, წოდებით კაპიტანი, მუშაობდა თურქეთის სამხედრო სასამართლოში სამართლებრივი მრჩევლის თანამდებობაზე. იგი ბრალეულად იქნა მიჩნეული სამხედრო დისციპლინის დარღვევასა და სკანდალური ქმედების ჩადენაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რის შედეგადაც გათავისუფლდა სამუშაოდან უმაღლესი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო დაეთანხმა ხელისუფლების არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ პიროვნების დათხოვნა სამხედრო უწყებიდან განპირობებული იყო ამ უკანასკნელის ქცევითა და არა მისი რელიგიური მრწამსის გამომჟღავნებით. სასამართლომ განაცხადა, რომ რელიგიური მრწამსის აღმსარებლობისას პირმა უნდა გაითვალისწინოს ის სპეციფიკური სიტუაცია, რომელშიც იგი თავისი ნებით იმყოფება.

საქმეში – Stadman v. UK – ქალბატონი სტედმანი აპროტესტებდა კერძო კომპანიის მიერ სამუშაოდან მისი დათხოვნის ფაქტს. იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან იმ საფუძველზე, რომ უარი განაცხადა კვირა დღეს მუშაობაზე, რადგან კვირაობით მუშაობა მისი ქრისტიანული რელიგიური მრწამსის თავისუფალ აღმსარებლობას უშლიდა ხელს. კომისიამ არ დაადასტურა მე-9 მუხლის დარღვევა და განაცხადა, რომ „აპლიკანტს უარი ეთქვა სამუშაოზე იმ მოტივით, რომ იგი არ დათანხმდა გარკვეულ საათებში მუშაობას და არა მისი რელიგიური მრწამსის გამო. თუ მას სურდა საკუთარი რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობა, მას გააჩნდა სრული უფლება, აერჩია სხვა სამუშაო (შემდგომში იგი ასეც მოიქცა).

2. პროზელიტიზმი

პროზელიტიზმის დასჯადობის საკითხმა პირველად ევროსასამართლოს პრაქტიკაში თავი იჩინა საქმეში Kokinakis vs. Greece. განმცხადებელი, ბატონი მანოს კოკინაკისი, რომელიც იეჰოვას მოწმე გახლდათ, არაერთხელ იქნა დაკავებული საბერძნეთის ხელისუფლების მიერ პროზელიტიზმის განხორციელებისათვის. საბერძნეთის კონსტიტუციის მე-13 მუხლის (პუნქტი 2) თანახმად, პროზელიტიზმი აკრძალულია, ხოლო საბერძნეთის კანონმდებლობით პროზელიტიზმი განმარტებულია როგორც „პიროვნების რელიგიურ რწმენაში ჩათრევის ნებისმიერი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მცდელობა, როცა მიზნადაა დასახული რწმენის დაკნინება ნებისმიერი სახის ცდუნების ან მორალური თუ მატერიალური დახმარების დაპირების მეშვეობით, ცრუ საშუალებებით ან შესაბამისი პირის გამოუცდელობის, ნდობის, საჭიროების, დაბალი ინტელექტის ან გულუბრყვილობის გამოყენებით".[21]

მოცემული საქმის მიხედვით, ბატონი კოკინაკისი თავის მეუღლესთან ერთად ეწვია ქალბატონ გეორგია კორიაკისს. მას შემდეგ, რაც მან მოახერხა მოტყუებით კორიაკისის სახლში შეღწევა, კოკინაკისმა დაიწყო საკუთარი რელიგიური მრწამსის აქტიური ქადაგება. ქალბატონმა კორიაკისმა დაურეკა პოლიციას, რის შედეგადაც ბატონი კოკინაკისი და მისი მეუღლე დააპატიმრეს. საბერძნეთის ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოებისას ქალბატონ კოკინაკისს ბრალდება მოეხსნა, ხოლო ბატონ კოკინაკისს დაეკისრა ფულადი ჯარიმის გადახდა.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „ რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს პიროვნების სინდისის საკითხს, იგი ასევე მოიცავს რელიგიის გამომჟღავნების თავისუფლებასაც, ვინაიდან მორწმუნე საუბრისას თუ ქმედებისას გამსჭვალულია რელიგიური მრწამსით."

საბერძნეთის სასამართლოებმა პირის ბრალეულობა დაადგინეს მხოლოდ შესაბამისი კანონის მე-4 ნაწილის უბრალო მოხმობით და საფუძვლიანად არ გამოარკვევს, ცდილობდა თუ არა განმცხადებელი თავისი თანამოქალაქის დარწმუნებას მიუღებელი საშუალებებით. მათ მიერ წარმოდგენილი არც ერთი ფაქტი არ ასაბუთებს მათ დასკვნას.

---

[21] კანონი № 1672/1939.

ამას გარდა, არ დადასტურდა, რომ განმცხადებლის დამნაშავედ ცნობა მოცემულ სიტუაციაში გამართლებული იყო უკიდურესი საზოგადოებრივი აუცილებლობით. ამდენად, სადავო ზომა არ იყო მისაღწევი კანონიერი მიზნის თანაზომიერი და, შესაბამისად, „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-9 მუხლი დაირღვა."[22]

კიდევ ერთი საქმე, რომელიც ევროპულმა სასამართლომ განიხილა და რომლიდანაც ჩანს, თუ რა გარემოებების არსებობისას შეუძლიათ სახელმწიფოებს, შეზღუდონ პროზელიტიზმის აქტები, არის Larissis, Mandalaridis and Sarandis v. Greece. საქმეში განსახილველი მოვლენების განვითარების პერიოდში სამივე განმცხადებელი მსახურობდა ოფიცრად სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთ ქვედანაყოფში. ისინი ორმოცდაათიანელთა სექტის, პროტესტანტული ქრისტიანული დენომინაციის, მიმდევრები იყვნენ, რომლის პრინციპის მიხედვით თითოეული მორწმუნე ვალდებულია ეწეოდეს ევანგელიზაციას. განმცხადებლები, ერთი მხრივ, გასამართლებულნი იყვნენ მათი ხელქვეითი სამხედრო პირების მიმართ, განხორციელებული პროზელიტიზმის გამო. აღნიშნული სამხედრო პირები აცხადებდნენ, რომ ვინაიდან განმცხადებლები იყვნენ მათზე ზემდგომი ოფიცრები, ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ, მიეღოთ მონაწილეობა რელიგიური ხასიათის საუბრებში, რომელსაც მათი ხელმძღვანელები საკუთარი ინიციატივით იწყებდნენ. მეორე მხრივ, მათი გასამართლება მოხდა სამოქალაქო პირების მიმართ განხორციელებული პროზელიტიზმის გამოც.

თუ კოკინაკისის საქმის განხილვისას ევროპის სასამართლომ დაადასტურა მე-9 მუხლის დარღვევა, ლარისისის საქმეზე ხაზგასმით აღნიშნა: „იერარქიული სტრუქტურა, რომელიც შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს, სამხედრო მოსამსახურეებს შორის ურთიერთობას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს, ეს ხელს უშლის ქვეშევრდომს, წინააღმდეგობა გაუწიოს წოდებით ზემდგომს ან თავი აარიდოს ამ უკანასკნელის მიერ დაწყებულ საუბარს. ამგვარად, ის რაც სამოქალაქო ცხოვრებაში აზრთა უწყინარ გაცვლა-გამოცვლად აღიქმება (სადაც მოსაუბრეს თავისუფლად შეუძლია მიიღოს ან უარყოს მეორე მოსაუბრის აზრი), სამხედრო ცხოვრებაში იგი შეიძლება განხილულ იქნეს

[22] Kokkinakis vs. Greece pars. 31,49.

როგორც დაუშვებელი ზეწოლის ფორმა საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით."

ხ: თუმცა ამავე საქმეზე სასამართლომ დაადასტურა სამოქალაქო პირებთან მიმართებაში მე-9 მუხლის დარღვევა და განაცხადა: „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო პირები, რომელთა მოქცევასაც ცდილობდნენ განმცხადებლები, არ ექცეოდნენ ზეწოლის ქვეშ და არ იყვნენ იძულებულნი, როგორც ეს სამხედრო მოსამსახურეების შემთხვევაში მოხდა, მოესმინათ განმცხადებლებისათვის. საპირისპიროს არ ამტკიცებს არც ერთი ფაქტი. არც ის დასტურდება, რომ ქადაგება ამა თუ იმ გაგებით მიუღებელი იყო მათთვის."

ზემოთ განხილული ორი საქმიდან ჩანს, რომ ევროკონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება მოიცავს პროზელიტიზმის, ანუ სხვადასხვა ფორმით საკუთარ მრწამსზე სხვა პირთა გადმობირების მცდელობის განხორციელების თავისუფლებასაც. ცხადია, ეს თავისუფლება არაა აბსოლუტური და იგი შეიძლება შეიზღუდოს მე-9.2. მუხლში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით.

3. პოზიტიური ვალდებულებები

სტრასბურგის ორგანოების პრაქტიკაში მე-9 მუხლთან მიმართებაში ჩამოყალიბდა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც წევრი სახელმწიფოები არა მარტო ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ რელიგიისა და რწმენის გამოხატვის პროცესში ჩარევისაგან, არამედ მათ უნდა უზრუნველყონ ამ უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობის შესაძლებლობა მათ იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის. საქმეში Dubovska and Skup v. Poland კომისიამ განაცხადა, რომ პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც გულისხმობს სათანადო ზომების მიღების აუცილებლობას თუნდაც კერძო პირთა შორის ურთიერთობის რეგულირებისას, შეიძლება მოითხოვდეს, სახელმწიფოსაგან ისეთი გარანტიების შექმნას, რომელიც გარკვეულ ფიზიკურ პირთა ჯგუფს ან ცალკეულ პირებს არ მისცემს შესაძლებლობას, ჩაერიოს სხვა პირთა მიერ განხორციელებული რელიგიური აღმსარებლობის პროცესში" (მაგალითად: რელიგიური შეკრებების დროს თავმოყრილ პირთა დაცვა თავდასხმისაგან).

მე-9 მუხლიდან გამომდინარე, პოზიტიურ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად სათანადო ზომების მიღება გარკვეულ პირობებში შეიძლება მოიცავდეს კონვენციით აღიარებული მეორე უმნიშვნელოვანესი უფლების, გამოხატვის თავისუფლების (მუხლი 10), შეზღუდვის რისკს. აღნიშნული პრობლემა კარგად ჩანს საქმის – Otto Preminger vs.Austria – მაგალითზე.

განმცხადებელ ასოციაციას (ოტტო-პრემინგერის სახელობის აუდიო-ვიზუალურ საინფორმაციო საშუალებათა ინსტიტუტი), რომელიც მდებარეობს ქ. ინსბრუკში, აქვს კინო-თეატრის შენახვისა და ფილმების ჩვენების ნებართვა. აღნიშნული ასოციაციის კინო-თეატრში იგეგმებოდა 1985 წელს ვერნერ შროდერის ფილმის – „სიყვარულის ტაძარი" – ჩვენება. რეკლამაში, რომელიც ფილმის ჩვენებას უძღოდა წინ, მოკლედ გადმოსცემენ ფილმის შინაარსს და მიუთითებდნენ, რომ 17 წლამდე ასაკის პირები ჩვენებაზე არ დაიშვებოდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენება ფასიანი იყო. ფილმის ჩვენებამდე რამდენიმე დღით ადრე, ინსბრუკის კათოლიკური ეკლესიის მიმართვის შემდეგ, ქალაქის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც „რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფას" დასჯად ქმედებად აცხადებს. ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოებისას მოხდა ამ ფილმის ამოღება და, შესაბამისად, ჩვენებაც არ შემდგარა. ფილმში სატირული სახით წარმოდგენილნი და გაკრიტიკებული იყვნენ რელიგიური პერსონაჟები, რამაც, როგორც თვითონ აცხადებდნენ, გამოიწვია კათოლიციზმის მიმდევართა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ავსტრიის ხელისუფლების მოქმედება წარმოადგენდა მის შემოქმედებით თავისუფლებაში (რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-10 მუხლით) უკანონო ჩარევას.

ევროსასამართლომ განაცხადა: „ისინი, ვინც გამოხატავენ საკუთარ რელიგიურ მრწამსს, მიუხედავად იმისა, უმრავლესობას მიეკუთვნებიან თუ უმცირესობას, ბუნებრივია, შეიძლება გახდნენ კრიტიკის „მსხვერპლნი". მათ უნდა გამოიჩინონ მოთმინება და უნდა შეეგუონ იმას, რომ სხვები უარყოფენ მათ რელიგიურ მრწამსს ან ავრცელებენ სწავლებას, რომელიც მათი რელიგიური მრწამსისათვის შეიძლება იყოს ზიანის მომტანი. თუმცა კრიტიკის საშუალებებმა და რელიგიური სწავლების უარყოფამ შეიძლება

გამოიწვიოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუ ამ ქმედებებს შედეგად მოჰყვა მე-9 მუხლით დაცული სიკეთეების ხელყოფა. არსებობს სამართლიანი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მორწმუნეთა გრძნობები ხელყოფილ იქნა ფილმში მათი რელიგიური კულტების პროვოკაციულად განსახიერების შედეგად. აღნიშნული გამოხატვის ფორმა შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შემწყნარებლობის სულისკვეთების ბოროტად გამოყენებად". შესაბამისად, სასამართლომ არ დაადასტურა მე-10 მუხლის დარღვევა.

რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციისათვის სათანადო პირობების შექმნის ვალდებულების საკითხმა წინა პლანზე ნამოიწია საქმეში Manoussakis and Others vs. Greece. განმცხადებლებმა (იეჰოვას მოწმეები) ქ. ჰერაკლიონში იჯარის ხელშეკრულებით იქირავეს შენობა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ აღნიშნული შენობა იეჰოვას მოწმეების მიერ გამოყენებული იქნებოდა რელიგიური მიზნებისათვის. 1983 წლის 28 ივნისს განმცხადებლებმა მიმართეს ეროვნული განათლებისა და კულტურის მინისტრს, რათა მიეღოთ მისგან ნებართვა შენობის რელიგიური მიზნებისათვის გამოსაყენებლად. თუმცა ამის პარალელურად ქ. ჰერაკლიონის ორთოდოქსულმა ეკლესიამ მიმართა პოლიციას განცხადებით, რომელშიც იტყობინებოდა იეჰოვას მოწმეთა სამლოცველო სახლის უკანონო არსებობის შესახებ.

განმცხადებლები ეროვნული სასამართლოს მიერ დაჯარიმებულ იქნენ ნებართვის გარეშე სამლოცველო შენობის შენახვისა და სარგებლობისათვის საბერძნეთის №1363/1938 და №1672/1939 კანონების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ განმცხადებლებმა არაერთხელ მიმართეს დასახელებულ სამინისტროს საჭირო ნებართვის მისაღებად, თუმცა იმ დროისათვის, როცა საქმეს ევროპის სასამართლო განიხილავდა, კერძოდ 1994 წელს, მათ აღნიშნული ნებართვა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული.

მოწმეთა ჩვენებები და სხვა საქმეებიდან განმცხადებლების მიერ მოყვანილი ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ საბერძნეთის ხელისუფლება განზრახ იყენებდა დასახელებული კანონების შესაბამისად არსებული ნებართვის პროცედურას არამართლმადიდებლური რელიგიური მიმდინარეობების, მათ შორის იეჰოვას მოწმეთა სექტის, საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით. ერთი შეხედვით უწყინარი ნებართვის მიღების პროცედურა საბერძნე-

თის ხელისუფლებისათვის იქცა მრისხანე „იარაღად" რელიგიის თავისუფლებასთან საბრძოლველად.

მანუსაკისის საქმის ანალიზიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ არათუ ხელი არ უნდა შეუშალოს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციას, არამედ, პირიქით, ვალდებულია შექმნას ყველა სათანადო პირობა, რათა ასეთ გაერთიანებებს სურვილის შემთხვევაში ჰქონდეთ ზედმეტი დაბრკოლებების გარეშე რეგისტრაციის შესაძლებლობა, რამეთუ ასეთი რეგისტრაცია ზოგჯერ აუცილებელიცაა ნორმალურ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლისათვის (შენობის იჯარით აღება, რელიგიურ-საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსება, რელიგიური ლიტერატურის იმპორტ-ექსპორტი და სხვ.).

4. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან სინდისის საფუძველზე უარის თქმის შესაძლებლობა

სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან სინდისის საფუძველზე უარის თქმის შესაძლებლობის საკითხი ერთ-ერთი აქტუალურია იმ საკითხთაგან, რომლებიც წარმოიშობა კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ევროსაბჭოს პოლიტიკური ორგანოების პრაქტიკა განსხვავებულია სასამართლოსა და კომიტეტის პრაქტიკისაგან და, შეიძლება ითქვას, გაცილებით პროგრესულიც. როგორც საპარლამენტო ასამბლეამ, ასევე კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებებში არაერთხელ მიუთითეს, რომ მე-9 მუხლიდან უდავოდ გამომდინარეობს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან, რელიგიური, ეთიკური, მორალური, ფილოსოფიური ან სხვა მსგავსი მოტივების საფუძველზე გათავისუფლების ვალდებულება.

როგორც აღინიშნა, კონვენციის მაკონტროლებელი ორგანოების პრაქტიკა განსხვავებულია პოლიტიკურ ორგანოთა პრაქტიკისაგან. თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში კომისიამ მიუთითა კონვენციის მე-4.3.b პუნქტზე, რომელიც ამბობს: ტერმინი – ძალდატანებითი ან იძულებითი სამუშაო – არ მოიცავს ნებისმიერ სამხედრო სამსახურს ან სამსახურს, განსაზღვრულს სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად იმ ქვეყნებში, სადაც ამგვარი გათავისუფლების შესაძლებლობა აღიარებულია. კომისიამ აგრეთვე განმარტა, რომ ფრაზა – „იმ ქვეყნებში, სადაც ამგვარი გათავისუფლების შესაძლებლობა აღიარებულია" – მიუთითებს

იმაზე, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფლებით, დააწესონ ან არ დააწესონ ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად.რ:[23] შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დააწესონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების შემთხვევაში.[24]

საქმეში – G. v. Netherlands, რომელიც ალტერნატიული სამსახურის ვადებს ეხებოდა, ჰოლანდიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ უფრო დიდი ვადის დაწესება ალტერნატიული სამსახურისათვის საჭიროა საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის მიზნით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების უმრავლესობა უარს იტყვის სამხედრო სამსახურზე. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ალტერნატიული სამსახურის ვადა (16 თვე) ორჯერ აღემატებოდა სამხედრო სამსახურის ვადას, კომისიამ მე-9 მუხლის დარღვევა არ დაადასტურა.[25]

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილულ საქმეში – Brinkhof v. the Netherlands – ბატონმა ბრინკჰოფმა რელიგიური მრწამსის გამო უარი განაცხადა როგორც სავალდებულო სამხედრო, ასევე ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურზე. იგი დააკავეს შესაბამისმა სამსახურებმა, რის შემდეგაც მოსთხოვეს ჩაეცვა სამხედრო ფორმა და მიეღო საბრძოლო აღჭურვილობა, რაზეც მან უარი განაცხადა. ბატონი ბრინკჰოფი გასამართლებულ იქნა ნიდერლანდების სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მიესაჯა 12 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განმცხადებელი ამტკიცებდა: მიუხედავად იმისა, რომ პირს, რომელიც მრწამსის საფუძველზე უარს ამბობს სავალდებულო სამხედრო სამსახურზე, შეიძლება ნაეყენოს ბრალდება, იეჰოვას მოწმეთა მიმდევრებზე კანონის ეს მოთხოვნა არ უნდა გავრცელდეს.

იგი აცხადებდა, რომ აღნიშნული ბრალდება ლახავდა მის რელიგიურ მრწამსს, რომელიც მოითხოვდა როგორც სამხედრო, ისე ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურზე უარის თქმას.

კომიტეტმა განაცხადა, რომ ბრინკჰოფმა ვერ შეძლო დაემტკიცებინა, თუ რატომ იყო პაციფისტური შეხედულებები შეუსაბამო ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურთან. შესაბამისად, მას არ

[23] X vs. Austria.
[24] Appl. 10640/83.
[25] Autio vs. Finland.

ჰქონდა უფლება, თავი აერიდებინა ამ უკანასკნელისთვის, თუმცა სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების გამო მისი დასჯა ეწინააღმდეგება პაქტის მე-18 მუხლს.

5. დასაშვები შეზღუდვები

კონვენციის ტექსტიდან გამომდინარე, არსებობს მე-9 მუხლის შეზღუდვის ორი შემთხვევა:

1. შეზღუდვა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;
2. შეზღუდვა გამომდინარე მე-9 მუხლის მეორე პუნქტიდან (ე.წ. უფლების თანმდევი შეზღუდვა);

კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, ,,ომის ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიიღოს ზომები, რომლებიც უგულებელყოფენ ამ კონვენციიდან გამომდინარე მის ვალდებულებებს, იმდენად, რამდენადაც ეს განპირობებულია საზოგადოებრივი სიმწვავით, იმ პირობით, რომ ამგვარი ზომები არ უნდა იყოს საერთაშორისო სამართლით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შეუსაბამო".

მეთხუთმეტე მუხლის იმ ჩამონათვალში, რომელიც შეუზღუდავ, აბსოლუტურ უფლებებს ეხება (მე-2, მე-3, მე-4, მე-7 მუხლები), არ არის მოცემული მე-9 მუხლი. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ გარემოებებში სახელმწიფოებს უფლება აქვთ, შეზღუდონ რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება.

საბერძნეთის საქმეში კომისიამ განმარტა, რომ ,,ტერმინი ,,საგანგებო მდგომარეობა" გულისხმობს ცნებას აშკარა საფრთხის შესახებ და, ამდენად, აუცილებელია შემდეგი ელემენტების არსებობა, იმისათვის რომ გამოყენებულ იქნას მე-15 მუხლის დებულებები:

1. საფრთხე უნდა იყოს რეალური და აშკარა;
2. მის შედეგებს ზეგავლენა უნდა ჰქონდეს მთელ ერზე;
3. საფრთხის ქვეშ უნდა იდგეს საზოგადოების ნორმალური ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობა;
4. კრიზისს ან საფრთხეს უნდა ჰქონდეს გამონაკლისის ხასიათი, ანუ კონვენციით ნებადართული ჩვეულებრივი ზომები ან შეზღუდვები საკმარისი არ უნდა იყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და წესრიგის შესანარჩუნებლად.

საქმეში – ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – კომისიამ განიხილა რა მე-15 მუხლით ნაგულისხმევი პროპორციულობის პრინციპის გამოყენების საკითხი, აღნიშნა: ,,ხელისუფლებას არ შეუძლია მოიხმოს საგანგებო მდგომარეობის არსებობა ნებისმიერი ზომის გასამართლებლად, რომელიც მან შეიძლება გამოიყენოს, არამედ მან უნდა დაამყაროს კონკრეტული მიზეზობრივი კავშირი შესაბამის ზომასა და იმ სიტუაციას შორის, რომელიც კონტროლს მოითხოვს". ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მე-15 მუხლით გათვალისწინებული გადახვევის შესაძლებლობა სახელმწიფოთა მიერ პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.

უფლებათა თანმდევი, იგივე მე-2 პარაგრაფის, შეზღუდვების თეორია საფუძვლიანად იქნა დამუშავებული კონვენციის მაკონტროლებელი ორგანოების პრაქტიკაში. შეზღუდვების აღნიშნული კატეგორიის დებულებებს შეიცავს კონვენციის მე-8–მე-11 მუხლები, ასევე მე-4 ოქმის მე-2, მე-4 მუხლები და მე-7 ოქმის პირველი მუხლი. სხვა მსგავსი სტრუქტურის მქონე მუხლებისაგან განსხვავებით, კონვენციის მე-9 მუხლი არ შეიცავს დებულებას სახელმწიფოებრივი უშიშროების მოტივით უფლების შეზღუდვის შესახებ.

მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს, რომ განმცხადებლის ქმედება ექცევა ტერმინების: ,,აზრი", ,,სინდისი" ან ,,რელიგია" – მნიშვნელობის სფეროში, იგი იხილავს, იყო თუ არა შეზღუდვა გათვალისწინებული კანონით. როგორც სასამართლომ დაადგინა საქმეში – Silver and Others v. United Kingdom – კონვენციით გათვალისწინებული კანონიერების კონცეფცია გამოიყენება შიდა სამართლის ყველა სახის „კანონის" მიმართ, იქნება ეს დაწერილი, დაუწერელი, ადმინისტრაციული თუ საკონსტიტუციო სამართლის ნორმები. საქმეში – სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – სასამართლომ და კომისიამ ჩამოაყალიბეს კანონიერების ორი მთავარი მოთხოვნა: „პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადეკვატურად ხელმისაწვდომი, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია მისი საქმის მიმართ გამოსაყენებელი სამართლებრივი წესების შესახებ; მეორეც, ნორმა არ ჩაითვლება კანონად, თუ იგი საკმარისი სიზუსტით არ არის ფორმულირებული, რაც შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს, მოახდინოს თავისი ქცევის რეგულირება დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად."

კონვენციის ორგანოები იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა შეზღუდვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, იყენებენ ორ კრიტერიუმს:

1. არის თუ არა „შეზღუდვის მიზანი კანონიერი";
2. არის თუ არა ეს უკანასკნელი მისაღწევი კანონიერი მიზნის „პროპორციული".

მაგალითად, მანუსაკისის საქმეში საბერძნეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ჯარიმის დაკისრება ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის და სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. როგორც კომისიამ, ასევე სასამართლომაც მიიღო აღნიშნული არგუმენტი, თუმცა მიიჩნიეს, რომ შეზღუდვა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია განმცხადებელთა რელიგიურ აღმსარებლობაზე, არ იყო აუცილებელი მისაღწევი კანონიერი მიზნისათვის.

ასევე, კოკინაკისის საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ზომა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, კერძოდ კი სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, თუმცა არ იყო მისაღწევი კანონიერი მიზნის „პროპორციული" და, შესაბამისად, „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".

რაც შეეხება თვითონ საზოგადოებრივ სიკეთეებს, რომელთა დაცვაც შესაძლებელია გახდეს მე-9 მუხლის შეზღუდვის საფუძველი; მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მოტივით, სიქჰიზმის მიმდევართათვის ჩალმის მაგიერ დამცავი ჩაფხუტის ტარების მოთხოვნა გამართლებულ იქნა.[26] ასევე სიქჰიზმის მიმდევარი პატიმრის დავალდებულება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მოტივით საკნის იატაკის მოწმენდისა, ჩაითვალა კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად.[27] კომისიამ დარღვევა ვერ აღმოაჩინა საქმეში, როცა სახელმწიფომ მიზეზად სხვა პირთა უფლებების დაცვა დაასახელა და არ უზრუნველყო პატიმრის მოთხოვნა, მიეცათ მისთვის აღმოსავლური რელიგიური ლიტერატურა, რომელიც ხელჩართული ბრძოლის ილეთებს შეიცავდა.[28] კომისიამ ასევე ვერ აღმოაჩინა დარღვევა შემთხვევისას, როდესაც სახელმწიფომ არ შეასრულა მოთხოვნა ორთოდოქსი ებრაელისა, უზრუნველეყოთ მისთვის განსაკუთრებული საკვების მოხმარების შესაძლებლობა.

---

[26] X v UK NO. 8231/78.
[27] X v UK NO.79992/77.
[28] appl. NO 6886/75.

4. რელიგიური გაერთიანებები

რელიგიური გაერთიანების იდეას ადამიანის ორი ძირითადი უფლება: რელიგიის თავისუფლებისა და გაერთიანების უფლება უდევს საფუძვლად, თუმცა რელიგიის თავისუფლება უკვე გულისხმობს მისი გამოვლენის როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ ფორმასაც. ადამიანის, როგორც ჯგუფის წევრის, რელიგიის თავისუფლების სრულად რეალიზაციისთვის მინიმუმ სახელმწიფოს მიერ ამ ჯგუფისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება და რელიგიური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობისათვის საჭირო არადისკრიმინაციული ნორმატიული ბაზის შექმნაა აუცილებელი.

რელიგიური გაერთიანებების შექმნა ანუ ერთმორწმუნე ადამიანების საერთო მიზნის გარშემო გაერთიანება საკუთარი იერარქიითა და ინსტიტუციონალური სტრუქტურით, განუყოფელია თვით რელიგიის თავისუფლებისაგან და ასეთი გაერთიანების შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის წესის ხარისხი სწორედ რელიგიის თავისუფლებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების პირდაპირპროპორციულია, ამიტომაც მსოფლიოში არ არსებობს ამ საკითხის მიმართ იდენტური პოზიციის მქონე ორი სახელმწიფო.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში არ ვხვდებით რელიგიური გაერთიანების შექმნის აკრძალვას, მაგრამ იშვიათია სახელმწიფო, სადაც რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია და იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება რთულ ბიუროკრატიულ პროცედურებთან არ იყოს დაკავშირებული ან არ არსებობდეს გამონაკლისები საერთო ნორმატიული წესრიგიდან. უმეტესად ქვეყნების კანონმდებლობა დისკრიმინაციულ ნორმებს შეიცავს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, როცა საკანონმდებლო ხარვეზი ან ამ საკითხის ნორმატიული მოუწესრიგებლობა დასტურდება, შეიძლება ეს დისკრიმინაციის საფუძველი გახდეს.

შესაძლებელია მოვახდინოთ რელიგიური გაერთიანებების ზოგადი კლასიფიკაცია სახელმწიფოთა გამოცდილების გათვალისწინებით საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად. აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც რელიგიური პლურალიზმი და ტოლერანტობა უფრო მაღალ ხარისხს აღწევს, რელიგიურ გაერთიანებათა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ნაკლებად გავრცელებულია, რადგან ეს სახელმწიფოს მხრიდან უამ-

რავ პრივილეგიასთან (უფრო მეტად საგადასახადო) არის დაკავშირებული, რაც, რასაკვირველია, კონტროლშიც შეიძლება გადაიზარდოს. უნდა ითქვას, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის – ასოციაციის – სახით რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციას ბევრი ქვეყნის პრაქტიკა იცნობს, თუმცა ეს თითქმის არასდროს არის აბსოლუტურად ყველა კონფესიისათვის შექმნილი საერთო შესაძლებლობა და უფრო მეტად ალტერნატივას წარმოადგენს ნაკლებად აღიარებული და ე. წ. ახალი რელიგიებისათვის. რიგ ქვეყნებში რელიგიურ გაერთიანებებს შუალედური სტატუსიც გააჩნიათ და მათი საჯარო თუ კერძო სფეროსადმი კუთვნილების გარკვევაც რთულია, რადგან სახელმწიფოსთან ურთიერთობის ბევრი დეტალი მკვეთრი ზღვრის გავლებას აძნელებს.

ეუთო-ს წევრ ქვეყნებში რელიგიური გაერთიანებების სტატუსი და მათი რეგისტრაცია სხვადასხვაგვარად რეგულირდება.

გერმანიაში რელიგიური გაერთიანება შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირად. არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსის შესაძენად რელიგიურ გაერთიანებას დაბრკოლება არ ექმნება და არც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების აუცილებლობა არსებობს, თუმცა ამ სტატუსის მოპოვებაც ნებისმიერ რელიგიურ გაერთიანებას შეუძლია, თუკი დააკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს (გაერთიანების მუდმივობა და წევრთა გარკვეული რაოდენობა). გადაწყვეტილებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მიღების შესახებ მიწების მთავრობები იღებენ და ფედერალურ დონეზე ამ საკითხების დეტალური რეგლამენტაცია არც ხდება. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ყველა დომინანტ რელიგიას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი გააჩნია. გერმანიის კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეულ პრივილეგიებს დომინანტი რელიგიებისთვის. კერძოდ, ისინი გათავისუფლებული არიან გადასახადებისაგან, უფლება აქვთ საჯარო სკოლებში ასწავლონ რელიგია, ჯარში და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ეწეოდნენ ღვთისმსახურებას და დააწესონ საეკლესიო გადასახადი საკუთარი რელიგიური გაერთიანების წევრთათვის.

დიდ ბრიტანეთში რელიგიური გაერთიანებები საქველმოქმედო ორგანიზაციების სახით რეგისტრირდებიან. რეგისტრაციას ახორციელებს საქველმოქმედო საკითხთა კომისია რელიგიური გაერთიანების მიზნების განხილვის შემდგომ. დიდ ბრიტანეთში საქველმოქმედო ორგანიზაციები გადასახადებისაგან თავისუფლდებიან.

რელიგიურ გაერთიანებებს ან ცალკეულ პირებს დიდ ბრიტანეთში უფლება აქვთ ღვთისმსახურების ადგილის რეგისტრაციაც მოახდინონ და ქონების გადასახადითაც არ დაიბეგრონ.

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ეხება ტრადიციული, ანუ ანგლიკანური და პრესვიტერიანული ეკლესიის გარდა ყველა რელიგიას, რადგან ეს ორი ეკლესია განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობს და სხვა ნორმატიულ წესრიგს ეკუთვნის. ანგლიკანური, ანუ ინგლისის ეკლესიისა და პრესვიტერიანული, ანუ შოტლანდიის ეკლესიის უფლებამოსილების შესახებ ცალკე აქტები არსებობს.

საფრანგეთში რელიგიურ გაერთიანებებს უფლება აქვთ მიიღონ როგორც ჩვეულებრივი, ასევე კულტურული გაერთიანების სტატუსი, რაც საგადასახადო შეღავათებთან არის დაკავშირებული, თუმცა მისი მოპოვება უფრო რთულია, ვინაიდან კანონმდებლობა ანესებს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: ღვთისმსახურება როგორც ერთადერთი მიზანი და მისი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური მდგომარეობა.

გაერთიანების სტატუსის შესაძენად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე პრეფექტურაში რეგისტრაცია და ორი წევრის არსებობაც საკმარისია, რაც შეეხებათ კონგრეგაციებს, მათი აღიარება და ლიკვიდაცია პრემიერ —მინისტრის ბრძანებულებით ხდება.

აშშ-ში რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო ხასიათი საერთოდ არ გააჩნიათ. მათი რეგისტრაციის წესი ცალკეული შტატის კანონმდებლობით რეგულირდება და უმთავრესად მარტივი მექანიზმია. იურიდიული პირის სტატუსის მიღების შემდეგ რელიგიურ გაერთიანებებს გადასახადებისაგან გათავისუფლებული პირის სტატუსის მიღების უფლება აქვთ. აშშ-ის საგადასახადო კანონმდებლობა ასევე იცნობს სასულიერო პირთა ან რელიგიურ გაერთიანებათათვის გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს, თუმცა ეს მკვეთრად არადისკრიმინაციული ხასიათისაა.

ავსტრიაში რელიგიურ გაერთიანებები შეიძლება სამი ფორმით ჩამოყალიბდეს:

1. მორწმუნეთა საზოგადოება;
2. ეკლესია ან რელიგიური საზოგადოება;
3. არაკომერციული იურიდიული პირი — ასოციაცია.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებებია მიჩნეული და, შესაბამისად, საგადასახადო პრივილეგიებითაც ისინი სარგებლობენ, თუმცა სახელმ-

წიფოს მხრიდან მკაცრ კონტროლს ექვემდებარებიან და რიგ საკითხებში ანგარიშვალდებულებიც არიან მის წინაშე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მორწმუნეთა საზოგადოებების საქმიანობაშიც შეიძლება ჩაერიოს. მათ რეგისტრაციას განათლებისა და კულტურის სამინისტრო ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წევრთა რაოდენობა არანაკლებ 300-ია და ადგილობრივი თვითმმართველობის აქტებით განსაზღვრულია საზოგადოების სახელი, მიზნები, გაწევრიანების წესი, სტრუქტურა და ა.შ. ეკლესიად ან რელიგიურ საზოგადოებად აღიარებისათვის კი რელიგიური გაერთიანების წევრები მოსახლეობის 2%-ს უნდა შეადგენდნენ. გაერთიანება უკანასკნელი 20 წლის მანძილზე უნდა არსებობდეს და აქედან 10 წელი იურიდიული პირის სტატუსით. შეიძლება ითქვას, რომ მორწმუნეთა საზოგადოება რელიგიური საზოგადოების პრე-სტადიაა და ორივე მათგანის სტატუსით არსებობა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერასთან ერთად ზედამხედველობასაც გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მესამე ფორმა — ასოციაცია – თვალის ახვევა უფროა რელიგიის თავისუფლების საკანონმდებლო შეზღუდვის დასაფარად.

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა სივრცეს, მაგალითად, რუსეთში რელიგიური გაერთიანებები შეიძლება არსებობდნენ ორი სახით:

1. რელიგიური ჯგუფი.
2. რელიგიური ორგანიზაცია

რელიგიური ჯგუფი სახელმწიფო რეგისტრაციისა და იურიდიული პირის სტატუსის გარეშე არსებული რელიგიური გაერთიანებაა, რომელსაც ღვთისმსახურების, რელიგიური რიტუალებისა და ცერემონიების, ასევე რელიგიური სწავლებისა და აღზრდის განხორციელების უფლება აქვს; რელიგიური ორგანიზაცია კი იურიდიული პირის სტატუსის მქონეა. ის შეიძლება იყოს ადგილობრივი და ცენტრალური. ადგილობრივი რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნება შეუძლია არანაკლებ 10 მოქალაქეს, ცენტრალური რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებას კი 3 ადგილობრივი ორგანიზაციის არსებობა სჭირდება. რუსეთში რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციას იუსტიციის ორგანოები ახორციელებენ, ისევე, როგორც უზბეკეთის რესპუბლიკაში, სადაც რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის მოსაპოვებლად უზბეკეთის რესპუბლიკის ასი მოქალაქის ინიციატივაა საჭირო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ლიბერალურ გზას ჰოლანდია დაადგა, სადაც რელიგიური ორგანიზაციები კერძო სა-

მართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ და უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ საკუთარი იერარქია და სტრუქტურა; აკრძალული არაა კომერციული საქმიანობა, გადასახადების გადახდას კი საქველმოქმედო საქმიანობის შემთხვევაში არ ექვემდებარებიან.[29]

დაახლოებით ასეთი ტიპის ურთიერთობების მომხრეა რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ჯერჯერობით ერთადერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი – 1989 წელს „ევროპის ვენის შემაჯამებელი დოკუმენტი"[30], რომლის მე-16.3 პრინციპიც ეხება რელიგიური გაერთიანებების იურიდიულ სტატუსს, რაც გულისხმობს იმას, რომ იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების პროცედურა არ უნდა ატარებდეს ბიუროკრატიულ ხასიათს და თავად რელიგიური გაერთიანების თხოვნის საფუძველზე უნდა ხდებოდეს.

ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს მიერ 1999 წლის ევროპის კონფერენციაზე შემუშავებული რეკომენდაციის[31] მიხედვით:

- სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ ყველა ეფექტურ ზომას, რათა თავიდან აიცილონ რელიგიური ჯგუფების დისკრიმინაცია მათთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებისას.
- სახელმწიფომ რელიგიურ გაერთიანებებთან უნდა აწარმოოს დიალოგი მათი მოთხოვნილებების უკეთესი გაგების, ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის კლიმატის შესაქმნელად.
- არ უნდა იყოს სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნა, რადგან ეს უკანასკნელი არ არის „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".
- რელიგიური გაერთიანებების დაფუძნება უნდა ხდებოდეს სწრაფად, მარტივად და არ საჭიროებდეს მნიშვნელოვან ხარჯებს.
- რელიგიურ გაერთიანებებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რეგისტრაციაში გატარდნენ არასამეწარმეო ორგანიზაციების ფორმით და ამავე დროს განახორციელონ ყველა სახის რელიგიური საქმიანობა.

---

[29] აღნიშნულ ქვეყნებზე დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ წიგნში 'აღმსარებლობის თავისუფლება ევროპის წევრ ქვეყნებში"; თავისუფლების ინსტიტუტი 2002 წ.

[30] Итоговый документ Венской встречи 1989 г–принципи 16 и 17.

[31] Свобода религии или убеждений - закони влияющие на структуризацию религиозных общин-Обзорная конференция ОБСЕ –сентябрь 1999г-справочный документ БДИПЧ 1999\4.

- რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტების განხილვა უნდა ხდებოდეს ისე, რომ რელიგიურ დოქტრინაში ჩარევის რისკი იყოს მაქსიმალურად მცირე, ხოლო წარსადგენი დოკუმენტების რაოდენობა – მინიმალური.
- რელიგიური ორგანიზაციების შესახებ ახალი ნორმატიული აქტების შემუშავების დროს უნდა აიკრძალოს შეზღუდვისკენ მიმართული კანონის უკუქმედების ძალა.

იურიდიული პირის სტატუსი არის შესაძლებლობის მინიმუმი, რითაც რელიგიური გაერთიანება შეძლებს იჯარით იღებდეს, ფლობდეს შენობას და აღჭურვილობას, დებდეს ხელშეკრულებებს და ა.შ. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე, ანუ რელიგიური გაერთიანების ოფიციალურ აღიარებაზე, უარის თქმა ფაქტობრივად უარია რელიგიის თავისუფლებაზე.

რელიგიური გაერთიანებისთვის სამართალსუბიექტის სტატუსის მინიჭება რელიგიური გაერთიანების საკუთრების უფლების არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორია, ეს უფლება კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მათ საქმიანობას, რადგან რელიგიურ გაერთიანებათა მიერ რელიგიის თავისუფლებით გარანტირებული ფუნქციების განსახორციელებლად თანამედროვე, მუდმივად ცვალებად, სოციალურ გარემოში აუცილებელია ფლობდე, სარგებლობდე და განკარგავდე საკუთარ ქონებას.

რელიგიის თავისუფლების დაცვის გაძლიერების პარალელურად სახელმწიფოთა წინაშე წარსულში დარღვეული რელიგიურ გაერთიანებათა უფლებების აღდგენის ვალდებულება დგება, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, რელიგიურ გაერთიანებათა საკუთრებაში არსებული ქონების რესტიტუცია იგულისხმება.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ქვეყანაში ეს საკითხი დიდი ხნის წინ არის გადაწყვეტილი და ცხარე დებატებს აღარ იწვევს, მაგრამ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, სადაც რელიგიური გაერთიანებები არა მხოლოდ ექსპროპრიაციას, არამედ დევნასაც განიცდიდნენ, საკუთრების დაბრუნების საკითხი კვლავაც პრობლემატურია, რადგან ქონების განსახელმწიფოებრიობა რელიგიურის გარდა სხვა სფეროებში კვლავაც გადაწყვეტას საჭიროებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპის საბჭოს 1556(2002)-ე რეკომენდაციის თანახმად, სახელმწიფოებმა წარსულში ნაციონალიზებული რელიგიური ინსტიტუტების ქონების გარკვეულ ვადაში რესტიტუცია ან სათანადო კომპენსაცია უნდა მოახდინონ. ამავე რე-

კომენდაციით, სახელმწიფოებმა აღნიშნული საეკლესიო ქონების პრივატიზაცია თავიდან უნდა აიცილონ[32].

საინტერესოა, რა მექანიზმებს ვხვდებით სხვადასხვა ქვეყანაში რელიგიური გაერთიანებების საკუთრების უფლებისა და მისი დაბრუნების საკითხში. აღსანიშნავია, რომ აბსოლუტურად ყველა გზა განსხვავებულია და უნივერსალურ ეფექტურობაზე პრეტენზია ვერცერთს ვერ ექნება, თანაც ეს დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის პოლიტიკურ წარსულზე და რელიგიური გაერთიანებების თვისებებზე.

დიდ ბრიტანეთში ორი ტრადიციული რელიგიის პრივილეგიათა გათვალისწინებით არის უზრუნველყოფილი საეკლესიო საკუთრებაც. ინგლისისა და შოტლანდიის ეკლესიათა შესახებ აქტებით განსხვავებულია ამ ეკლესიათა საკუთრებაში არსებული ქონების მართვის წესი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ეკლესიის ცხოვრებაში საკმაოდ აშკარად ერევა, ეკლესიები ქონებრივ და ფინანსურ დამოუკიდებლობას მაინც ინარჩუნებენ.

დიდ ბრიტანეთში სახელმწიფოსა და ეკლესიების „საერთო ინტერესების" სფეროს მიკუთვნებული განსაკუთრებული კულტურული და ისტორიული ღირებულების მქონე ტაძრებისა და ღვთისმსახურების ადგილების რეკონსტრუქციისა და დაცვისათვის სახელმწიფო მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებებს ახორციელებს.

პოლონეთში კონსტიტუციაშივეა მოცემული, რომ რელიგიის თავისუფლება გულისხმობს რელიგიური, თუ საკულტო შენობების ფლობას, ხოლო რელიგიის თავისუფლების შესახებ კანონში კი ეკლესიათა საკუთრების უფლებაა მოწესრიგებული. აღსანიშნავია, რომ პოლონეთში დომინანტი რელიგია – კათოლიციზმი – პრივილეგირებულ მდგომარეობაშია და მისი საკუთრების უფლებაც გარანტირებულია, ხოლო ებრაელთა საზოგადოებას კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების კანონის საფუძველზე დაბრუნების შესაძლებლობები მიეცა, მათ მფლობელობაში არსებული ქონება კი საკუთრებად იქნა აღიარებული.

საფრანგეთში, მიუხედავად მისი მოსახლეობის უმრავლესობის კათოლიკური ეკლესიისადმი კუთვნილებისა, ეკლესიას 1905 წელს ნაპოლეონსა და რომის პაპ პიუს VI შორის დადებული 1801 წლის კონკორდატის გაუქმებით ჩამოერთვა საკუთრების უფლება კა-

[32] Recommendation 1556 (2002)–Religion and change in central and eastern Europe-Parliamentary Assembly of Council of Europe.

თოლიკურ ტაძრებზე. კათოლიკურ ეკლესიას ამ შენობების ფლობის უფლება აქვს, თუმცა როგორც სხვა ქვეყნებში, საფრანგეთშიც სახელმწიფო აფინანსებს ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ეკლესიათა რესტავრაციისა და შენახვის ხარჯებს. ასევე შესაძლებელია საკულტო ნაგებობათა ასაშენებლად სესხის მიღებაც.

ისტორიულ და კულტურულ ძეგლებად აღიარებული ტაძრების რეკონსტრუქციისა და შენახვისათვის სუბსიდიების გაცემა ჰოლანდიაშიც ხდება, თუმცა სხვა მხრივ ქონების რესტიტუციის საკითხიც დიდი ხნის წინ გადაწყდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის გარკვევის დასრულებით.

გერმანიაში რელიგიური გაერთიანების სტატუსზეა დამოკიდებული მისი საკუთრების უფლებაც, რადგან იმის მიხედვით, თუ რომელ იურიდიულ პირს, საჯაროს თუ კერძოს, წარმოადგენს რელიგიური გაერთიანება, განისაზღვრება საკუთრების საკითხიც. გერმანიის კანონმდებლობა სხვა გამონაკლისებს არ იცნობს.

აშშ-ში დღესდღეობით ეკლესია მთლიანად დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან, მათ შორის საკუთრების უფლების საკითხშიც, თუმცა რელიგიურ გაერთიანებას, როგორც იურიდიულ პირს, საკუთრების ფლობისა და განკარგვის უფლება გააჩნია და სახელმწიფო მას დახმარებას არ უწევს, ისინი ერთ სამართლებრივ რეჟიმში არიან მოქცეული ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

ავსტრიაში კათოლიკეების, პროტესტანტების, ებრაელებისა და ძველი კათოლიკეების ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა: ებრაელებს ერთჯერად თანხას უხდიან, კათოლიკეებს რესტიტუციის უფლებას ანიჭებენ, ოთხივე რელიგიას ყოველწლიურ ფიქსირებულ საკომპენსაციო თანხასა, ხოლო და ეკლესიის პერსონალის განსაზღვრულ რაოდენობას ყოველწლიურ ხელფასს უხდიან.[33]

რაც შეეხებათ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს, პოლონეთის მსგავსად, უნგრეთშიც მოხდა ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირება და ქონების რესტიტუციაც მიმდინარეობს კათოლიკეების, პრესვიტერიანელების, ევანგელისტების, ებრაელების, მართლმადიდებლებისა და ბაპტისტებისათვის.[34]

---

[33] აღნიშნულ ქვეყნებზე ინფორმაცია დაწვრილებით იხილეთ წიგნში: 'აღმსარებლობის თავისუფლება ეუთოს წევრ ქვეყნებში", თავისუფლების ინსტიტუტი, 2002.

[34] დაწვრილებით იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული კვლევა ეკლესიის საკუთრების რესტიტუციის შესახებ.

ჩეხეთში 1999 წელს უკვე ამოიწურა ქონების გადაცემის ვადა, თუმცა კათოლიკურ ეკლესიას, ებრაელთა საზოგადოებასა და ევანგელისტურ ეკლესიას სრულად არ დაჰბრუნებია საკუთრება და ამიტომ ეს პრობლემა კვლავაც მოუგვარებელია. ჩეხეთის მსგავსად, სლოვენიაშიც მიღებულია შესაბამისი კანონმდებლობა ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის შესახებ, თუმცა ჯერჯერობით ეს უკანასკნელი კათოლიკურ ეკლესიასა და ებრაულ საზოგადოებას მხოლოდ ნაწილობრივ დაუბრუნდა.

ლატვიაში რელიგიურ გაერთიანებებს ქონების დაბრუნების უფლება სასამართლოს მეშვეობით ეძლევათ, თანაც ეს აბსოლუტურად ყველა რელიგიის მიმდევარს ეხება, ხოლო ლიტვაში ეს საკითხი თითქმის გადაუჭრელია, რადგან 1995 წლის კანონის მიხედვით, რელიგიურ გაერთიანებად არ ჩაითვალა ებრაელთა საზოგადოება, რამაც მათი ქონებრივი რესტიტუცია შეაფერხა. მსგავსი სიტუაციაა რუმინეთშიც, სადაც საკანონმდებლო დონეზე არც მომხდარა რელიგიური გაერთიანებების საკუთრების საკითხის გარკვევა, ხოლო ბერძნული კათოლიკური ეკლესიისათვის ჩამორთმეული ქონების მართლმადიდებლური ეკლესიისათვის გადაცემამ კი საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა მისი ახლო მომავალში მოგვარება.

ხორვატიაში 1998 წელს ვატიკანთან დადებული კონკორდანტის შედეგად კათოლიკური ეკლესიის ქონების რესტიტუცია მოხდა, სხვა რელიგიური გაერთიანებები კი ყოველგვარი ყურადღების მიღმა დატოვეს.

რაც შეეხებათ ალბანეთსა და ბულგარეთს, აქ საეკლესიო ქონების რესტიტუცია ჯერ არ დასრულებულა, თუმცა საკანონმდებლო დონეზე პრობლემა უკვე გადაწყდა და შეუთანხმებლობა მხოლოდ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს.

ამრიგად, საეკლესიო ქონების რესტიტუცია ან სათანადო კომპენსაცია შესაძლოა მართლაც არის სამართლიანობის აღდგენის გარანტი, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც ამის აუცილებლობაა, შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი დაბრკოლებებიც არსებობს, რაც უდავოდ აძნელებს რელიგიური გაერთიანებების საკუთრების უფლების უზრუნველყოფას.

5. რელიგია და განათლება

რელიგიური განათლება ორ კომპონენტს მოიცავს. ერთი მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას რელიგიის თავისუფლება და არ დაუშვას დისკრიმინაცია. მეორე მხრივ, ადამიანის ერთ-ერთ ძირითად – განათლების – უფლებას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებით სწორედ ამ ორი უფლების არსიდან გამომდინარეობს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტები სახელმწიფოსგან არ მოითხოვენ სახელმწიფო სკოლებში განათლების სეკულარიზაციას, მაგრამ სახელმწიფოს ავალდებულებენ უზრუნველყოს ყველა რელიგიის ობიექტური და ნეიტრალური სწავლება, ისევე, როგორც ყველა მოსწავლის რელიგიურ მრწამსის პატივისცემა. ამას გარდა რელიგიური განათლება გულისხმობს შემწყნარებლობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის კულტურის დამკვიდრებასაც.

საინტერესოა, რომ ბავშვისთვის რელიგიური განათლების არჩევის უფლება, უპირველეს ყოვლისა, მის მშობლებსა და სხვა კანონიერ წარმომადგენლებს ეკუთვნით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების მიხედვით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26.3-ე მუხლით მშობლებს აქვთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის განათლების შერჩევის პრიორიტეტი. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-18.4 მუხლით პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლების უფლებას, საკუთარ მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტის მე-13.3 მუხლით კი სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლების თავისუფლებას, აირჩიონ არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფალთა მიერ დაარსებული, არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან მოწონებული საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნის მინიმუმს შეესაბამებიან და უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის მიხედვით. ევროპის კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით კი „სახელმწიფო ნებისმიერი იმ ფუნქციის შესრულების დროს, რომელსაც განათლებისა და სწავლების სფეროში თავის თავზე იღებს, პატივს

სცემს მშობელთა უფლებას, ბავშვებს საკუთარი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება მიაღებინონ. ხოლო 1981 წლის 25 ნოემბრის დეკლარაციაში რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ მე-5 მუხლში ვკითხულობთ:

1. მშობლებს და შესაბამის შემთხვევაში კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, ოჯახის ფარგლებში განსაზღვრონ ბავშვის ცხოვრების ის ფორმა თავიანთი რელიგიის, რწმენისა და იმ ზნეობრივი აღზრდიდან გამომდინარე, რომელიც, მათი აზრით, ბავშვმა უნდა მიიღოს.

2. ყველა ბავშვს აქვს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს განათლებაზე რელიგიის, რწმენის სფეროში მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების სურვილის შესაბამისად, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ ბავშვის იძულება დაუშვებელია მისივე ინტერესებიდან გამომდინარე.

3. ყველა ბავშვი დაცულია რელიგიისა და რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლენისგან. ის უნდა იქნეს აღზრდილი ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა შორის მეგობრობის, საყოველთაო ძმობის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემის სულისკვეთებით. ასევე იმის სრული შეგნებით, რომ მისი ენერგია და შესაძლებლობები სხვა ადამიანთა კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს.

4. თუ ბავშვი თავისი მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მზრუნველობის ქვეშ არ იმყოფება, აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული მათ მიერ გამოხატული ან ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი ნება რელიგიისა და რწმენის საკითხთან დაკავშირებით, ამასთან სახელმძღვანელო პრინციპი ბავშვის ინტერესებია.

5. რელიგიის ან რწმენის პრაქტიკა, რომელშიც ბავშვის აღზრდა მიმდინარეობს, არ უნდა აყენებდეს მის ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობას ან სრულყოფილ განვითარებას ზიანს 1.3 მუხლის თანახმად", ამ უკანასკნელში იგულისხმება ისეთი დასაშვები შეზღუდვები, როგორიცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოება, წესრიგი, ჯანმრთელობა ან მორალი. ასევე სხვათა ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები. აღნიშნულ დეკლარაციაში არ არის განსაზღვრული, თუ რა ასაკის ადამიანი ითვლება ბავშვად, თუმცა ეს შეიძლება ბავშვის უფლებათა

კონვენციის მიხედვით განისაზღვროს, სადაც 18 წელია მითითებული და ასევე საუბარია ბავშვის ინტერესებზეც განსხვავებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტისა და ევროპის კონვენციისაგან. სახელმძღვანელო პრინციპი – ბავშვის ინტერესები – მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების თავისუფლების შემზღუდავი დათქმაა და ის უდავოდ მნიშვნელოვანი დებულებაა აღნიშნულ დეკლარაციაში. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-14.2 მუხლით კი გარანტირებულია მშობელთა უფლებები და მოვალეობები, საკუთარი მრწამსის მიხედვით უზრუნველყონ ბავშვის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ისე, როგორც შეესაბამება ბავშვის შესაძლებლობებსა და განვითარების დონეს".

სხვადასხვა ქვეყანაში რელიგიური განათლების განსხვავებული მეთოდი არსებობს და იგი მერყეობს კონფესიური განათლების მიღებიდან სასკოლო პროგრამიდან რელიგიის საერთოდ გამორიცხვამდე.

საფრანგეთში განათლება მთლიანად სეკულარიზებულია. სკოლები, რომლებიც სახელმწიფოს ექვემდებარებიან, არ არიან უფლებამოსილნი სასკოლო პროგრამებში რელიგია შეიტანონ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საშინაო განათლების მიღების ალტერნატივა, სახელმწიფო ამ სფეროსაც აკონტროლებს, რაც ბავშვის ინტერესებით არის განპირობებული.

პოლონეთში, მიუხედავად იმისა, რომ მშობლები წყვეტენ თავიანთ ბავშვების რელიგიური განათლების საკითხს, სახელმწიფოს როლი მაინც დიდია, რადგან კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფოს რელიგიური განათლების უზრუნველყოფის ვალდებულება აკისრია, რაც ადრე არსებული საერო განათლების პრინციპის საწინააღმდეგოდ არის მიღებული, თუმცა თავად რელიგიის თავისუფლების პრინციპი ეჭვქვეშ დგება.

გერმანიაში რელიგიური განათლება სახელმწიფო სკოლებში სავალდებულო ხასიათს არ ატარებს, თუმცა ყველა რელიგიის სწავლების შესაძლებლობა არის გათვალისწინებული და თოთხმეტი წლის შემდეგ ბავშვები თავად აკეთებენ არჩევანს, აღნიშნულ ასაკამდე კი მშობლები იღებენ გადაწყვეტილებას შვილების რელიგიური განათლების შესახებ.

დიდ ბრიტანეთში რელიგიური განათლება სახელმწიფოს მიერ კონ-ტროლირებადი სფეროა და ეს უმეტესწილად ქრისტიანულ ტრადიციებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული რელიგიის გარ-და ყველა სხვა რელიგიის სწავლება არის ფაკულტატური ხასია-თის და დამოკიდებულია ამ რელიგიათა მიმდევრების ინიციატი-ვაზე, ყველაფერ ამას კი ტრადიციული ეკლესიის არსებობა განა-პირობებს[35].

აშშ-ში სრულიად საერო განათლება და ყველა რელიგიის თანაბარი სტატუსი განათლების საკითხში ძალიან პრობლემურია, რადგან ყოველივე ეს უნდა გადაწყდეს რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფის ფარგლებში. თუმცა აშშ-ში საჯარო სკოლებში სასკოლო პროგრამები არა მხოლოდ ითვალისწინებენ ყველა აღი-არებული რელიგიის სწავლებას, არამედ სახელმწიფო უზრუნვე-ლყოფს ყველა კონფესიის წარმომადგენლის თანაბარ სტატუსს და მეტიც, ხელსაც უწყობს სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მქონე მოსწავლეებს.[36]

რელიგიის სწავლება სავალდებულოა ავსტრიის სახელმწიფო სკოლებშიც. ისევე როგორც გერმანიაში, რელიგიაში ყველა რელი-გია იგულისხმება, ხოლო ბავშვებს თოთხმეტი წლის მერე არჩევა-ნის შესაძლებლობა აქვთ, თოთხმეტი წლამდე კი ეს მშობლებზეა დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები თვითონ წყვეტენ, თუ რომელი მოდელი არის უმჯობესი, საგანმანათლებლო სისტემა რელიგიის სფეროში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინ-სტრუმენტების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, ანუ რე-ლიგიური განათლება ტოლერანტობის კულტურის – განსხვავე-ბული რელიგიური მრწამსის პატივისცემის – დამკვიდრებას უნდა უწყობდეს ხელს. რელიგიური განათლება მოიცავს არა მარტო საკ-უთარი რელიგიის ცოდნისა და ღირებულებების ტრანსმისიას, არამედ სხვა რელიგიათა და რწმენათა სწავლებასა და პატივისცე-მას. რელიგიური განათლება ხელს უნდა უწყობდეს ადამიანის უფლებათა დაცვას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, ტოლერან-

[35] აღნიშნულ ქვეყნებზე ინფორმაცია დაწერილებით იხილეთ წიგნში: 'აღმ-სარებლობის თავისუფლება ეუთოს წევრ ქვეყნებში", თავისუფლების ინსტი-ტუტი, 2002.

[36] "Finding common ground"-A first amendment guide to religion and public edu-cation- The freedom forum first amendment center at Vanderbilt University 1994.

ტობას; საჯარო სკოლებში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა რელიგიის პატივისცემა, ამისათვის კი სასკოლო პროგრამა არ უნდა იყოს სტრუქტურირებული ისე, რომ მან მოსწავლეების დისკრიმინაცია გამოიწვიოს. რელიგიის მასწავლებლები უნდა იყვნენ კვალიფიციურნი და თავიანთი მოვალეობა ობიექტურად უნდა შეასრულონ რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ფენომენისთვის დამახასიათებელი ემოციური ელემენტების გათვალისწინებით[37].

საჯარო სკოლებში ასევე დაცული უნდა იქნეს მორწმუნე მოსწავლეთათვის დასვენების დღეებისა და არდადეგების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება საპატიო გაცდენებისა და დავალების შესრულებისთვის ალტერნატიული თარიღის დანიშვნაში. მოსწავლეებს ასევე არ უნდა შეუშალონ ხელი, ატარონ რელიგიური სიმბოლოები და ტანსაცმელი, თუ აკრძალვა არ არის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალისა ან სხვათა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისთვის.

სახელმწიფოს ვალდებულება ეკისრება, საჯარო სკოლებში უზრუნველყოს რელიგიური განათლების არადისკრიმინაციული ხასიათი, ხოლო რელიგიური ინსტრუქციით სწავლება კი არ შეზღუდოს კერძო სკოლებში. მშობლების ალტერნატივაა, შვილებს საკუთარი რელიგიური და მორალური მრწამსის შესაბამისად მიაღებინონ განათლება.

სახელმწიფოს მიერ აუცილებლად გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებები, მოცემულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რეკომენდაციებში. №1178 (1992 წ.), რეკომენდაციის მიხედვით, „ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს ფაქტობრივ ინფორმაციას აღიარებული რელიგიებისა და მათი ძირითადი სახესხვაობების, შედარებითი რელიგიათმცოდნეობის, ეთიკისა და პიროვნული და სოციალური უფლების შესახებ"[38].

ევროპის საბჭოს №1202 (1993 წ.)[39] რეკომენდაციის მიხედვით კი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს რელიგიური და ეთიკური საგნებ-

---

[37] Recommendation on freedom of religion in education-Committe of Experts of the International Religious Liberty Association.

[38] Recommendation 1178(1992)(1) on sects and new religious movements.

[39] Recommendation 1202(1993)(1) on religious toleranee in a democratia society.

ის მთავარ სასკოლო პროგრამებში არსებობა და რელიგიის სასკოლო წიგნებში (მათ შორის ისტორიის წიგნებშიც) ფრთხილად და გამოცალკევებულად შეტანა; ასევე, კლასებში მიღწეულ უნდა იქნეს სხვადასხვა რელიგიის უფრო ღრმად და უკეთესად შესწავლა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კონკრეტული პირის რელიგიური ან ეთიკური პრინციპები არის ნამდვილი ტოლერანტობის აუცილებელი პირობა და სნორედ ეს შეიძლება იყოს ინდიფერენტიზმისა და უარყოფითი შედეგებისაგან დაცვის საშუალება. დაფუძნებულ უნდა იქნეს „რელიგიის ისტორიის სასკოლო წიგნის კონფერენცია", რომელიც შემდგარი იქნება სკოლაში სასწავლებლად განკუთვნილი თეოლოგების, ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების მიერ შედგენილი ძირითადი ტექსტებისა და დოკუმენტაციების შეკრების მიზნით. ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე ახალგაზრდობის შეხვედრებისა და დისკუსიების მოწყობას და რელიგიური ტოლერანტობის დამკვიდრებას.

ევროპის საბჭოს 1396(1999)-ე რეკომენდაციაში კი ვკითხულობთ: განათლება არის სტერეოტიპებთან და გულგრილობასთან ბრძოლის ძირითადი საშუალება. უნდა მოხდეს სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამების სასწრაფოდ გადამუშავება სხვადასხვა რელიგიის უკეთესი გაგების მიზნით. რელიგიური ინსტრუქცია არ უნდა იქნეს მიღებული კაცობრიობის ისტორიის, კულტურისა და ფილოსოფიის სავალდებულო საგნების ხარჯზე[40].

ამრიგად, რელიგიის თავისუფლება განათლების სფეროშიც უნდა იყოს მიღწეული და პირიქით, განათლების უფლების სრული რეალიზაციისათვის რელიგიის სფერო აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. საერთო ჯამში კი რელიგიური განათლება უნდა ემსახურებოდეს რელიგიური ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის იდეას.

[40] Recommendation 1396(1999)(1) Religious end democracy.

6. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკა

ბუსკარინი და სხვები სან მარინოს წინააღმდეგ (1999 წ.)

BUSKARINI AND OTHERS V. SAN MARINO (1999)

1993 წლის 30 მაისს განმცხადებლები არჩეულ იქნენ მთავარ საზოგადოებრივ საბჭოში (**General Grand Council**), რომელიც სან მარინოს ძირითადი საკანონმდებლო ორგანოა.

სან მარინოს საარჩევნო კანონის თანახმად (კანონი №36, 1958, სექცია 55), ახლად არჩეულ პარლამენტის წევრებს მოეთხოვებოდათ ფიცის დადება, რომელიც რელიგიურ მომენტებს შეიცავდა. განმცხადებლები ითხოვდნენ, რომ მათთვის მიეცათ ნება, ფიცი დაედოთ რელიგიური აქცენტების გამოტოვებით.

საკუთარი მოთხოვნის გასამყარებლად განმცხადებლები მიუთითებდნენ 1974 წლის უფლებათა დეკლარაციის მე-4 მუხლზე, რომლითაც გარანტირებულია რელიგიის თავისუფლება და კონვენციის მე-9 მუხლზე.

1993 წლის 18 ივნისს მთავარი საზოგადოებრივი საბჭოს სესიაზე განმცხადებლებმა დადეს წერილობითი ფიცი, სადაც გამოტოვეს მითითება წმინდა სახარების შესახებ. ამავე დროს პირველმა აპლიკანტმა ყურადღებავი: გაამახვილა სან მარინოს მიერ ევროსაბჭოსთან მიერთების შემდგომ აღებულ ვალდებულებათა მნიშვნელობაზე.

1993 წლის 12 ივლისს მთავარი საზოგადოებრივი საბჭოს სამდივნომ გამოთქვა მოსაზრება, რომ ფიცი განმცხადებლების მიერ დადებული იყო არასწორად და ძალაში შესულად ვერ ჩაითვლებოდა.

1993 წლის 26 ივლისს მთავარმა საზოგადოებრივმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც განმცხადებლებს მოუწოდებდა ფიცის თავიდან დადებას წმინდა სახარებაზე მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში განმცხადებლები ვერ შესძლებდნენ ადგილების დაკავებას პარლამენტში.

განმცხადებლები დაემორჩილნენ მთავარი საზოგადოებრივი საბჭოს გადაწყვეტილებას და დადეს ფიცი სრული ტექსტის შესაბამ-

ისად. ამავე დროს მათ განაცხადეს, რომ აღნიშნული ფაქტით დაირღვა მათი რელიგიისა და სინდისის თავისუფლება.

საბოლოოდ, სანამ განმცხადებლები მიმართავდნენ კომისიას 1993 წლის 29 ოქტომბრის კანონით (კანონი 115), საარჩევნო კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც პარლამენტის ახლად არჩეულ წევრებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, დაედოთ ფიცი რელიგიური აქცენტების გამოტოვებით.

საქმის წარმოება კომისიაში

ბატონებმა ბუსკარინიმ, დელ ბალდამ და მანზაროდიმ კომისიას მიმართეს 1995 წლის 17 ნოემბერს. ისინი აცხადებდნენ, რომ კონვენციით გარანტირებული რელიგიისა და სინდისის თავისუფლება დაირღვა.

1997 წლის 7 აპრილს კომისიამ განაცხადი დასაშვებად ჩათვალა. 1997 წლის 2 დეკემბერს კომისიამ დაადგინა, რომ მე-9 მუხლი დაირღვა.

სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მე-9 მუხლით უზრუნველყოფილი აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს კონვენციით ნაგულისხმევი „დემოკრატიული საზოგადოების" საფუძველს. ეს უფლება მორწმუნეთა ცნობიერებისა და მათი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ერთ-ერთი სასიცოცხლო ელემენტია. ამასთანავე, იგი ფასეული ათეისტების, აგნოსტიკოსების, სკეპტიკოსებისა და იმ პირებისათვის, რომელნიც ინდიფერენტულად ეკიდებიან ამ საკითხებს. დემოკრატიული საზოგადოებისაგან განუყოფელი პლურალიზმი, რომლის მოპოვებაც შესაძლებელი გახდა საუკუნეების მანძილზე ბრძოლის შედეგად, დამოკიდებულია ამ უფლებაზე (იხილეთ: გადაწყვეტილება საქმეზე კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ. 1993 წლის 25 მაისი. $31). აღნიშნული თავისუფლება გულისხმობს, ინტერ ალია, პიროვნების თავისუფლებას, ჰქონდეს ან, პირიქით, არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი, აღასრულოს ან არ აღასრულოს რელიგიური ნესები და ჩვეულებები.

მოცემულ საქმეში განმცხადებლების იძულება, დაედოთ რელიგიური შინაარსის ფიცი საპარლამენტო ადგილების დასაკავებლად, წარმოადგენდა მე-9 მუხლის შეზღუდვას. იმისათვის, რათა გაირკვეს შეზღუდვის შესაბამისობა მე-9.2. მუხლთან, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა შეზღუდვა „გათვალისწინებული კანონით",

ემსახურებოდა თუ არა კანონიერ მიზანს და იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".

როგორც კომისიამ აღნიშნა, შეზღუდვა ეფუძნებოდა საარჩევნო კანონის 55-ე სექციას, შესაბამისად, მე-9.2 მუხლის მიზნებისათვის შეზღუდვა იყო „გათვალისწინებული კანონით".

მთავრობამ ხაზი გაუსვა საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ რელიგიური ფიცის დადების მნიშვნელობას, რომელიც, მათი აზრით, არის ლოიალურობის გამოვლინება რესპუბლიკური ღირებულებების მიმართ. აღნიშნული ფიცის დადებით ტრადიციული ღირებულებებისადმი პატივისცემის გამოხატვა, მთავრობის აზრით, აუცილებელი იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით.

სან მარინოს ისტორია და ტრადიციები, მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაფუძნდა წმინდანის მიერ, დაკავშირებული იყო ქრისტიანობასთან. თუმცა დღეისათვის ფიცის რელიგიური მნიშვნელობა შეცვლილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, საზოგადოების სოციალური ერთობისა და ტრადიციული ინსტიტუტებისადმი პატივისცემის შენარჩუნების მეშვეობით.

სასამართლოს აზრით, ეჭვგარეშეა, რომ სან მარინოს კანონმდებლობა ზოგადად იძლევა გარანტიებს სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისთვის. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, აპლიკანტებისათვის წმინდა სახარებაზე დაფიცების მოთხოვნის ფაქტი ტოლფასია იმისა, რომ მათთვის მოგვეთხოვა ამა თუ იმ რელიგიისადმი ერთგულებისა და ლოიალობის გამოჩენა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლებისადმი დაწესებული შეზღუდვა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" კანონიერი მიზნის მისაღწევად.

ამ საფუძვლით სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ მე-9 მუხლი დაირღვა.

ჩაარე შალომ ვე ტსედეკი საფრანგეთის წინააღმდეგ (27 ივნისი, 2000)

JEWISH LITURGICAL ASSOCIATION CHA'ARE SHALOM VE TSEDEK V. FRANCE (27. JUNE 2000)

იუდაიზმის კანონით ნებადართული კოშერული საკვების გამოყენების ძირითადი პრინციპები მოცემულია თორაში. ეს არის წმინდა წერილი, რომელიც ბიბლიის პირველ ხუთ წიგნს აერთიანებს (ხუთწიგნეული – დაბადება, გამოსვლა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯული).

გამომდინარე იქიდან, რომ ებრაელებს ეკრძალებათ სისხლიანი ხორცის ჭამა, საკლავის კურთხევის შემდეგ დასაკლავად გამზადებულ ცხოველს ყელი უნდა გამოჭრან. კერძოდ კი საკლავის დაკვლა უნდა მოხდეს ბასრი დანის ერთი გამოსმით ისე, რომ რაც შეიძლება ბევრი სისხლი დაიღვაროს.

გარდა ამისა, საკლავის დაკვლის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს, ხომ არ აღენიშნება ხორცს ავადმყოფობის ან ანომალიის ნიშნები; თუკი ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სულ მცირედი ეჭვი მაინც არსებობს, ხორცი საკვებად უვარგისად ცხადდება. საკლავის რიტუალური წესით დაკვლა – შეჩიტაჰი —მხოლოდ შოჩეტის მიერ უნდა განხორციელდეს. ის უნდა იყოს ღირსეული პიროვნება, განსაკუთრებული მორალურობითა და უზადო პატიოსნებით შემკული. მყიდველების უზრუნველსაყოფად, რომ საკლავი ებრაული კანონის დაცვით არის დაკლული, კომპეტენტური რელიგიური ორგანო გასცემს მოწმობას, რომ ეს საკვები „კოშერულია." ასეთი მოწმობა გადასახადების მოკრების საფუძველია, რაც საკლავის გადასახადის ან რაბინული გადასახადის სახელითაა ცნობილი.

როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, საფრანგეთშიც ებრაელებისა და მუსლიმების მიერ მოთხოვნილი საკლავის დაკვლის რიტუალი რელიგიურ-სარწმუნოებრივ მოსაზრებათა გამო ენინააღმდეგება პრინციპს, რომლის თანახმადაც საკლავი უნდა დაათრონ და მიიყვანონ უგრძნობელობამდე, ზედმეტი ტანჯვის არიდების მიზნით. მხოლოდ ამ მდგომარეობაში მყოფ ცხოველს ასალმებენ სიცოცხლეს. ყოველივე ამის მიუხედავად, საკლავის დაკვლის რიტუალი ნებადართულია საფრანგეთის კანონმდებლობით, ევროპის საბჭოს კონვენციით დასაკლავ ცხოველთა შესახებ და ევროპის 1993 წლის 22 დეკემბრის ევროპული დირექტივით.

საკლავის დაკვლის რიტუალი რეგულირდება საფრანგეთის კანონით, რომლის მე-10 მუხლის თანახმად:

"საკლავის დაკვლის რიტუალის შესრულება დაუშვებელია ჩვეულებრივ სასაკლაოს გარდა სხვაგან. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, ასეთი რიტუალის შესრულების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ არიან დამტკიცებული. საკლავის დაკვლის რიტუალის აღმსრულებლებს ასეთი უფლებამოსილების მინიჭების დოკუმენტური მტკიცება უნდა ჰქონდეთ."

2. პარიზის ებრაული კონსისტორიალური ასოციაცია

1982 წლის 1 ივლისს საკლავის რიტუალურ დაკვლაზე საჭირო ნებართვის გაცემის უფლებამოსილება გაერთიანებულ რაბინულ კომიტეტს მიენიჭა. გაერთიანებული რაბინული კომიტეტი პარიზის ებრაული კონსისტორიული ასოციაციის ნაწილია (*ACIP*).

3. ლიტურგიკული ასოციაცია „ჩაარე შალომ ვე ტსედეკი"

ლიტურგიკული ასოციაცია „ჩაარე შალომ ვე ტსედეკი" 1986 წლის 16 ივნისს ჩამოყალიბდა და მისი ოფისი კამელოტში, პარიზშია, რეგისტრირებული.

მოსარჩელე ასოციაცია დაარსდა როგორც უმცირესობათა მოძრაობა, რომელიც გამოეყო პარიზში მოქმედ ებრაულ ცენტრალურ კონსისტორიას. მათი წევრები იცავენ რელიგიას **უმკაცრესი ორთოდოქსულობით**. კერძოდ კი, მოსარჩელე ასოციაციის სურვილია, აღასრულოს საკლავის დაკვლის რიტუალი უფრო მკაცრი წესების დაცვით, ვიდრე ეს ხორციელდება პარიზის ცენტრალური კონსისტორიის მიერ დანიშნული პასუხისმგებელი პირების მიერ. ეს უკავშირდება საკლავის შემოწმებას, რომ მას არ ჰქონდეს ავადმყოფობის ან ანომალიის რაიმე ნიშანი.

იმისათვის, რომ ხორცი მიჩნეული იყოს მოსაწონად, „*glatt*", საკლავი რაიმე სიბინძურის მატარებელი არ უნდა იყოს, ანუ მას არ უნდა ემჩნეოდეს ადრე გადატანილი ავადმყოფობის კვალი, განსაკუთრებით კი ფილტვებზე. მოსარჩელე ასოციაციის განცხადებით, ამ რიტუალის აღმსრულებლები ბინ დინის ხელმძღვანელობით,

ACIP –ის რაბინული სასამართლო, ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც 1982 წლის 1 ივლისს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ იქნა დამტკიცებული, აღარ ახდენს საქონლის დეტალურ შემოწმებას. მოსარჩელე ასოციაციის განცხადების მიხედვით, ხორცი, რომელსაც ყასბები ყიდიან ცენტრალური კონსისტორიის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე როგორც კოშერულს, მისი წევრების მიერ ბინძურად და, მაშასადამე, საკვებად უვარგისადაა მიჩნეული.

მოსარჩელე ასოციაციამ განაცხადა, რომ თავიანთ მხარდამჭერთათვის კოშერული ხორცის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ისინი იძულებული არიან, არალეგალურად განახორციელონ საკლავის დაკვლა და ჩამოიტანონ ის ბელგიიდან.

სარჩელის წარდგენის საფუძვლები

1987 წლის 11 თებერვალს მოსარჩელე ასოციაციამ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოითხოვა თანხმობა საკლავის დაკვლის რიტუალის განხორციელებაზე. ეს განცხადება 1987 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების თანახმად არ დაკმაყოფილდა. საფუძველი ის ფაქტი იყო, რომ ასოციაცია საფრანგეთის ებრაელთა სათემოში საკმარისი წარმომადგენლობით არ სარგებლობდა და 1905 წლის 9 დეკემბრის სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფის შესახებ აქტის IV მუხლის საფუძველზე რელიგიურ ასოციაციად არ ითვლებოდა.

მოსარჩელე ასოციაციამ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება პარიზის ადმინისტრაციულ სასამართლოში. საფუძველი იყო რელიგიის თავისუფლების დარღვევა, რაც 1905 წლის 9 დეკემბრის ეკლესიებისა და სახელმწიფოს გაყოფის შესახებ აქტის I ნაწილითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით იყო გარანტირებული.

1989 წლის 28 ივნისს ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ასოციაციის საჩივარი.

1987 წლის 11 თებერვალს, მოსარჩელე ასოციაციამ Deux-Services დეპარტამენტის პრეფექტსაც წარუდგინა განცხადება ასოციაციის წევრი სამი ყასბის სახელით, რომელთაც შეეძლოთ კერძო ნებართვებით საკლავის რიტუალური დაკვლის აღსრულება ამ დეპარტამენტის სპეციალურ განყოფილებაში.

1987 წლის 29 აპრილს პრეფექტმა არ მიიღო ეს განცხადება იმ საფუძველზე, რომ 1980 წლის 1 ოქტომბრის №80-791 განკარგულების მე-10.3 მუხლი პრეფექტებს ანიჭებდა უფლებას, ნებართვა გაეცა ყასბებზე მხოლოდ მაშინ, თუ არც ერთ რელიგიურ ორგანიზაციას არ ჰქონდა ამის ნებართვა აღებული. ცხოველთა რიტუალური დაკვლის გაერთიანებულ რაბინულ კომიტეტზე კი უკვე გაცემული იყო ასეთი ნებართვა.

1990 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პოიტიერის ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ მიიღო პრეფექტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი.

კანონი

მოსარჩელე ასოციაციამ, რომლის არგუმენტებიც კომისიის მიერ იყო დამტკიცებული, განაცხადა, რომ საკლავის დაკვლის რიტუალის აღმსრულებელთათვის ამ უკანასკნელის ჩატარებისათვის საჭირო ნებართვაზე უარით და ამ უფლების მხოლოდ ACIP-სათვის გადაცემით საფრანგეთის ხელისუფლებამ დაარღვია მათი უფლება, ექადაგათ საკუთარი რელიგია იუდაიზმის ყველა მოთხოვნის დაცვით. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა კონვენციის მე-9 მუხლს როგორც მარტო აღებულს, ისე მე-14 მუხლთან კავშირში.

სასამართლო, კომისიის მსგავსად მიიჩნევს, რომ საეკლესიო თუ რელიგიურმა პირმა მისი მხარდამჭერების სახელით შესაძლოა ისარგებლოს კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებით. მოცემულ შემთხვევაში მორწმუნეთა თემი – მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა რელიგიის წარმომადგენლები არიან – საფრანგეთის კანონის თანახმად, ლიტურგიკული ასოციაციის სახით უნდა ჩამოყალიბდეს როგორც მოსარჩელე ასოციაცია.

შემდეგ სასამართლო დასძენს, რომ მე-9 მუხლი იძლევა იმ ფორმების ჩამონათვალს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება რელიგიისა და რწმენის გამომჟღავნება. ესაა აღმსარებლობა, სწავლება, რიტუალების შესრულება და დაცვა. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ საკლავის რიტუალური წესით დაკვლა, როგორც თვითონ სახელწოდება მიუთითებს, წარმოადგენს რიტუალს, რომლის მიზანია ებრაელთა უზრუნველყოფა ისეთი ხორცით, რომელიც რელიგიური წესების დაცვით იყო დაკლული, რაც იუდაიზმის მსახურების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. მოსარჩელე ასოცი-

აციაში მუშაობენ საკლავის რიტუალური წესით დაკვლის აღმსრულებლები და კაშრუტის ინსპექტორები, ვინც საქონელს დადგენილი წესების დაცვით კლავს და, შესაბამისად, ეს არის მოსარჩელე ასოციაცია, რომელიც სერთიფიცირებას უწევს რა თავისი წევრების კუთვნილ ხორცის მაღაზიაში გასაყიდ კოშერული ხორცს, ახორციელებს საკლავის რიტუალური დაკვლის განხორციელებაზე რელიგიურ ზედამხედველობას.

რამდენადაც საკლავის რიტუალური დაკვლა კონვენციით, კერძოდ კი მე-9 მუხლით გარანტირებულ რიტუალების შესრულებისა და დაცვის უფლებას შეესაბამება, ზემოაღნიშნული რიტუალის განხორციელებაზე საფრანგეთის მთავრობის უართან დაკავშირებით მოსარჩელე ასოციაცია შეიძლება კონვენციის მე-9 მუხლს დაეყრდნოს.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ პრინციპზე გამონაკლისის დაშვებით, რომლის თანახმადაც ცხოველები დაკვლამდე უნდა დაათრონ, საფრანგეთის კანონმა პოზიტიურ ვალდებულებას პრაქტიკული ეფექტი შესძინა. 1980-ე განკარგულება ამ თავისუფლების განხორციელების შეზღუდვის ნაცვლად ამ უფლებით შეუზღუდავ სარგებლობაზე მიუთითებს.

სასამართლო ითვალისწინებს, იმ გარემოებას, რომ საკლავის რიტუალური დაკვლის პროცედურათა რეგულირებისთვის შექმნილი გამონაკლისი წესები მხოლოდ რიტუალის აღმსრულებლებს აძლევს ამ პროცესში მონაწილეობის უფლებას (რომლებიც საეკლესიო პირების მიერ არიან უფლებამოსილნი) და ეს არ ნიშნავს რელიგიის თავისუფლად გამჟღავნებაში ჩარევას. სასამართლო, მთავრობის მსგავსად ასკვნის, რომ ზოგად ინტერესში შედის საკლავის დაკვლის რეგულირების საკითხი და, შესაბამისად, უფრო მისაღებია, რომ საკლავის რიტუალური კვლის შემთხვევაში ეს მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სპეციალურ დანესებულებაში განხორციელდეს. შესაბამისად, 1982 წელს ACIP – ისათვის, როგორც ცენტრალური კონსისტორიის განშტოებისათვის, რომელიც საფრანგეთის ებრაულ თემში ყველაზე დიდი წარმომადგენლობით სარგებლობს, სახელმწიფოს მიერ მინიჭებული დასტური რელიგიის გამჟღავნების თავისუფლების უფლებას არ არღვევს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ასოციაციის მიერ გამოყენებული საკლავის დაკვლის მეთოდი ზუსტად იგივეა, როგორც ACIP-ის, ამ რიტუალის აღმსრულებლებისა. არსებითი სხვაობა

მდგომარეობს უფრო მეტ გულმოდგინებას იჩენენ მოკლული ცხოველის ფილტვების შემოწმებაში.

სასამართლოს აზრით, რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დადასტურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არალეგალური რიტუალური კვლის ჩატარება ულტრა-ორთოდოქსიებრაელებისათვის შეუძლებელს გახდის იმ ცხოველებს ხორცის ჭამას, რომელიც რელიგიურ წესთა დაცვით იქნა განხორციელებული.

მაგრამ ეს არ არის ის შემთხვევა. სადავო არ არის, რომ მოსარჩელე ასოციაციამ ადვილად შეიძლება მოიპოვოს "glatt" ხორცის მარაგი ბელგიიდან. უფრო მეტიც, წერილობითი მტკიცებულებები და სასამართლო წარმომადგენლობის ოფიციალური ანგარიშები ცხადყოფს, რომ ACIP-ის კონტროლის ქვეშ ფუნქციონირებად მთელ რიგ ხორცის მაღაზიებში იყიდება ხორცი, რომელიც ბეს დინის დამოწმებულია, როგორც "glatt" და ეს ხელმისაწვდომია ებრაელებისათვის.

რამდენადაც ცნობილია, მოსარჩელე ასოციაცია აცხადებდა, რომ ის უნდობლობით ეკიდებოდა ACIP-ის მიერ უფლებამოსილ რიტუალის აღმსრულებლებს. ეს უკავშირდებოდა დაკლული ცხოველის ფილტვების შემოწმებისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენას. მაგრამ სასამართლო ითვალისწინებს, რომ კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული რელიგიის თავისუფლება არ მოიცავს უფლებას, პირადად მიიღოს ადამიანმა მონაწილეობა საკლავის დაკვლის რიტუალის აღსრულებასა და შემდგომ მისი სერტიფიცირების პროცესში. ამის გათვალისწინებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელე ასოციაცია და მისი წევრები რეალურად არ არიან მოკლებული შესაძლებლობას, მოიპოვონ და იკვებონ ისეთი ხორცით, რომელიც, მათი მოსაზრებით, უფრო მეტად შეესაბამება რელიგიურ წესებს.

რადგანაც არ დამტკიცდა, რომ ებრაელებს, რომლებიც მოსარჩელე ასოციაციაში შედიან, არ აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ "*glatt*" ხორცი, არც ის, რომ მოსარჩელე ასოციაციას არ ძალუძს ხორცით მათი უზრუნველყოფა ACIP-ისგან მიღებული თანხმობით რიტუალში მონაწილეობის მისაღებად მასთან შეთანხმების მიღწევით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ სადავო ნებართვაზე უარის თქმა მოსარჩელე ასოციაციის რელიგიის გამომჟღავნების თავისუფლებაში ჩარევას არ გულისხმობს.

ეს ფაქტები სასამართლოს ათავისუფლებს მოსარჩელე ასოციაციის მიერ განხილული შეზღუდვების კონვენციის მე-9 მუხლის მეორე პარაგრაფში მოცემულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისაგან. თუმცა იმის დაშვება, რომ ეს შეზღუდვა შესაძლებელია განხილული იყოს როგორც რელიგიის გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა, სასამართლოს აზრით გაუმართლებელია, რადგან მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ღონისძიება, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული, კანონიერ მიზანს ემსახურება, კერძოდ კი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რამდენადაც ღვთისმსახურებაზე სახელმწიფოსაგან უფლებამოსილი ორგანიზაცია ესადაგება რელიგიური შემწყნარებლობისა და ჰარმონიის მოთხოვნებს.

შესაბამისად, კონვენციის მე-9 მუხლი არ დარღვეულა.

რაც შეეხება მოსარჩელე ასოციაციის განცხადებებს, რომ ის დისკრიმინაციას განიცდიდა, რადგან მხოლოდ ACIP –ს ჰქონდა ნებართვის გაცემის უფლება, სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის ინსტიტუტების მიერ მიღებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მე-14 მუხლი მხოლოდ ავსებს კონვენციისა და ოქმის სხვა არსებულ დებულებებს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მოყვანილი ფაქტები კონვენციის მე-9 მუხლის ჩარჩოებში ექცევა და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში მე-14 მუხლის გამოიყენება დასაშვებია. თუმცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა, რომ არ დადასტურდა მოსარჩელე ასოციაციის რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მართალია, სხვადასხვაგვარ მოპყრობასთან გვქონდა საქმე, მაგრამ ეს თავსდებოდა ზომიერების ფარგლებში, ემსახურებოდა კანონიერ მიზანს და „გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანთა შორის გონივრულ პროპორციულობა იყო" . ასეთ განსხვავებულ მოპყრობას, როგორც მოცემულ შემთხვევაში გვქონდა, ობიექტური და გონივრული გამართლება ჰქონდა პრეცედენტულ სამართალში.

შესაბამისად, კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლები არ დარღვეულა.

ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ (23 ივნისი, 1993)

HOFFMANN V. AUSTRIA (23 JUNE 1993)

ავსტრიის მოქალაქე, ქალბატონი ინგრიდ ჰოფმანი, 1980 წელს დაქორწინდა ბატონ ჩ-ზე, იმ დროისათვის ისინი ორივე რომის კათოლიკური ეკლესიის მიმდევრები იყვნენ.

მოგვიანებით ქალბატონი ჰოფმანი გახდა იეჰოვას მოწმეთა სექტის მიმდევარი და 1986 წელს განქორწინდა მეუღლესთან.

განქორწინების შემდეგ განმცხადებელმა და ბატონმა ჩ-მ მიმართეს ინსბრუკის საოლქო სასამართლოს თავიანთ მცირეწლოვან შვილებზე მეურვეობის უფლების მისაღებად.

საქმესთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა

ა) სამოქალაქო კოდექსი. 117-ე მუხლი.

(1) კანონიერი ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლების განქორწინების შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, როცა მშობელთა განშორება ატარებს დროებით ხასიათს, მშობლებს უფლება აქვთ სასამართლოს წარუდგინონ შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რომელი მათგანი განახორციელებს მეურვეობის უფლებას.

2) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული ან სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ მშობელს უნდა ეკუთვნოდეს მეურვეობის უფლება მომავალში. იმ შემთხვევაში, როცა მშობელთა განშორება ატარებს დროებით ხასიათს, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის თხოვნის საფუძველზე.

ქორწინების პერიოდში, ასევე განქორწინების შემთხვევაში, სასამართლოს გარკვეულ გარემოებებში შეუძლია მშობელთა შორის მეურვეობასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება გააუქმოს ან შეცვალოს საკუთარი გადაწყვეტილებით ამ კოდექსის 176-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ამბობს: იმ შემთხვევებში, როცა მშობელთა ქმედება საფრთხეს უქმნის ბავშვის კეთილდღეობას, სასამართლო ვალდებულია, ნებისმიერი პირის მიმართვის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის ინტერესების დასაცავად. ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ მშობლები ვერ შეძლებენ შეთანხმებას.

ბ) რელიგიური ცხოვრების რეგულირება.

რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია ქვეყნის ძირითადი კანონის მე-14 მუხლით, რომლის თანახმადაც:

„1. რელიგიური მრწამსისა და სინდისის აღმსარებლობა გარანტირებულია ყველასათვის.

2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა არ არის დამოკიდებული რელიგიური კონფესიისადმი კუთვნილებაზე, თუმცა რელიგიის აღმსარებლობამ არ შეიძლება ხელი შეუშალოს სამოქალაქო ვალდებულებების შესრულებას".

ავსტრიაში არსებობს რელიგიური გაერთიანებების აღიარების სისტემა, რომელიც მოცემულია 1874 წლის 20 მაისს მიღებულ აქტში „რელიგიური გაერთიანებების იურიდიული აღიარების შესახებ". ამ აქტის შესაბამისად მხოლოდ ხუთი რელიგიური მიმდინარეობაა აღიარებული ოფიციალურად. მათ შორის არის რომის კათოლიკური ეკლესიაც, მაგრამ არა იეჰოვას მოწმეთა სექტა. რელიგიურ ჯგუფებს, რომელნიც არ არიან იურიდიულად აღიარებული, აქვთ „საზოგადოების" სტატუსი საერთო სამართლის შესაბამისად.

ა,:ბავშვთა რელიგიური განათლება რეგულირდება ფედერალური აქტით „ბავშვთა რელიგიური განათლების შესახებ". აღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად, „ბავშვთა რელიგიური განათლება განისაზღვრება მშობელთა ურთიერთშეთანხმებით იმ დრომდე, სანამ მათ აქვთ ბავშვის აღზრდის ვალდებულება. აღნიშნული შეთანხმება შეიძლება გაუქმებულ იქნეს ნებისმიერ დროს ან შენყდეს ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალებისას".

მუხლი 2.

„1. თუ აღნიშნული შეთანხმება არ დადებულა ან შემდგომში გაუქმდა, რელიგიური განათლება რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის ბავშვთა აღზრდის შესახებ დებულების შესაბამისად".

ინსბრუკის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება

ბატონმა ჩ-მ განაცხადა, რომ თუ ბავშვებზე მეურვეობის უფლებას მიიღებდა დედა, ამ ფაქტს უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო ბავშვების განვითარებაზე. იგი აცხადებდა, რომ იეჰოვას მოწმეთა კონფესიის საგანმანათლებლო პრინციპები ანტისაზოგადოებრივია, რადგან ისინი მოუწოდებენ სხვა ადამიანებთან ურთ-

იერთობისაგან თავის შეკავებისაკენ, კრძალავენ პატრიოტული გრძნობების გამოხატვას (მაგალითად, ნაციონალური ჰიმნის სიმღერა) და ხელს უშლიან რელიგიური შემწყნარებლობის სულისკვეთების ჩამოყალიბებას. ყველაფერმა ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის სოციალური იზოლაცია. ამას გარდა, სისხლის გადასხმის აკრძალვის წესმა, რომელიც იეჰოვას მოწმეთა სექტის პრინციპია, შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას ბავშვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. რაც შეეხება მათ შვილს, მარტინს, იგი იძულებული გახდება უარი თქვას როგორც სავალდებულო სამხედრო, ასევე ალტერნატიულ სამსახურზე.

განმცხადებელი თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ მას უკეთ შეეძლო ბავშვების აღზრდა და მზად იყო გაეღო ყველაფერი ოჯახში მათთვის სათანადო ატმოსფეროს შესაქმნელად. იგი ასევე აცხადებდა, რომ ბატონი ჩ არაფერს აკეთებდა ბავშვების აღზრდის თვალსაზრისით, რაც ეწინააღმდეგება როგორც კანონისმიერ, ასევე მორალურ მოთხოვნებს.

1986 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით საოლქო სასამართლომ მზრუნველობის უფლება მიაკუთვნა ქალბატონ ჰოფმანს.

რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება

ბატონმა ჩ-მ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა რეგიონალურ სასამართლოში. საჩივრის მთავარ საფუძველს წარმოადგენდა არგუმენტი, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ბავშვების ინტერესებს იმის გამო, რომ მათი დედა იყო იეჰოვას მოწმეთა სექტის წევრი. ამასთან დაკავშირებით ბატონი ჩ მსჯელობდა იმ მიზნებზე, რომელიც დამახასიათებელია დასახელებული სექტისათვის, ასევე სოციუმთან დაკავშირებით მათ შეხედულებაზე, რომელიც, მისი აზრით, არასნორი და არაჯანსაღია.

რეგიონალურმა სასამართლომ აღნიშნული არგუმენტები უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა საჩივარი: „იეჰოვას მოწმეთა საზოგადოება, რომელსაც ბიბლიის თავისებური გაგება აქვს, ავსტრიაში აკრძალული არ არის. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მიზნები არ ეწინააღმდეგება არც კანონის და არც მორალის მოთხოვნებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დედის იეჰოვას მოწმეთა სექტაში წევრობის ფაქტმა არ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვების კეთილდღეობას".

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ბატონმა ჩ-მ რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შესამოწმებლად საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს.

1986 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ინსბრუკის რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება და ბავშვების მეურვეობის უფლება ნაცვლად ქალბატონი ჰოფმანისა, მიაკუთვნა მის ყოფილ მეუღლეს.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ქვემდგომმა სასამართლოებმა არ დაუთმეს სათანადო ყურადღება მომავალში ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის ფაქტს. ასევე შესაძლო საფრთხეს, რომელიც დაემუქრებოდათ ბავშვებს სისხლის გადასხმის აუცილებლობის შემთხვევაში, რამეთუ დედა, თავისი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, აღნიშნულზე არ მისცემდა თანხმობას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით სისხლის გადასხმის ნებართვის მიღებას დასჭირდებოდა დიდი დრო, რასაც სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა... ასევე დადგენილი იყო, რომ, ფაქტობრივად, ბავშვების აღზრდა ხდებოდა იეჰოვას მოწმეთა რელიგიური სწავლების მიხედვით, რაც იძლეოდა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ისინი სრულწლოვანების მიღწევისას თავად გახდებოდნენ აღნიშნული რელიგიური კონფესიის მიმდევრები.

საქმის განხილვა კომისიაში

ქალბატონმა ჰოფმანმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას 1987 წლის 20 თებერვალს. იგი მოითხოვდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების (კონვენციის მე-8 მუხლი), რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობისა (მე-9 მუხლი) და შვილების საკუთარი რელიგიური თუ ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად აღზრდის უფლების (პირველი ოქმის მე-2 მუხლი) აღდგენას. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ განიცადა დისკრიმინაცია რელიგიური მოსაზრებების გამო (მე-9 მუხლი მე-14-სთან კავშირში).

კომიტეტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ:

ა) დაირღვა მე-8 მუხლი მე-14-სთან კავშირში.

ბ) არ იდგა მე-9 მუხლის, როგორც დამოუკიდებლად, ისე მე-14-თან კავშირში განხილვის საკითხი.

გ) დაირღვა პირველი ოქმის მე-2 მუხლი.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დადასტურდა განსხვავებული მოპყრობა და ეს განპირობებული იყო რელიგიური მოტივებით. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს ავსტრიის უზენაესი სასამართლოს ტონიდან და გადაწყვეტილების ფორმულირებიდან. „ობიექტური და გონივრული მოსაზრებების" გარეშე აღნიშნული განსხვავებული მოპყრობა შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო მიიჩნევს: მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, იგი არ იყო მისაღწევი მიზნის პროპორციული. შესაბამისად, დაირღვა მხოლოდ მე-8 მუხლი მე-14-სთან კავშირში.

კალაჯი თურქეთის წინააღმდეგ (1 ივლისი, 1997 წ.), KALAC V. TURKEY (1 JULE 1997)

თურქეთის მოქალაქე ბატონი ფაროკ კალაჯი, მსახურობდა სამხედრო სასამართლოში სამართლებრივი მრჩევლის თანამდებობაზე თურქეთის სამხედრო საჰაერო ძალებში.

1990 წლის 1 აგვისტოს უმაღლესმა სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამი ოფიცრისა (მათ შორის კალაჯის) და ოცდარვა სერჟანტის გათავისუფლების შესახებ; გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ბრალდება დისციპლინის დარღვევისა და სკანდალური ქცევის შესახებ. სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება შეიცავდა განსაკუთრებულ კრიტიკას განმცხადებლისა და მისი ქმედების მიმართ, ადასტურებდა მის „კანონსაწინააღმდეგო ფუნდამენტალისტური მრწამსისადმი კუთვნილებას".

შეიარაღებული ძალების უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო:

1990 წლის 21 სექტემბერს კალაჯმა მიმართა შეიარაღებული ძალების უმაღლეს ადმინისტრაციულ სამხედრო სასამართლოს მის მიმართ 1990 წლის 1 აგვისტოს გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რადგან თურქეთის კონსტიტუციის 125-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საქმესთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა:

ა) კონსტიტუცია,

მუხლი 24.

ყველა ადამიანს აქვს სინდისისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლება. ლოცვა, ღვთისმსახურება და რელიგიური რიტუალები ტარდება თავისუფლად და მათი შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირობების დარღვევის შემთხვევაში.

დაუშვებელია ადამიანის იძულება, ლოცვაში, ღვთისმსახურებასა და რელიგიურ რიტუალებში მიიღოს მონაწილეობა ან გამოხატოს საკუთარი რელიგიური მრწამსის.

დაუშვებელია პიროვნების დევნა რელიგიური მრწამსის ან შეხედულებების გამო.

დაუშვებელია რელიგიის, რელიგიური გრძნობების ან საკულტო საგნების ბოროტად გამოყენება.

მუხლი 14.

დაუშვებელია მოცემულ კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა ისე, რომ ზიანი მიადგეს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხალხის განუყოფელ ერთობას, თურქეთის სახელმწიფოს არსებობას; მიზნად დაისახოს სახელმწიფოზე კონტროლის ერთი პირისათვის გადაცემა ან საზოგადოების ერთი კლასის მეორეზე გაბატონება; ენის, რასის, რელიგიის ან რელიგიური სექტისადმი კუთვნილების გამო დისკრიმინაციული მოპყრობის დაწესება..

მუხლი 25.

ხელისუფლების ნებისმიერი მოქმედება ან გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯულ იქნას სასამართლო წესით...

რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებანი უშუალოდ მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, ასევე უმაღლესი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებანი, სასამართლო წესით გადასინჯვას არ ექვემდებარებიან.

მუხლი 139.

დაუშვებელია მოსამართლეთა და პროკურორთა თანამდებობიდან მოხსნა და გათავისუფლება კონსტიტუციაში მითითებული სათანადო ასაკის მიღწევამდე მათი თანხმობის გარეშე...

გამონაკლისის სახით შესაძლოა მოსამართლეთა და პროკურორთა გასამართლება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ასევე, როდესაც დადგენილია პირის არაქმედუნარიანობა, შეასრულოს სამუშაო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, და მათი, ვის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაც მიჩნეულია არამიზანშეწონილად.

ბ) კანონი იურიდიული სამხედრო სამსახურის შესახებ (კანონი №357)

თავი 14. მუხლი 22 (c)

იმ სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, მიუხედავად მათი სამსახურებრივი კონტრაქტის ხანგრძლივობისა, რომელთა მსახური შე-

იარაღებულ ძალებში ჩაითვლება არაგონივრულად მათ მიერ დისციპლინის დარღვევის ან ამორალური ქმედების გამო, ერთ-ერთ ქვემოთ მოყვანილ საფუძველზე და რომელიც დადგენილ იქნება სამხედრო მოსამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული პირადი დოკუმენტაციით, გავრცელდება თურქეთის საპენსიო კანონის შესაბამისი დებულებები.

...თუ მათი მოქმედება და საკუთარი შეხედულებების გამოხატვის ფორმები უკანონო ხასიათს ატარებს.

გ) კანონი სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ (კანონი №926)

ოფიცერთა და სერჟანტთა შეფასების წესები, მუხლი 99.

თუ სამხედრო მოსამსახურის ქმედებიდან ჩანს, რომ იგი არის უკანონო, სეპარატისტული ან ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის მატარებელი ან აქტიურ მონაწილეობას იღებს ამგვარი იდეების განხილვაში... მის მიმართ გამოიყენება იძულებითი გათავისუფლების პროცედურა.

საქმის განხილვა ადამიანის უფლებათა კომისიაში

ბატონმა კალაჯმა მიმართა კომისიას 1992 წლის 13 ივლისს. მიუთითებდა რა კონვენციის მე-9 მუხლზე, იგი აცხადებდა, რომ მისი იურიდიული კონსულტანტის თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა რელიგიური მრწამსის გამო.

კომისიამ განაცხადი დასაშვებად მიიჩნია 1995 წლის 10 იანვარს. საკუთარ მოხსენებაში 1996 წლის 24 თებერვალს კომისიამ გამოთქვა ერთსულოვანი მოსაზრება, რომ მე-9 მუხლი დაირღვა.

სამართლებრივი საკითხები

I. საქმის არსი.

სასამართლოს მიმართ გაკეთებულ შენიშვნებში განმცხადებელმა მე -9 მუხლთან ერთად დამატებით მიუთითა მე-6.1 მუხლის შესაძლო დარღვევაზეც, რადგან მისი საქმე არ განხილულა სასამართლო წესით.

რამდენადაც უკანასკნელი განაცხადი კომისიის წინაშე არ გაკეთებულა მის მიერ საქმის დასაშვებად გამოცხადების სტადიაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის განხილვა სცილდება მოცემული საქმის ფარგლებს და დაკმაყოფილდა მეცხრე მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხით.

II. კონვენციის მე-9 მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხი

ა) მთავრობის წინასწარი პროტესტი

მთავრობამ კომისიას გადასცა სამ ნაწილად დაყოფილი წინასწარი პროტესტი, თუმცა სასამართლოს წინაშე ფაქტების აღნუსხვისას მან წარმოადგინა პროტესტის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მიუთითებდა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა ამოწურული უფლების დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება და გამოტოვა დანარჩენი ორი ნაწილი, რომელიც ეხებოდა კომისიის არასაკმარის კომპეტენციას ratione materiae და განმცხადებლის მიერ აპლიკაციის კონვენციით განსაზღვრული 6 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ წარდგენას. 1997 წლის 17 თებერვლის მოსმენებზე მთავრობა უთითებდა რა პროტესტების პირველ ნაწილზე, ამტკიცებდა სასამართლოს არასათანადო კომპეტენციას ratione materiae მოცემულ საქმესთან მიმართებაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული პროტესტი არ საჭიროებდა განხილვას, როგორც სასამართლო წესების 48.1-ე პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევით წარდგენილი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადება აპლიკანტის მიერ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამოუწურაობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან თურქეთის კონსტიტუციის 125-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილების სასამართლო წესით გასაჩივრება შეუძლებელია.

ბ) საქმის განხილვა არსებითად

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იძულებითი გათავისუფლება სამხედრო იურისკონსულტანტის თანამდებობიდან არღვევდა მის რელიგიური აღმსარებლობის უფლებას, რადგან გათავისუფლების ძირითადი მოტივი მისი აღმსარებლობა იყო.

განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავს დებულებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ტერმინი „უკანონო ფუნდამენტალისტური შეხედულებები", რაც მისი გათავისუფლების საფუძველი გახდა. როგორც მუსლიმური რელიგიის აღმსარებელი, იგი იცავდა რამადანის ჩვეულებას და ასრულებდა ლოცვას ხუთჯერ დღის განმავლობაში. სახელმწიფოს მიერ სასამართლოსადმი წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდებოდა, რომ იგი იყო ფუნდამენტალისტური მუსლიმური დაჯგუფების, სულეიმანთა სექტის

წევრი, რომლის შესახებაც მას მანამდე გაგონილიც არ ჰქონდა. ამასთანავე, უმაღლესი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით დაირღვა კონსტიტუციის 139-ე მუხლი, რომელიც მოსამართლეთა ხელშეუხებლობას ეხება.

სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ პრობლემას საფუძვლად ედო შეიარაღებულ ძალებში ბატონ კალაჯის წევრობის შენარჩუნების საკითხი. მისი იძულებით გათავისუფლება არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებაში ჩარევის მცდელობად; სახელმწიფოს მიზანი იყო იურიდიული სამხედრო სამსახურიდან იმ პირის გათავისუფლება, რომელიც არ ამჟღავნებდა სათანადო লოიალობას თურქეთის სახელმწიფოს მიმართ. განმცხადებელი ფორმალურად თუ არა, ფაქტობრივად მაინც განეკუთვნებოდა სულეიმანთა სექტას და მონაწილეობდა სხვადასხვა სახის საქმიანობაში, რომელიც მათ რელიგიურ მოღვაწეობას უკავშირდებოდა. სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვეოდა, რომ კალაჯი ხშირად უწევდა იურიდიულ კონსულტაციას სექტის წევრებს. ასევე ხშირად უწყობდა ხელს მათ სხვადასხვა სამხედრო თანამდებობებზე დანიშვნას და ბოლოს, შეიარაღებულ ძალებში რელიგიური აღმსარებლობის შესაძლებლობა თანაბრად აქვთ როგორც მუსლიმური, ისე არამუსლიმური რელიგიის მიმდევრებს. თუმცა მე-9 მუხლის მოქმედების სფერო არ შეიძლება გავრცელდეს ფუნდამენტალისტური მიმდინარეობის წევრებზე, რამდენადაც მათი საქმიანობა გამოინვევს შეიარაღებულ ძალებში იერარქიული წონასწორობისა და მასზე დამოკიდებული დისციპლინის დარღვევას.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმის, რომ რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს უპირატესად პირადი სინდისის სფეროს, იგი ასევე გულისხმობს, ინტერ ალია, მრწამსის გარეგან გამოხატვას, როგორც კერძოდ, ასევე საჯაროდ, მარტო თუ სხვებთან ერთად.

კონვენციის მე-9 მუხლი მოიცავს გარკვეულ ჩამონათვალს იმ ფორმებისა, რომლებიც შესაძლოა რელიგიის თავისუფლება იქნეს გამოვლენილი. თუმცა მე-9 მუხლი იცავს არა ყოველგვარ მოქმედებას, რომელიც რელიგიითაა მოტივირებული. უფრო მეტიც, პიროვნებამ საკუთარი რელიგიური აღმსარებლობისას მხედველობაში უნდა მიიღოს ის სპეციფიკური სიტუაცია, რომელშიც იმყოფება.

ირჩევდა რა სამხედრო მოსამსახურის კარიერას, ბატონი კალაჯი საკუთარი ნების საფუძველზე აღიარებდა სამხედრო დისციპლინას, რომელიც თავისი ბუნებით გულისხმობს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას ცალკეულ უფლებებსა და თავისუფლებებზე და რომელთა გამოყენებაც სამოქალაქო პირებთან მიმართებაში შეიძლებოდა ჩათვლილიყო დარღვევად.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ განმცხადებელს სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრული ცხოვრების წესების პირობებში ჰქონდა მუსლიმური რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობის შესაძლებლობა. კერძოდ, მას უფლება ჰქონდა ელოცა დღის განმავლობაში 5-ჯერ და ასევე შეესრულებინა სხვა რელიგიური ვალდებულებები. მაგალითად, პარასკევობით მეჩეთში, ლოცვა.

უმაღლესი სამხედრო საბჭოს განკარგულება განპირობებული იყო არა კაპიტან კალაჯის სამხედრო მრწამსით ან იმით, თუ როგორ ასრულებდა იგი საკუთარ რელიგიურ ვალდებულებას, არამედ მისი ქცევითა და გამოხატული პრეტენზიებით. თურქეთის ხელისუფლების აზრით, ამგვარი ქმედება წარმოადგენდა სამხედრო დისციპლინის დარღვევას.

ამგვარად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლის სამსახურიდან იძულებით გათავისუფლება არ წარმოადგენს კონვენციის მე-9 მუხლით აღიარებულ მის უფლებაში ჩარევას, რადგანაც განმცხადებლის გათავისუფლება არ იყო განპირობებული იმით, თუ როგორ აღასრულებდა იგი საკუთარ რელიგიურ მრწამსს.

ამ საფუძველზე სასამართლომ ერთხმად დაადგინა, არ მიეღო მთავრობის წინასწარი პროტესტი და რომ კონვენციის მე-9 მუხლი არ დარღვეულა.

კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ (25 მაისი, 1993)

KOKKINAKIS V. GREECE (25 MAY,1993)

საბერძნეთის კანონმდებლობაში არსებული პროზელიტიზმის აკრძალვა იქცა პირველ რეალურ საქმედ, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა, სადაც განმცხადებლად გვევლინებოდა მინოს კოკინაკისი, ხოლო მოპასუხედ – საბერძნეთის სახელმწიფო. მინოს კოკინაკისი დაახლოებით სამოცჯერ იყო დაპატიმრებული პროზელიტიზმისთვის.

1986 წლის 2 მარტს განმცხადებელი და მისი მეუღლე მივიდნენ ქალბატონი კორიაკისის სახლში და გამართეს მასთან დისკუსია.

სასამართლოში მოწმედ გამოძახებულმა კორიაკისმა განაცხადა: „ისინი მესაუბრებოდნენ ისეთ საკითხებზე, რომლებსაც კარგად ვერ ვიგებ . . . ეს იყო არა განხილვა, არამედ მათი მხრიდან განუწყვეტელი მონოლოგი . . . მათ რომ ეთქვათ, იეჰოვას მოწმეები იყვნენ, სახლში არ შევუშვებდი. შეიძლება მათ მითხრეს კიდეც რაიმე ჩემი რელიგიური მრწამსის დასაკნინებლად, მაგრამ საუბარს ზეგავლენა არ მოუხდენია ჩემს რწმენაზე."

ლასითის სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილება

კოკინაკისების საქმის განხილვისას ლასითის სისხლის სამართლის სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

„მოპასუხეები, რომლებიც მიეკუთვნებიან იეჰოვას მოწმეთა სექტას, ცდილობდნენ თავიანთ რელიგიაზე გადაებირებინათ მართლმადიდებელი ქრისტიანები და პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩარეულიყვნენ მათ რწმენაში იმ განზრახვით, რომ დაეკნინებინათ ეს რწმენა, სარგებლობდნენ რა კორიაკისების გამოუცდელობით, დაბალი ინტელექტითა და გულუბრყვილობით. . . კოკინაკისები თავიანთი გაწაფული განსჯითა და ახსნა-განმარტებებით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ქალბატონი კორიაკისი, შეეცვალა თავისი ქრისტიანული მართლმადიდებლური რწმენა".

სასამართლომ გარდა პატიმრობისა, კოკინაკისებს დააკისრა ჯარიმის გადახდა და მოახდინა იმ 4 ბროშურის კონფისკაცია და განადგურება, რომელთა კორიაკისისთვის მიყიდვის იმედიც ჰქონდათ განმცხადებლებს.

კრეტის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

კრეტის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქალბატონი კოკინაკისის მსჯავრდება და ძალაში დატოვა მისი მეუღლის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა პატიმრობის ვადა შეამცირა და შეცვალა იგი ფულადი ჯარიმით.

კრეტის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„დამტკიცდა, რომ კოკინაკისი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ცდილობდა ჩარეულიყო განსხვავებული რელიგიური რწმენის მქონე სხვა პიროვნების მრწამსში იმ განზრახვით, რომ შეეცვალა ეს რწმენა, სარგებლობდა რა მისი გამოუცდელობით, დაბალი ინტელექტითა და გულუბრყვილობით. კოკინაკისი კითხულობდა ბიბლიის ნაწყვეტებს, სთავაზობდა კორიაკისს ლიტერატურას და პირდაპირ თუ არაპირდაპირ ცდილობდა დაეკნინებინა კორიაკისის რელიგიური მრწამსი"

სასამართლომ გაამართლა ელიზავეტა კოკინაკისი (მინოს კოკინაკისის მეუღლე) „ვინაიდან არ არსებობს დამამტკიცებელი საბუთი, რომ კოკინაკისის მეუღლე ელიზავეტა მონაწილეობდა მეუღლის მიერ ჩადენილ დანაშაულში, იგი მეუღლეს უბრალოდ თან ახლდა".

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული აზრი

სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთმა მოსამართლემ გადაწყვეტილებას დაურთო თავისი განსხვავებული აზრი. მოსამართლე მიიჩნევდა, რომ „ასევე უნდა მომხდარიყო პირველი მოპასუხის გამართლება, რადგან არ არსებობს რაიმე დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ კორიაკისი გაუთვითცნობიერებულია მართლმადიდებლურ ქრისტიანულ დოქტრინაში, დაქორწინებულია რა კანტორზე, არ არის განსაკუთრებით დაბალი ინტელექტის მქონე ან იმდენად გულუბრყვილო, რომ ამით ესარგებლა მოპასუხეს და დაერწმუნებინა იგი, გამხდარიყო იეჰოვას მოწმეთა სექტის წევრი."

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

კოკინაკისმა შეიტანა აპელაცია საკასაციო სასამართლოში და იგი ამტკიცებდა კანონის არაკონსტიტუციურობას, მაგრამ სასამართლომ მისი განაცხადი არ დააკმაყოფილა.

სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „კანონი მიზნად ისახავს კონსტიტუციის 1-ლი და მე-2 მუხლების მოთხოვნათა შეს-

რულებას. ჩარევა საბერძნეთის სახელმწიფო რელიგიაში, კერძოდ კი მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის აღმსარებლობაში, არა თუ არ ეწინააღმდეგება 1975 წლის კონსტიტუციის მე-13 მუხლს, არამედ სრულიად შეესაბამება მთლიანად კონსტიტუციას, რომელიც აღიარებს სინდისის თავისუფლების ხელშეუვალობას რელიგიურ საკითხებში და უზრუნველყოფს ნებისმიერი ცნობილი რელიგიის აღმსარებლობას."

კოკინაკისი მიიჩნევდა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული სინდისისა და რელიგიის თავისუფლება და სწორედ ამის გამო მიმართა მან ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კოკინაკისის საქმის განხილვისას გამოთქვა შემდეგი მოსაზრებები პროზელიტიზმსა და რელიგიის, რწმენისა და აღმსარებლობის საკითხებთან მიმართებით:

„ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-9 მუხლით უზრუნველყოფილი აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს კონვენციით ნაგულისხმევი „დემოკრატიული საზოგადოების" საფუძველს. ეს უფლება მორწმუნეთა ცნობიერებისა და ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ერთ-ერთ სასიცოცხლო ელემენტია. ამასთანავე, იგი ფასეულია ათეისტების, აგნოსტიკოსების, სკეპტიკოსებისა და იმ პირებისთვის, რომლებიც ინდიფერენტულად ეკიდებიან ამ საკითხებს. დემოკრატიული საზოგადოებისაგან განუყოფელი პლურალიზმი, რომლის მოპოვებაც შესაძლებელი გახდა საუკუნეების მანძილზე ბრძოლის შედეგად, დამოკიდებულია ამ უფლებაზე. მაშინ, როდესაც რელიგიური თავისუფლება წარმოადგენს პიროვნების სინდისის საკითხს, იგი ასევე მოიცავს „რელიგიის გამომჟღავნების თავისუფლებასაც". მორწმუნე საუბრისას თუ ქმედებისას გამსჭვალულია რელიგიური მრწამსით.

მე-9 მუხლის თანახმად, რელიგიის გამომჟღავნების თავისუფლება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ სხვებთან ერთად, „საჯაროდ" და იმ პირთა წრეში, რომელთა რწმენასაც პირი იზიარებს, არამედ ასევე „მარტოც", „კერძოდ". უფრო მეტიც, პრინციპში იგი მოიცავს პირის უფლებას, ეცადოს დაარწმუნოს, მაგალითად, თავისი მეზობელი სწავლებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის გარემოებებისა და სასამართლოთა შესაბამისი გადაწყვეტილებებით წარმოდგენილი პრაქტიკული დასაბუთების გათვალისწინებით, პასუხისმგებლობის სადავო ზომა გათვალისწინებულია კანონით და ემსახურება კანონიერ მიზანს, მაგრამ ეს ნორმა არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„პირველ რიგში, ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა იქნეს ქრისტიანული რწმენის პროპაგანდა და გაუმართლებელი პროზელიტიზმი.

პირველი შეესაბამება ჭეშმარიტ ევანგელიზმს, რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ეგიდით შემუშავებული 1956 წლის მოხსენება, როგორც ყოველი ქრისტიანისა თუ ეკლესიის ძირითად მისიასა და პასუხისმგებლობას. ხოლო უკანასკნელი კი მისი მიუღებელი ფორმაა. ამავე მოხსენების მიხედვით მან შეიძლება ისეთი საქმიანობის ფორმა მიიღოს, რომელიც ცალკეულ პირებს სთავაზობს გარკვეულ მატერიალურ ან სოციალურ უპირატესობას, რათა რომელიმე ეკლესიამ შეიძინოს ახალი მორწმუნეები; ან ჩამოყალიბდეს როგორც მიუღებელი ზეწოლის ფორმა სასოწარკვეთაში მყოფ ან გაჭირვებულ პირებზე, მას ასევე შეიძლება მოჰყვეს ძალადობის გამოყენება ან ფსიქოლოგიური დამუშავება. უფრო ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ პროზელიტიზმი შეუთავსებელია პირის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასთან."

სასამართლომ დააკმაყოფილა კოკინაკისის განცხადება და აღინიშნა, რომ საბერძნეთმა დაარღვია კონვენციის მე-9 მუხლით აღიარებული უფლება.

განსხვავებული აზრი

ამავე საქმეზე არსებობდა მოსამართლე პეტიტის ნაწილობრივ თანმხვედრი აზრი, რომელმაც დასვა საკითხი: შეესაბამება თუ არა მე-9 მუხლს პროზელიტიზმის მიმართ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენების პრინციპი?

ბრალის ბუნდოვანება და პროზელიტიზმის ზუსტი განსაზღვრების არარსებობა ზრდის უნდობლობას, რომელსაც საბერძნეთის კანონი აღძრავს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ შესაძლებელია პროზელიტიზმის შესახებ საბერძნეთის კანონის გან-

ჭვრეტა, ფაქტია, რომ განსაზღვრების ბუნდოვანება ძალზედ დიდი თავისუფალი ახსნა-განმარტების არეს უტოვებს სახელმწიფოს სისხლის სამართლის სანქციების გამოყენებისას.

ყოველ შემთხვევაში, თუ პროზელიტიზმისათვის სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციის მინიჭება მისაღებია, ამან არ უნდა მიგვიყვანოს ისეთი კანონმდებლობის შენარჩუნებამდე, რომელიც ითვალისწინებს ბუნდოვან სისხლის სამართლის დანაშაულს, როდესაც სასამართლოს სუბიექტურ შეფასებაზე არის დამოკიდებული იმის განსაზღვრა, არის თუ არა ბრალდებული დამნაშავე.

მოსამართლე პეტიტი ასევე აღნიშნავს, რომ პროზელიტიზმის განმარტების ისეთ ბუნდოვან კრიტერიუმებს, როგორიცაა „მისაღები" ან „მიუღებელი" და „უადგილო", არ შეუძლია უზრუნველყოს სამართლებრივი გარკვეულობა. პროზელიტიზმი დაკავშირებულია რელიგიის თავისუფლებასთან; მორწმუნეს უნდა შეეძლოს, გაავრცელოს თავისი რწმენა და მრწამსი რელიგიურ, თუ ფილოსოფიურ სფეროში. რელიგიისა და სინდისის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და შესაძლებელი უნდა იყოს ამ თავისუფლებით სარგებლობა ყველა რელიგიისა და არა მხოლოდ ერთი ცალკეული ეკლესიის სასარგებლოდ, თუნდაც იგი ტრადიციულად იყოს სახელმწიფო ეკლესია ან „დომინანტი რელიგია".

რელიგიისა და სინდისის თავისუფლება უეჭველად იწვევს პროზელიტიზმის დასაშვებობის აღიარებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროზელიტიზმი „მიუღებელია". მორწმუნეებსა და აგნოსტიკოს ფილოსოფოსებს უფლება აქვთ, გაავრცელონ თავისი რწმენა; ეცადონ, დაარწმუნონ სხვა პირები, გაიზიარონ მათი რწმენა და მოაქციონ კიდეც თავიანთ რწმენაზე. გადმობირების მცდელობა, თავისთავად, არ წარმოადგენს სხვათა თავისუფლებისა და რწმენის ხელყოფას ან სხვების უფლებების დარღვევას.

მოსამართლე პეტიტი აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, პროზელიტიზმი არ შეიძლება განხორციელდეს იძულებით ან ისეთი სამართლებრივი საშუალებით, როდესაც სარგებლობენ მცირეწლოვანთა და სამოქალაქო სამართლის მიხედვით ქმედუუნაროთა მდგომარეობით, თუმცა ასეთი ლაფსუსი შეიძლება გამოსწორდეს ჩვეულებრივი სამოქალაქო და არა სისხლის სამართლის, კანონმდებლობით.

მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებებზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შეზღუდვის დაწესება, რომელიც ნაკარნახევია სხვათა უფლებების დაცვის აუცილებლობითა და როცა დასტურდება პირის იძულების ან მანიპულაციური საშუალებების გამოყენების მცდელობა. მიუღებელი საქციელის სხვა სახეები: ფსიქოლოგიური დამუშავება (brain washing,) შრომის კანონმდებლობის დარღვევა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება და უზნეობისკენ მოწოდება – რომლებიც აღინიშნება ცალკეული ფსევდორელიგიური დაჯგუფებების პრაქტიკაში, დასჯადი უნდა იყოს პოზიტიური სამართლით და მათ არ უნდა მიეცეთ სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაცია. არ შეიძლება პროზელიტიზმის აკრძალვა ასეთი საქმიანობისთვის პირის დასჯით."

ამავე საქმეზე განსხვავებული აზრი გამოთქვა მოსამართლე დე მეიერმა. მან აღნიშნა: „პროზელიტიზმი, რომელიც განსაზღვრულია, როგორც „გულმოდგინება რწმენის გავრცელებისას", არ შეიძლება იყოს დასჯადი. იგი პირის მხრიდან რელიგიის გამომჟღავნების ერთ-ერთი კანონიერი გზაა.

ლარისისი, მანდალარიდისი და სარანდისი საბერძნეთის წინააღმდეგ (12 სექტემბერი, 1996 წ.)

LARISSIS, MANDALARIDIS AND SARANDIS V. GREECE (12 SEPTEMBER, 1996)

ეს პიროვნებები მსახურობდნენ ოფიცრებად საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთ ქვეგანაყოფში. მათ ბრალი დასდეს პროზელიტიზმში და საქმე განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ.

მოწმეთა ჩვენებები

მფრინავმა ანტონიადისონმა სასამართლოსადმი მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ ლარისისმა და მანდალარიდისმა დაახლოებით 7-ჯერ გამართეს მასთან დისკუსია რელიგიურ თემაზე, უკითხავდნენ ნაწყვეტებს ბიბლიიდან და მოუწოდებდნენ, მიეღო 50-იანელთა რწმენა. მანდალარიდისი ასევე არწმუნებდა მფრინავს, რომ ღვთიური ძალის ხელშეწყობით სექტის წევრებს შეუძლიათ უცხო ენებზე საუბარი. შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ კი ეკითხებოდა, ესწრებოდა თუ არა იგი 50-იანელთა შეკრებებს. მფრინავი თავს ვალდებულად თვლიდა, მიეღო მონაწილეობა მსგავს საუბრებში, ვინაიდან განმცხადებლები მისი ზემდგომი ოფიცრები იყვნენ.

მფრინავი კოკალისი კი აცხადებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი განმცხადებლების უშუალო დაქვემდებარებაში არ შედიოდა, ლარისისმა დაახლოებით 30-ჯერ ჩაითრია იგი რელიგიურ საუბრებში, სარანდისმა კი დაახლოებით 50-ჯერ. მოწმის განცხადებით, თავდაპირველად განმცხადებლები მალავდნენ იმას, რომ ისინი მართლმადიდებლები არ იყვნენ, შემდეგ კი აკრიტიკებდნენ რა მართლმადიდებლობის საფუძვლებსა და ძირითად დებულებებს, არწმუნებდნენ კოკალისს, მიეღო 50-იანელთა რწმენა. სარანდისმა არაერთხელ სთხოვა მას, დასწრებოდა ღვთისმსახურებას 50-იანელთა ეკლესიაში, მისცა მას სექტის გაზეთი. მფრინავს არწმუნებდა, რომ ეკლესიაში სასწაულები ხდებოდა, მორწმუნეები იძენდნენ უცხო ენებზე ლაპარაკის უნარს. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლები ძალიან კარგი ოფიცრები იყვნენ და კოკალისს ძალიან კარგად ეპყრობოდნენ, ამგვარი დამოკიდებულება მასზე გავლენას ახდენდა და უხერხულ სიტუაციაში აგდებდა.

კაფკასის მამამ კი განაცხადა, რომ სარანდისის ხელმძღვანელობით სამხედრო სამსახურში მსახურების დროს მისი შვილი მართლმადიდებლური რწმენიდან 50-იანელთა რწმენაზე გადავიდა, რამაც განაპირობა მისი ქცევების შეცვლა: მან შეწყვიტა მეგობრებთან ურთიერთობა და დღის უმეტეს ნაწილს ატარებდა განმარტოებით ბიბლიის სწავლასა და მოძღვრების მოსმენაში, მან მზადება დაიწყო უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად. როდესაც მშობლები გაჰყვნენ მას 50-იანელთა ეკლესიაში, იგი სახლიდან წავიდა და საცხოვრებლად ათენში გადავიდა. 20 დღის შემდეგ კი დაბრუნდა სახლში და დაუბრუნდა მართლმადიდებლურ ეკლესიას. მან მამას განუცხადა, რომ განმცხადებლებმა მოაქციეს 50-იანელთა მიმდევრად, გავლენის მოსახდენად გამოიყენეს რა თავიანთი მდგომარეობა. როდესაც იგი დაბრუნდა სამხედრო ნაწილში, კვლავ გადავიდა 50-იანელთა რწმენაზე.

ნიკოლას კაფკასმა კი სააპელაციო სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში განაცხადა, რომ განმცხადებლებს მასზე ზეგავლენა არ მოუხდენიათ. პირიქით, თავად დაინტერესდა მათი მშვიდობიანი განწყობის მიზეზით, რაზეც პასუხად მიიღო, რომ მიზეზი სახარების კითხვა იყო. მას შემდეგ, რაც კაფკასს განმცხადებლებმა საკითხავად მისცეს ბიბლია, მან აღმოაჩინა, რომ იგი განსხვავდებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებისგან. კაფკასმა აღნიშნა, რომ განმცხადებლებს მისთვის არასოდეს მიუციათ მისთვის ლიტერატურა. პირიქით, თავად აინტერესებდა ბევრი რამ, მათი პასუხები კი ყოველთვის დამაჯერებელი და მისაღები იყო.

კაპიტანი ილიას ბაირამისის განცხადებით, მისი ნათესავი ხარალამპოს აპოსტოლიდისი 50-იანელთა ეკლესიის წევრი იყო. ერთხელ მან ჩხუბი დაუწყო ცოლს და განუცხადა, რომ მასში სატანას ხედავდა. როგორც კი სავას მანდალარიდესი მოვიდა, აპოსტოლიდისი დამშვიდდა. მანდალარდისმა ქადაგება ნაუკითხა ბაირამისის ოჯახის წევრებსა და მის მეზობლებს, მოუწოდა მათ, მიეღოთ 50-იანელთა რელიგია.

ქალბატონმა ანასტასია ზურანდმა განმარტა, რომ მისი ქმრის 50-იანელთა სექტაში გაერთიანებამ განაპირობა მათი ოჯახის დანგრევა. ცდილობდა რა ქმრის გაგებას, ანასტასია 5 თვის განმავლობაში ესწრებოდა 50-იანელთა შეკრებებს ეკლესიასა და განმცხადებლების ოჯახებში. ამ ხნის განმავლობაში განმცხადებლები მასთან სახლში მოდიოდნენ და ცდილობდნენ მის გადაბირებას. მათ განუცხადეს ქალბატონს, რომ ღვთის მიერ მიენიჭათ

წინასწარმეტყველების უნარი და ხედავდნენ, რომ ქალბატონი ზურანდი და მისი შვილები ეშმაკის გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულები. ანასტასიამ აღნიშნა, რომ თანდათანობით მას განუვითარდა ფსიქოლოგიური პრობლემები და მან გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი განმცხადებლებსა და 50-იანელებთან.

მოწმეებად იქნენ გამოძახებულნი ასევე სამოქალაქო პირები, რომელთაც განმცხადებლები დაადანაშაულეს რელიგიურ ქადაგებასა და მათ მიმართ განხორციელებულ პროზელიტიზმში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება

პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება პროზელიტიზმის არაკონსტიტუციურობისა და პრინციპთან „nulum crimen sine lege certa" (არ არსებობს დანაშაული, კანონის გარეშე) პროზელიტიზმის როგორც დანაშაულის შეუსაბამობის შესახებ. სასამართლომ განმცხადებლები სცნო დამნაშავეებად პროზელიტიზმში და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ დაადგინა, რომ პროზელიტიზმის განხორციელებისას განმცხადებლებმა ბოროტად გამოიყენეს ნდობა, ჩაერივნენ რა სხვის რწმენაში, ცდილობდნენ მოქალაქეთა 50-იანელთა სექტისკენ გადაბირებას, აძლევდნენ მათ ლიტერატურას, სარგებლობდნენ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობით და ქვემდგომების დამოკიდებულებით, ახალგაზრდობით, გულუბრყვილობითა და გამოუცდელობით.

სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება

განმცხადებლებმა მიმართეს აპელაციით სამხედრო ტრიბუნალს, რომელმაც გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებები და განაჩენი ფაქტობრივად ძალაში დატოვა, მაგრამ გააუქმა განაჩენი პირველი განმცხადებლის ვიოკოსის მიმართ პროზელიტიზმის განხორციელებისთვის და მე-3 განმცხადებლის განაჩენი პროზელიტიზმის განხორცილება ციკასის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლებს შეუმცირა სასჯელის ვადა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

განმცხადებლებმა მიმართეს საკასაციო სასამართლოს, რომელმაც არ დააკმაყოფილა განმცხადებლების მოთხოვნა და დაადგინა, რომ „პროზელიტიზმის ფაქტის დადგენისთვის უნდა არსებობ-

დეს სხვა რელიგიის მიმდევარი პირის რელიგიურ შეხედულებებზე გავლენის მოხდენის პირდაპირი ან ირიბი მცდელობა იმ მიზნით, რომ მოხდეს მისი შეხედულებების დაკნინება, მცდელობა უნდა ხორციელდებოდეს ამ კანონის მე-4 მუხლში აღნიშნული ხერხებით — ნებისმიერი განმაპირობებელი სტიმულის ან წახალისების, მორალური ან მატერიალური დახმარების დაპირებით, ან თაღლითური მეთოდების, პირის გამოუცდელობის, ნდობის, დაბალი ინტელექტისა და გულუბრყვილობის გამოყენებით. პირის რელიგიურ შეხედულებებში ჩარევის მცდელობა მათი შველის მიზნით არ შეესაბამება რელიგიურ თავისუფლებას, რომელიც წარმოშობს ვალდებულებას სხვა რწმენის მიმდევართა რელიგიური შეხედულებების პატივისცემისა.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება

განმცხადებლებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კონვენციის მე-7, მე-9, მე-10 და მე-14 მუხლების (დისკრიმინაცია) დარღვევის მოტივით.

ადამიანის უფლებათა კომისიამ გააერთიანა სამივე განცხადება. კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კონვენციის მე-9 მუხლი დარღვეულია მე-2 განმცხადებლის – ბაირამისის ოჯახის – მიმართ პროზელიტიზმისთვის, მე-2 და მე-3 განმცხადებლების მიმართ – ქალბატონ ზურანის მიმართ პროზელიტიზმისთვის. ამავე დროს კომისიამ მიიჩნია, რომ არ არის დარღვეული კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლები სამხედრო მოსამსახურეების მიმართ (ანტონიადისი, კოკალისი და კაფკასი) პროზელიტიზმის განხორციელების ნაწილში. ამავე დროს კომისიამ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-7 მუხლი.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა კოკინაკისის საქმესთან დაკავშირებით მითითებული ნორმებითა და პრინციპებით. კერძოდ, პროზელიტიზმიზმისთვის გასამართლება და სასჯელის შეფარდება არის კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა, მით უფრო, რომ პროზელიტიზმი კანონით არის განსაზღვრული და ემსახურება კანონიერ მიზანს – სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ რელიგიური თავისუფლება, პირველ რიგში, სინდისის საქმეა და გულისხმობს რელიგიის აღმსარებლობის თავისუფლებასაც, რაშიც შედის მცდე-

ლობა, დაარწმუნოს სხვა პირი რელიგიური სწავლებისა და ქადაგების გზით. ვინაიდან სამხედრო და სამოქალაქო პირებთან დამოკიდებულებაში პროზელიტიზმის მცდელობებში სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს, სასამართლომ ისინი ცალ-ცალკე განიხილა და მიიჩნია, რომ თუმცა კონვენცია სამოქალაქო და სამხედრო პირებზე ერთნაირად მოქმედებს, სამხედრო ცხოვრებას განსხვავებული ხასიათი აქვს და იერარქიული სტრუქტურები, რომელიც განსაკუთრებულად ძლიერია შეიარაღებულ ძალებში, ამ საკითხს სხვაგვარ ელფერს ანიჭებს, ამიტომ რაც სამოქალაქო პირთათვის უწყინარი აზრთა გაცვლა-გამოცვლაა, სადაც მოსაუბრეს შეუძლია მიიღოს ან უარყოს აზრი, სამხედრო სამსახურში შეიძლება ეს დაუშვებელ ზეწოლად ჩაითვალოს ძალაუფლების ან თანამდებობის ბოროტად გამოყენებით. ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ კატეგორიაში არ ექცევა ყველანაირი დისკუსია რელიგიურ და სხვა დელიკატურ საკითხებზე.

სასამართლომ ჩათვალა, რომ საბერძნეთის ხელისუფლება უფლებამოსილი იყო, მიეღო შესაბამისი ზომები სამხედრო მოსამსახურეებზე დაუშვებელი ზეწოლის აღსაკვეთად. მაგრამ სამოქალაქო პირებისადმი პროზელიტიზმის აღკვეთის საკითხთან მიმართებით სასამართლომ ვერ გაიზიარა მოსაზრება, რომ დადასტურდა აკრძალული პროზელიტიზმი დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით. სამოქალაქო პირები არ განიცდიდნენ ისეთივე ზეწოლასა და გავლენას, როგორც სამხედროები.

მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (26 სექტემბერი, 1996 წ.)

MONOUSSAKIS AND OTHERS V. GREECE (26 SEPTEMBER 1996)

კრეტის მაცხოვრებლები: ბატონი ტიტოს მანუსაკისი, ბატონი კონსტანტინოს მაკრიდაკისი, ბატონი კირიაკოს ბაკსევაკისი და ბატონი ვასილიოს ხაჯაკისი – იყვნენ „იეჰოვას მოწმეთა" საზოგადოების წევრები.

1983 წლის 30 მარტს ბატონმა მანუსაკისმა იქირავა დიდი ფართი ქალაქ ჰერაკლიონში მდებარე ერთ-ერთ შენობაში. ქირავნობის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ შენობა გამოყენებული იქნებოდა იეჰოვას მოწმეთა მიერ რელიგიური მიზნებისათვის.

1983 წლის 28 ივნისს განმცხადებლებმა მიმართეს ეროვნული განათლებისა და კულტურის მინისტრს, რათა მიეღოთ თანხმობა დაქირავებული შენობის რელიგიური მიზნებისათვის გამოსაყენებლად. იმავე ხანებში ჰერაკლიონის ორთოდოქსურმა ეკლესიამ საჩივრით მიმართა ქალაქის პოლიტიკურ ხელისუფლებას და აუწყა იეჰოვას მოწმეთა სამლოცველო სახლის უკანონო არსებობის შესახებ.

1984 წლის დეკემბერში მინისტრმა განმცხადებლებს შეატყობინა, რომ ვერ განიხილავდა მათ შეტყობინებას სათანადო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის გამო.

1986 წლის 3 მარტს ჰერაკლიონის პროკურატურამ №1363/1938 წლის კანონის საფუძველზე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. განმცხადებლებს ბრალად ედებოდათ ეროვნული განათლებისა და კულტურის მინისტრის სათანადო ნებართვის გარეშე შენობის სამლოცველოდ გამოყენება.

1987 წლის 6 ოქტომბერს სისხლის სამართლის სასამართლომ გაამართლა განმცხადებლები და განაცხადა: „პროზელიტიზმის აქტების განხორციელების გარეშე ნებისმიერი რელიგიის მიმდევრებს აქვთ უფლება შეიკრიბონ თუნდაც ისეთ ადგილას, სადაც შეკრების ნებართვა არ ყოფილა გაცემული." ჰერაკლიონის პროკურატურამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ დამნაშავედ ცნო რა განმცხადებლები, სასჯელის სახით მათ შეუფარდა სამი თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის სახით დააკისრა 20 000 დრაჰმის გადახდა.

განმცხადებლებმა მიმართეს საკასაციო სასამართლოს. საკასაციო საჩივარში ისინი ამტკიცებდნენ, რომ კანონის პირველი მუხლის დებულება, რომელიც რელიგიური შეკრებების ჩასატარებლად წინასწარი ნებართვის მიღებას მოითხოვს, ეწინააღმდეგება საბერძნეთის კონსტიტუციის მე-13 და ევროკონვენციის მე-9 მუხლებს, რომლებითაც გარანტირებულია რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ამონაკრები ევროსასამართლოს გადაწყვეტილებიდან

მე-9 მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხი

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათი გასამართლება ატარებდა დევნის ხასიათს და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სახელმწიფომ განზრახ აიძულა განმცხადებლები, ჩაედინათ სამართალდარღვევა, რათა შემდეგ პასუხი მოეთხოვა მათთვის. სამლოცველო სახლის შექმნის უვნებელი თხოვნა უბრალო ფორმალობიდან გადაიქცა რელიგიის თავისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველ „მრისხანე იარაღად".

სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონი, რომელიც აღნიშნულ საკითხს არეგულირებს, იძლევა რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობის უფლებაში პოლიტიკური, ადმინისტრაციული და რელიგიური (მართლმადიდებლური) ორგანოების მხრიდან „შორს მიმავალი" ჩარევის შესაძლებლობას.

მოწმეთა ჩვენებები და სხვა მრავალრიცხოვანი ფაქტები, რომლებსაც ეყრდნობა განმცხადებელი და რომლებსაც მთავრობა არ უარყოფს, მეტყველებენ იმაზე, რომ საბერძნეთის ხელისუფლება ცდილობდა ზემონახსენები კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობები არამართლმადიდებლური კონფესიების, მათ შორის „იეჰოვას" მოწმეთა, საქმიანობის შეზღუდვის მიზნით გამოეყენებინა.

კომისიის მსგავსად სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელთა გასამართლება იმ სახით, რა სახითაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა, არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მისაღწევი კანონიერი მიზნის თანაზომიერად და, შესაბამისად, არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლომ ერთხმად უარყო სახელმწიფოს წინასწარი პროტესტი და დაადგინა, რომ მე-9 მუხლი დაირღვა.

ვალსამისები საბერძნეთის წინააღმდეგ (18 დეკემბერი, 1996 წ.)

VALSAMIS V. GREECE (18 DECEMBER, 1996)

ელიას და მარია ვალსამისები 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლსა და კონვენციის მე-3, მე-9 და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით ჩიოდნენ იმის გამო, რომ მათი შვილი ვიქტორია 28 ოქტომბერს საბერძნეთის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით გამართულ სასკოლო აღლუმში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო ერთი დღით სკოლიდან იქნა დათხოვილი. რელიგიური მრწამსის გამო მისტერ და ქალბატონ ვალსამისებს ეკრძალებოდათ მონაწილეობა ნებისმიერ მოვლენაში, რასაც სამხედრო ელფერი დაჰკრავდა, ისინი საკუთარი შვილისთვისაც ცდილობდნენ გამონაკლისის დაშვებას, მაგრამ ამაოდ.

პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევები

ბატონი და ქალბატონი ვალსამისები აცხადებენ, რომ მათი უფლებები დაირღვა, რადგან 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად:

„არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების მიღებაზე. სახელმწიფო ნებისმიერი ფუნქციის შესრულების დროს, რომელსაც იგი თავის თავზე იღებს განათლებისა და სწავლების დარგში, პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავისი ბავშვებისთვის ისეთი განათლება და სწავლება, რომელიც შეესაბამება მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ რწმენას. "

მშობლები ვიქტორიას განათლების მიღების უფლების დარღვევაზე არ საუბრობდნენ. პირიქით, მათ მიაჩნდათ, რომ ზემოაღნიშნული დებულება დაუშვებლად მიიჩნევდა, რომ გოგონასაგან მოეთხოვათ ისეთ მოვლენებში მონაწილეობა, რომლებიც მისი მშობლებისთვის მიუღებელ პატრიოტულ იდეებს განადიდებდა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი – დარღვეული იყო თუ არა მოსწავლე ვიქტორიას განათლების უფლება – მას არ უნდა მიეღო განსახილველად.

სასამართლო დასძენს, რომ პირველი ოქმის მე-2 მუხლის ეს ორი წინადადება არა მარტო ურთიერთმიმართებაში უნდა იქნეს განხილული, არამედ კონვენციის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებთან კავშირშიც.

ტერმინი „რწმენა" ჩნდება მე-9 მუხლში აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების კონტექსტში. „რელიგიური და ფილოსო-

ფიური რწმენის" ცნებას ვხვდებით პირველი ოქმის მე-2 მუხლში. ამ დებულების გამოყენებისას სასამართლომ დაადგინა, რომ მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით ცნება „რწმენა" ცნებების „მოსაზრება" და „იდეა" სინონიმი არ არის. ის შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: „მოსაზრებათა ერთობლიობა, რომელიც აღწევს დამაჯერებლობის, სერიოზულობის, მთლიანობისა და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს".

როგორც სასამართლომ 1993 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში დაადგინა საქმეში კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Kokinakis v Greece), იეჰოვას მოწმეები სარგებლობენ „ცნობილი რელიგიის" სტატუსითა და შეღავათებით, რაც რიტუალების შესრულებადაცვაში გამოიხატება.

მისტერ და ქალბატონ ვალსამისებსაც, პირველი ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად, ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ მათი რელიგიური მრწამსის პატივისცემა. ახლა უნდა დადგინდეს, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ თავისი მოვალეობა ამ რწმენათა დაცვასთან მიმართებით მოსარჩელის საქმეში.

სასამართლო დასძენს, რომ პირველი ოქმის მე-2 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, დაიცვას მშობლების რწმენა, იქნება ეს რელიგიური თუ ფილოსოფიური, სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობისას. ეს მოვალეობა ფართო მნიშვნელობისაა, რადგანაც არა მარტო განათლების შინაარსსა და მისი მიწოდების გზებს შეეხება, არამედ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ყველა ფუნქციის შესრულებასაც გულისხმობს. ზმნა „დაცვა" ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე „აღიარება" და „გათვალისწინება". ძირითადად უარყოფითი ვალდებულებების გარდა, ის სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური მოვალეობების შესრულებასაც მოიაზრებს.

სასამართლომ აგრეთვე გადაწყვიტა, რომ „თუმცა ზოგჯერ პირადი ინტერესები შეიძლება საზოგადოებრივ ინტერესებზე იყოს დამოკიდებული, დემოკრატია იმას არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის ინტერესი ყოველთვის უფრო პრიორიტეტულია: მიღწეულ უნდა იქნეს ბალანსი, რაც უმცირესობათა მიმართ სამართლიან და სათანადო დამოკიდებულებას უზრუნველყოფს და თავიდან აიცილებს დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენებას."

„სასკოლო პროგრამის შედგენა და დაგეგმვა მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენციაში შედის. ეს ძირითადად მოიცავს რაციონალობის საკითხს, რაც სასამართლოს განსასჯელი არ არის და რომ-

ლის კანონის საფუძველზე გადაწყვეტაც შესაძლებელია განსხვავდებოდეს ქვეყნისა და მოქმედების პერიოდის მიხედვით." ამრიგად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი უკრძალავს სახელმწიფოს, „ემსახურებოდეს ინსტრუქციების გაცემის მიზანს, რაც შეიძლება გაგებულ იქნეს მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის შელახვად. ეს ის ზღვარია, რომლის გადალახვაც მიუღებელია".

დისციპლინური სასჯელის დაწესება იმ პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რისი საშუალებითაც სკოლა დასახული მიზნის მიღწევას ცდილობს. ეს მოიცავს მოსწავლეთა ხასიათის ჩამოყალიბება-გამოწრთობასა და მათი გონებრივი შესაძლებლობების განვითარებას.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მის ვალსამისი მისი მშობლების მოთხოვნით რელიგიის გაკვეთილებიდან და ორთოდოქსული მესიდან გათავისუფლებული იყო. ამ უკანასკნელთ აგრეთვე სურდათ, რომ მათ შვილს არც ეროვნული დღისადმი მიძღვნილ აღლუმში მიეღო მონაწილეობა 28 ოქტომბერს.

მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო პროგრამის შედგენა და დაგეგმვა საბერძნეთის მთავრობის კომპეტენციაა და არა სასამართლოსი, გასაკვირია, რომ მოსწავლეებს მოეთხოვებათ, გააცდინონ სკოლა — თუნდაც ერთი დღით – რათა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სადღესასწაულო მსვლელობაში მიიღონ მონაწილეობა.

ამის მიუხედავად, მაინც არ შეიძლება დასკვნის გაკეთება აღლუმსა თუ მის სამზადისთან მიმართებით, რადგან შეიძლება მოსარჩელის პაციფისტური მრწამსი შეილახოს პირველი ოქმის მე-2 მუხლით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში.

ეროვნული მოვლენების ასეთი აღნიშვნა, თავის მხრივ, ემსახურება როგორც პაციფისტურ მიზნებს, ისე საზოგადოებრივ ინტერესებს. სამხედროების დასწრება საბერძნეთში გამართულ ზოგიერთ აღლუმზე ამ მსვლელობის შინაარსს არ ცვლის.

უფრო მეტიც, მოსწავლის ვალდებულებით, მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ ღონისძიებაში, მის მშობლებს არ ერთმევათ უფლება, რომ „გაათვითცნობიერონ და მისცენ რჩევები საკუთარ შვილებს, განახორციელონ მშობლის როგორც აღმზრდელის ბუნებრივი მოვალეობა, ან გაუკვალონ გზა შვილებს მათი საკუთარი რელიგიისა და ფილოსოფიური რწმენისაკენ."

სასამართლოს გადასაწყვეტი არ არის სხვა საგანმანათლებლო მეთოდების მიზანშეწონილობის გარკვევა, რომლებიც, მოსარჩელეების მოსაზრებით, უფრო უკეთ უნდა ესადაგებოდეს ახალგაზრდა თაობაში ისტორიული მოვლენებისადმი პატრიოტული სულისკვეთების დამკვიდრების მიზანს. განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესიდან დროებითი ჩამოშორების სასჯელი, არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც მიზანშეწონილი და ერთადერთი დისციპლინური ღონისძიება და რომ მან შეიძლება გარკვეული ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს ბავშვზე, ამიტომ სასამართლოს აზრით, საჭირო არ არის ბავშვის შენობიდან გაძევება.

თუმცა სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა, რომ 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

კონვენციის მე-9-ე მუხლის დარღვევები

სასამართლომ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ მის ვალსამისი, თავისი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, საკუთარი მოთხოვნით რელიგიური სწავლების გაკვეთილებიდან და ორთოდოქსული მესიდან გათავისუფლებული იყო. სასკოლო აღლუმში მონაწილეობა მისი მშობლების რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისაკენ არ იყო მიმართული. მაშასადამე, ზემოაღნიშნული სადავო ღონისძიება არ შეიძლება განხილულ იქნეს რელიგიის თავისუფლებაში ჩარევად.

შესაბამისად, მე-9 მუხლი არ დარღვეულა.

ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (20 სექტემბერი, 1994 წ.)

OTTO-PREMINGER INSTITUTE V. AUSTRIA (20 SEPTEMBER, 1994)

განმცხადებელი – ასოციაცია (ოტო-პრემინგერის სახელობის აუდიო-ვიზუალური საინფორმაციო საშუალებების ინსტიტუტი) – მდებარეობს ქალაქ ინსბრუკში, სადაც სათანადო ნებართვის საფუძველზე ახორციელებს კინოჩვენებას. აღნიშნული ასოციაცია 1985 წლის 13 მაისიდან გეგმავდა ვერნერ შროდერის ფილმის – „სიყვარულის ტაძარი" – ჩვენებას.

რომის კათოლიკური ეკლესიის ინსბრუკის ეპარქიის მიმართვის საფუძველზე ადგილობრივმა პროკურატურამ განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. ასოციაციას ბრალი ედებოდა დანაშაულის – „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა" – ჩადენაში (ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლი). ჩვენებამდე ერთი დღით ადრე ინსბრუკის პროკურორმა გამოიტანა გადაწყვეტილება ფილმის დაკავების შესახებ. 1985 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით ადგილობრივმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

1986 წლის 10 ოქტომბერს ინსბრუკის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ფილმის კონფისკაციის თაობაზე. გადაწყვეტილების თანახმად, ფილმის პროვოკაციული ხასიათი განაპირობებდა ადამიანთა რელიგიური გრძნობების ხელყოფას და მოცემულ შემთხვევაში ავსტრიის კონსტიტუციით გარანტირებულ შემოქმედების თავისუფლებას აჭარბებდა.

საქმის განხილვა ადამიანის უფლებათა კომისიაში

საკუთარ განაცხადში ასოციაცია ამტკიცებდა, რომ ფილმის დაკავებისა და შემდგომი კონფისკაციის ფაქტი კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევაა.

1991 წლის 12 აპრილს კომისიამ განაცხადი დასაშვებად გამოაცხადა, ხოლო 1993 წლის 14 იანვრის მოხსენებაში გამოთქვა მოსაზრება, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი როგორც დაკავების, ასევე კონფისკაციის შემთხვევაში.

ამონაკრები სასამართლოს გადაწყვეტილებიდან

ა) იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული"?

განმცხადებელი ასოციაცია ამტკიცებდა, რომ შეზღუდვა არ იყო კანონით გათვალისწინებული, რადგან ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი გამოყენებული იყო არასწორად. გაუმართლებელი იყო ხელოვნების ნიმუშის ჩათვლა „დამამცირებლად და შეურაცხმყოფელად" მხოლოდ იმის გამო, რომ მასში რელიგიური პერსონაჟები გამოხატულნი იყვნენ სატირული ფორმით. მეორე, ძნელია აპელირება გააკეთოთ იმ ადამიანების პოზიციაზე, რომელთაც შეეძლოთ საკუთარი ნების შესაბამისად ენახათ ან არ ენახათ აღნიშნული ფილმი. მესამე, ავსტრიის კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ ხელოვნების დარგში საქმიანობის თავისუფლებას მიეცა არასათანადო შეფასება.

ინსბრუკის სასამართლოს უნდა გამოენახა ბალანსი ხელოვნების დარგში საქმიანობის თავისუფლებასა და რელიგიური მრწამსის პატივისცემას შორის, რომელიც გარანტირებულია ავსტრიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლით. სასამართლოსა და კომისიის აზრით, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ავსტრიის კანონმდებლობა არასწორად იყო გამოყენებული.

ბ) ემსახურებოდა თუ არა შეზღუდვა „კანონიერ მიზანს"?

მთავრობა ამტკიცებდა, რომ ფილმის დაკავება და კონფისკაცია ემსახურებოდა „სხვა პირთა უფლებების", კერძოდ, რელიგიური გრძნობების დაცვას, ასევე „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზანს".

მათ, ვინც ღიად გამოხატავს საკუთარ მრწამსს, მიუხედავად იმისა, მიეკუთვნებიან რელიგიურ უმრავლესობას თუ უმცირესობას, არ აქვთ გონივრული საფუძველი ვარაუდისა, რომ დარჩებიან კრიტიკის მიღმა. მათ უნდა გამოიჩინონ მოთმინება და შეეგუონ იმ აზრს, რომ სხვები უარყოფენ მათ რელიგიას, ან ავრცელებენ მოძღვრებას, რომელიც ზიანის მომტანია პირველისთვის. თუმცა კრიტიკის საშუალებებმა და რელიგიური სწავლებისა თუ მრწამსის უარყოფის ფორმებმა შესაძლოა განაპირობონ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მომენტის წინ წამოწევა, თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლებებით თავისუფალი სარგებლობის შესაძლებლობების შექმნას.

არსებობს სამართლიანი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები, რომელიც დაცულია მე-9 მუხლით, დაექვემდებარება შეურაცხყოფას მათი რელიგიური კულტების პროვოკაციულად გამოხატვით. ამგვარი გამოხატვის ფორმა შეიძლება მივიჩნიოთ შემწყნარებლობის გარემოთი ბოროტად სარგებლობად. კონვენცია განხილულ უნდა იქნეს, როგორც ერთიანი ინსტრუმენტი და სწორედ ამის გამო მოცემულ საქმეში მეათე მუხლის განმარტება უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის ლოგიკას.

განმცხადებლის მიერ გასაჩივრებულ ქმედებათა მიზანი მოქალაქეთა რელიგიური გრძნობების დაცვა სხვა პირთა მიერ მოსაზრებების საჯარო გამოხატვისაგან. სასამართლოს აზრით, გასაჩივრებული ქმედება ემსახურებოდა კანონიერი მიზნის დაცვას.

გ) იყო თუ არა დაკავება და კონფისკაცია „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში"?

მთავრობა ამტკიცებდა, რომ ფილმის დაკავება მოხდა იმის გამო, რომ იგი „თავს ესხმოდა" ქრისტიანულ, კერძოდ, რომის კათოლიკურ ეკლესიას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ავსტრიის მოსახლეობის 78% კათოლიკეა. შესაბამისად, არსებობდა რელიგიური მშვიდობისა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების მიზნით ფილმის დაკავების მკვეთრი სოციალური მოთხოვნილება.

სასამართლო ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ავსტრიის მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკეა. ფილმის დაპატიმრებისას ხელისუფლების მიზანი იყო რელიგიური მშვიდობის უზრუნველყოფა. ცალკეულ ადამიანებს არ უნდა შექმნოდათ შთაბეჭდილება, რომ მათი რელიგიური მრწამსი დაექვემდებარა უსაფუძვლო „თავდასხმას" სახელმწიფოს უმოქმედობის ფონზე. პირველ რიგში სწორედ ეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც გაცილებით ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება და არა საერთაშორისო სასამართლოს, უხდება შეაფასოს სიტუაცია მოცემულ დროსა და ადგილას. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო თვლის, რომ ავსტრიის ხელისუფლება არ გასცდენია თავისუფალი მოქმედების ფარგლებს.

ამ საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ არც დაკავებისა და არც კონფისკაციისას მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

ამონაკრები საერთაშორისო აქტებიდან

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ

მუხლი 18

ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით; ეს უფლება მოიცავს საკუთარი რელიგიის ან რწმენის შეცვლის, საკუთარი რელიგიის ან აღმსარებლობის, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვებთან ერთად საჯაროდ ან კერძოდ, მოძღვრების, ღვთის მსახურების და რელიგიურ ან რიტუალურ წეს ჩვეულებათა შესრულების თავისუფლებას.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

მუხლი 18

1. თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ცალკე,ისე სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით მოძღვრებითა და სწავლებით.
2. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას რომელიც ლახავს მის თავისუფლებას ქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია ან მრწამსი.
3. რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

4. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობელთა და შესაბამისად კანონიერ მეურვეთა უფლებას საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა.

მუხლი 27

იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს რომელნიც ასეთ უმცირესობებს განეკუთვნებიან არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, აგრეთვე ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე.

ბავშვის უფლებების კონვენცია

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.
2. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის,ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენცია

მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1950 წლის 4 ნოემბერს

ᲛᲣᲮᲚᲘ 9. აზრის სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას მარტო თუ სხვებთან კავშირში და საჯაროდ თუ კერძოდ, თავისუფლებას გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა

აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.

2. ადამიანის რელიგიისა და რწმენის გამომჟღავნების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომელნიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა უფლებების და თავისუფლებების დაცვისათვის.

ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ

მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 10 ნოემბერს

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ პირს რომელიც ეროვნულ ეკუთვნის, აქვს თავისი რელიგიისა და მრწამსის აღიარების უფლება და ასევე რელიგიური დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ასოციაციების შექმნის უფლება.

დეკლარაცია რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ

1981 წლის 25 ნოემბერი

გენერალური ასამბლეა,

მხედველობაში იღებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა იგნორირება და დარღვევა, კერძოდ ყოველგვარი აზრის, სინდისის, რელიგიისა თუ მრწამსის უფლებისა, პირდაპირ ან არაპირდაპირ ომებისა და კაცობრიობის მძიმე ტანჯვის მიზეზია, განსაკუთრებით, როცა ისინი სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის საშუალებაა და ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის სიძულვილის გაღვივებას იწვევს,

მხედველობაში იღებს, რომ რელიგია თუ მრწამსი თითოეულისათვის, ვინც მათ მისდევს, ცხოვრების გაგების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია და რომ რელიგიის თუ მრწამსის თავისუფლება სრულად უნდა დავიცვათ და უზრუნველვყოთ,

მნიშვნელოვნად მიიჩნევს ხელი შეუწყოს რელიგიისა და მრწამსის თავისუფლების საკითხებში გაგებას, შემწყნარებლობასა და პატივისცემას და მიაღწიოს იმას, რომ რელიგია თუ მრწამსი არ იქნეს გამოყენებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, სხვა შესაბამისი დოკუმენტებისა და ამ დეკლარაციის მიზნებთან და პრინციპებთან შეუთავსებელი დანიშნულებით,

დარწმუნებულია, რომ რელიგიისა თუ მრწამსის თავისუფლებამ ასევე ხელი უნდა შეუწყოს საყოველთაო მშვიდობის, სოციალური სამართლიანობისა და ხალხთა მეგობრობის მიზნების მიღწევას, კოლონიალიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის იდეოლოგიისა და პრაქტიკის ლიკვიდაციას,

კმაყოფილებით აღნიშნავს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა ეგიდით რამდენიმე კონვენციის მიღებას და ზოგიერთი კონვენციის ძალაში შესვლას,

შეშფოთებულია შეუწყნარებლობის გამოვლინებებითა და დისკრიმინაციით რელიგიისა თუ მრწამსის საკითხებში, ჯერ კიდევ რომ შეინიშნება მსოფლიოს ზოგიერთ რაიონში,

მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ასეთი შეუწყნარებლობის ყველა ფორმისა და გამოვლინების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის და თავიდან აიცილოს დისკრიმინაცია რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე და ებრძოლოს მას,

აცხადებს ამ დეკლარაციას რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ:

მუხლი 1

1. ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას ჰქონდეს ნებისმიერი რელიგია თუ მრწამსი საკუთარი არჩევანით და თავისუფლებას, აღიაროს თავისი რელიგია, გამოხატოს მრწამსი როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძო წესით, ასრულებდეს კულტს, რელიგიურ თუ რიტუალურ წეს-ჩვეულებებსა და მოძღვრებას.
2. არავინ არ უნდა განიცდიდეს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას იქონიოს რელიგია თუ მრწამსი საკუთარი არჩევანით.

3. რელიგიის აღმსარებლობის თუ მრწამსის გამოხატვის თავისუფლებას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

მუხლი 2

1. არავინ არ უნდა განიცდიდეს დისკრიმინაციას რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე ნებისმიერი სახელმწიფოს, დაწესებულების, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეულ პირთა მხრივ.
2. ამ დეკლარაციისათვის გამოთქმა " შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე" ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობას, დაფუძნებულს რელიგიასა თუ მრწამსზე, რომელსაც მიზნად აქვს ან შედეგად მოსდევს მოსპობა ან დამცირება თანასწორობის საფუძველზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარებისა, სარგებლობისა თუ განხორციელებისა.

მუხლი 3

რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე ადამიანთა დისკრიმინაცია ადამიანის პიროვნების ღირსების შეურაცხყოფა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების უარყოფა და დაიგმობა როგორც ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული და ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტებით დაწვრილებით ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა, და როგორც დაბრკოლება სახელმწიფოთა შორის მეგობრულ და სამშვიდობო ურთიერთობათა დამყარებაში.

მუხლი 4

1. ყველა სახელმწიფომ ეფექტური ზომები უნდა მიიღოს რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მოსასპობად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, განხორციელებისა და რეალიზაციისათვის სამოქალაქო, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

2. ყველა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობს მიიღოს და გააუქმოს კანონმდებლობა, როცა ეს აუცილებელია, ნებისმიერი მსგავსი დისკრიმინაციის ასაკრძალავად, აგრეთვე მოცემულ სფეროში რელიგიის ან სხვა მრწამსის საფუძველზე შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შესაბამისი ზომის მისაღებად.

მუხლი 5

1. მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, ბავშვის კანონიერ მეურვეებს უფლება აქვთ განსაზღვრონ ოჯახის ფარგლებში ცხოვრების ნესი თავიანთი რელიგიისა თუ მრწამსის შესაბამისად, აგრეთვე ზნეობრივი აღზრდიდან გამომდინარე, რომელიც, მათი აზრით, ბავშვმა უნდა მიიღოს.
2. ყველა ბავშვს აქვს რელიგიისა თუ მრწამსის სფეროში განათლების უფლება მისი მშობლების ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერი მეურვეების სურვილის თანახმად და არ დაიშვება რელიგიისა თუ მრწამსის სფეროში სწავლების იძულება მისი მშობლებისა თუ კანონიერი მეურვეების სურვილის წინააღმდეგ, ამასთან სახელმძღვანელო პრინციპია ბავშვის ინტერესები.
3. ბავშვი დაცულ უნდა იქნეს რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან. იგი უნდა იზრდებოდეს გაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის, სხვა ადამიანების რელიგიისა თუ მრწამსის თავისუფლებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე იმის სრული შეგნებით, რომ მისი ენერგია და უნარი სხვა ადამიანების კეთილდღეობის სამსახურს უნდა მიეძღვნას.
4. თუ ბავშვი არ არის გარემოსილი თავისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მზრუნველობით, მაშინ სათანადოდ მიიღება მხედველობაში მის მიერ გამოხატული ნება ან მისი ნების ყოველგვარი გამოვლინება რელიგიისა თუ მრწამსის საკითხებში, ამასთან სახელმძღვანელო პრინციპია ბავშვის ინტერესები.
5. რელიგიისა თუ მრწამსის პრაქტიკა, რომელშიც ბავშვი იზრდება, ზიანს არ უნდა აყენებდეს არც მის ფიზიკურ თუ გონებრივ ჯანმრთელობას, არც მის სრულ განვითარებას ამ დეკლარაციის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის დაცვით.

მუხლი 6

ამ დეკლარაციის 1-ლი მუხლის შესაბამისად და 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა დაცვით აზრის, სინდისის, რელიგიისა თუ მრწამსის თავისუფლების უფლება შეიცავს, კერძოდ, შემდეგ თავისუფლებებს:

ა) კულტის ასრულება ან რელიგიასა თუ მრწამსთან დაკავშირებული თავშეყრა და ამ მიზნით ადგილების შექმნა და შენახვა;

ბ) სათანადო საქველმოქმედო თუ ჰუმანიტარული დაწესებულებების შექმნა და შენახვა;

გ) რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა თუ მრწამსთან დაკავშირებული აუცილებელი საგნებისა და მასალების შესაბამისი მოცულობით წარმოება, შეძენა და გამოყენება;

დ) ამ სფეროებში შესაბამისი პუბლიკაციების წერა, გამოშვება და გავრცელება;

ე) რელიგიისა თუ მრწამსის საკითხების სწავლება ამ მიზნისათვის შესაფერ ადგილებში;

ვ) ცალკეულ პირთა და ორგანიზაციათაგან ნებაყოფილობითი ფინანსური და სხვა შეწირულების თხოვნა და მიღება;

ზ) შესაბამისი ხელმძღვანელების მომზადება, დანიშვნა, არჩევა ან მემკვიდრეობის უფლებით დანიშვნა ამა თუ იმ რელიგიისა თუ მრწამსის საჭიროების და ნორმების თანახმად;

თ) დასვენების დღეების დაცვა, დღესასწაულების აღნიშვნა და წეს-ჩვეულებების შესრულება რელიგიისა თუ მრწამსის განაწესის შესაბამისად;

ი) ცალკეულ პირებსა თუ თემებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კავშირის დამყარება და შენარჩუნება რელიგიისა თუ მრწამსის სფეროში.

მუხლი 7

ამ დეკლარაციით გამოცხადებული უფლებები და თავისუფლებები ეროვნულ კანონმდებლობაში იმგვარად აისახება, რომ ყოველ ადამიანს შეეძლოს ასეთი უფლებებითა და თავისუფლებებით პრაქტიკულად სარგებლობა. ...

8. ამონაკრები საქართველოს კანონმდებლობიდან

საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.
2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულიად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.
2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

"საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ

მიღებულია 2002 წლის 22 ოქტომბერი

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს მცხეთაში 2002 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმება "საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის".
2. "საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" კონ-

სტიტუციური შეთანხმების დებულებათა განხორციელების მიზნით საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა პარლამენტის კომიტეტებთან ერთად შეიმუშაოს და საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, კანონპროექტი "სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის კულტურული მემკვიდრეობის საკუთრების სფეროში უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ"

კონსტიტუციური შეთანხმება
საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

14 ოქტომბერი 2002 წ.

საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ;

საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. იგი მე-5 საუკუნიდან ავტოკეფალურია და მისი სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი და კათედრაა მცხეთა, საპატრიარქო კათედრებია, აგრეთვე, თბილისი და ბიჭვინთა;

- მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;
- საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;
- საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად,

საქართველოს სახელმწიფო (შემდგომში სახელმწიფო), წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტით და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (შემდგომში ეკლესია), წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქით, დებენ კონსტიტუციურ შეთანხმებას (შემდგომში შეთანხმება):

მუხლი 1

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.
2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.
3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმინდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით); ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათალიკოს-პატრიარქი.
5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.
6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

მუხლი 2

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია, არ გასცეს ინფორმაცია,

რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

მუხლი 3

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

მუხლი 4

1. სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან.
2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.
3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის დაცვის ერთობლივი პროგრამები.

მუხლი 5

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.
2. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.
3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

მუხლი 6

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
2. ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.
4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფილობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.
5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია — მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.
6. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

მუხლი 7

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.
2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

მუხლი 8

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).

2. ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთოეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმინდა ნაწილებისა და წმინდა რელიქვიების გარდა).

მუხლი 9

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.
2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.

მუხლი 10

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე , საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

მუხლი 11

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს, როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183; 12.04.90).
2. აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კო-

მისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს.

მუხლი 12

1. შეთანხმება შედგება წინამდებარე ტექსტისა და ტერმინთა განმარტებისაგან.
2. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმინდა სინოდის დამტკიცებით.
3. შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.
4. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმინდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე.

ტერმინთა განმარტება

1. სამოციქულო საყდარი — ეკლესია, რომელიც დაარსებულია ქრისტეს წმინდა მოციქულთა (ან მოციქულის) მიერ.
2. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია — საეკლესიო კანონიკური ნორმით არსებულ ადგილობრივ (ავტოკეფალურ) მართლმადიდებელ ეკლესიათა სულიერი ერთობა, რაც ხორციელდება (გამოხატულია) საეკლესიო საიდუმლოებების ურთიერთცნობით და ეკლესიის მეთაურთა მიერ წირვა-ლოცვის დროს ურთიერთმოხსენიებით.
3. ავტოკეფალია — ადგილობრივი ეკლესიის სრული თვითმმართველობა; მმართველი ორგანოების არჩევისა და დანიშვნის, ასევე საეკლესიო ცხოვრების წარმართვის (წმინდა მირონის კურთხევა, კანონიკური განჩინებების გამოცემა და სხვა) დამოუკიდებლობა.
4. საეკლესიო კრება — მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება მღვდელთმთავრებისაგან, სხვა სასულიერო პირთა დელეგატებისა და ერისკაცთა წარმომადგენლობისაგან.
5. წმინდა სინოდი — ადგილობრივი (საქართველოს) ეკლესიის მღვდელმთავართა კრება (კრებული), რომელიც იღებს ეკლესი-

ის მართვა-გამგეობის შესახებ გადაწყვეტილებებს. წმინდა სინოდს ხელმძღვანელობს ეკლესიის მეთაური (კათალიკოს-პატრიარქი).

6. კათალიკოს-პატრიარქი — წმინდა სინოდის (საქართველოს ეკლესიის მმართველი და საკანონმდებლო ორგანოს) თავმჯდომარე და საპატრიარქოს ხელმძღვანელი.

7. ქორეპისკოპოსი — კათალიკოს-პატრიარქის მოადგილე სასულიერო პირი, რომელიც განაგებს საეკლესიო ცხოვრების გარკვეულ სფეროს, ქორეპისკოპოსს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს კათალიკოს-პატრიარქი.

8. მდივანი- კათალიკოს-პატრიარქის თანაშემწე, რომელიც ასრულებს კათალიკოს-პატრიარქის უშუალო დავალებებს. მდივანთა რაოდენობას განსაზღვრავს კათალიკოს-პატრიარქი.

9. სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი — სადაც ტარდება ადგილობრივი გაფართოებული კრებები, იკურთხება წმინდა მირონი, ხდება კათალიკოს-პატრიარქის კურთხევა და ახლადარჩეული მღვდელმთავრების ხელდასმა; ამავე დროს იგი არის უძველესი და უპირველესი საპატრიარქო კათედრა.

10. საპატრიარქო კათედრა - უშუალოდ კათალიკოს-პატრიარქს დაქვემდებარებული ანუ სტავროპიგიალური ტერიტორია (ქალაქი), სადაც არის კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია და საპატრიარქოს ან მისი რომელიმე სტრუქტურის ადგილსამყოფელი.

11. საპატრიარქო - კათალიკოს-პატრიარქის ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით დადგენილ საეკლესიო განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ერთობლიობა.

12. საეკლესიო (კანონიკური) სამართალი — მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებისა და წესებისა ერთობლიობა (ეს გულისხმობს მოციქულთა კანონებს, მსოფლიო და ადგილობრივი კრებებისა და წმინდა მამების დადგენილებებს); ხოლო საქართველოს ეკლესიისათვის — ასევე ადგილობრივი ეკლესიის კრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საქართველოს ეკლესიის დღეს მოქმედი მართვა-გამგეობის წესდება (დებულება), საქართველოს საეკლესიო კრების, წმინდა სინოდის და კათალიკოს —პატრიარქის მიერ გამოცემული განჩინებები და სხვა (საეკლესიო) სამართლებრივი აქტები.

13. აღსარება და საეკლესიო საიდუმლოება- სინანულის საიდუმლო, დაწესებული თვით იესო ქრისტეს მიერ. იგია სულიერი განწმენდის მიზნით უფლის წინაშე მოძღვართან ნებაყოფილობითი აღიარება ცოდვისა, რომლის სხვასთან თქმის უფლება სასულიერო პირს არა აქვს.

14. საეკლესიო საიდუმლოება — ეკლესიის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15. სასულიერო პირი — მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური წესით ხელდასხმული (ნაკურთხი) პიროვნება (მონაზონი, დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი), რომელიც ამ მადლს ინარჩუნებს, თუ არ მოხდა მისი განკვეთა ეპისკოპოსის ან წმინდა სინოდის დადგენილებით.

16. სულიერი მოძღვარი — მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი, რომელიც ამა თუ იმ ადამიანისაგან იბარებს აღსარებას და წარმართავს მის სულიერ ცხოვრებას.

17. ჯვრისწერა — საეკლესიო საიდუმლოებათაგან ერთ-ერთი, რომლის აღსრულების შემდეგ, საეკლესიო სწავლებით, ახალდაქორწინებულთა ოჯახი ხდება კანონიერი.

18. ღვთისმეტყველება — საეკლესიო და სასულიერო- საგანმანათლებლო სწავლება ღმერთის შესახებ.

19. მონასტერი — ეპისკოპოსის კურთხევით დაარსებული ბერმონაზონთა სავანე, რომელიც ეპისკოპოსის მიერ დადგენილი ტიპიკონით (ცხოვრების წესი) ხელმძღვანელობს.

20. საეკლესიო საგანძური — საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების სიწმინდეები (ფერწერული, ჭედური, მინანქრის ხატი და ჯვარი; სანაწილე, პანაღია, ბარძიმ-ფეშხუმი, გარდამოხსნა), რომელთაც აქვთ ისტორიული მნიშვნელობა და მაღალმხატვრული ღირსება.

21. წმინდა ნაწილები- მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ მოწამეთა და მოღვაწეთა სხეულის ნაწილები.

22. წმინდა რელიქვია- მაცხოვრის, ღმრთისმშობლისა და წმიდანთა ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები და ნივთები.

23. საეკლესიო ნივთი — საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების საგნები.

24. ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგია — ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიაა შემდეგი სიტყვები: "საქართველოს

სამოციქულო"; "ავტოკეფალური"; "მართლმადიდებელი"; "კათალიკოს-პატრიარქი"; "წმიდა სინოდი".

25. საღვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქცია — ეკლესია —მონასტრები და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი (კათალიკოს-პატრიარქის ან მღვდელმთავრის რეზიდენციები, სასულიერო სასწავლებლები),- მათი პროექტირება, არქეოლოგია, მშენებლობა, რესტავრაცია-კონსერვაცია; საეკლესიო მხატვრობა; საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთები (ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, სანანილე, ოდიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანალოღია, შანდალი, ტაკუკი, ვარსკვლავი, საცეცხლური, სასაკმევლე, კიოტი, საეკლესიო ნახშირი, სკვნილი, კვერთხი, პანაღია, სუდარა, სანათლავი, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშვენისი, ნაკურთხი წყლის, ღვინის, მიწის, ზეთისა და მირონის ჭურჭელი); ხატი, ჯვარი, საეკლესიო სანთელი, საღვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინო, საკმეველი, საკანდელე ზეთი, წმინდა წყალი, სეფისკვერი (სარიტუალო პური); სასულიერო პირის შესამოსელი; მომლოცველობა; საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე ამ დანიშნულების ტელე-კინო-ვიდეო-აუდიო და რადიო პროდუქცია.

26. საღვთისმსახურო ქონება — ტაძრები, მონასტრები, საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი, წმინდა ნანილები, წმინდა რელიქვიები, საეკლესიო ნივთები.

27. ეკლესიის ოფიციალური სიმბოლიკა — მოცემულია ეკლესიის მართვა-გამგეობის წესდებაში;

28. დიდი საეკლესიო დღესასწაულები:

- წმინდა ნინოს ხსენების დღე (27 იანვარი);
- მირქმა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (15 თებერვალი);
- ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა (7 აპრილი);
- სააღდგომო დღეები - დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის კვირადღე (გარდამავალი);
- ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (გარდამავალია);
- საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის — წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე (12 მაისი);

- ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (19 აგვისტო);
- შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (21 სექტემბერი);
- მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა (27 სექტემბერი);
- ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (4 დეკემბერი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მიღებულია 1997 წლის 12 ივნისი

მუხლი 4

1. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას, აგრეთვე ცალკეული მოქალაქეების მიერ თავისი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვისას, სავალდებულოა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვა.

2. დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘ

მიღებულია 1999 წლის 22 ივლისი

მუხლი 142. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა

1. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოე-

ბრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 155. რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა

1. ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 156. დევნა

1. ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება:

ა) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 161. შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა

1. შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ან რამაც მასობრივი არეულობა, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 166. პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა

პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

მუხლი 252. უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა

1. ისეთი რელიგიური, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ, ანდა ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გაერთიანებაში მონაწილეობა,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მუხლი 407. გენოციდი

გენოციდი, ესე იგი ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობის განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს

მუხლი 1509. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები

1. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან:

ე. საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები და სხვა).

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

მიღებულია 1997 წლის 23 ივნისს

101 მუხლი გადასახადისგან გათავისუფლება:

1. დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი საქონლის მოწოდება, სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა, აგრეთვე იმპორტის შემდეგი სახეები:

   ფ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლების გამოიყენება მხოლოდ რელიგიის მიზნით; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო, საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები.

საქართველოს კანონი
სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ

მიღებულია 1997 წლის 17 სექტემბერი

მუხლი 30 — სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება

1. წვევამდელის სამხედრო სამსახურში გაწვევა გადავადდება, თუ:

   მ) არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში.

საქართველოს კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ

მიღებულია 1997 წლის 28 ოქტომბერი

ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შესაბამისად, ეს კანონი არეგულირებს საქართველოს მოქალაქეთა მიერ სამხედრო ვალდებულების არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფორმის მოხდასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 1 - კანონის მიზანი

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის საფუძველზე ეს კანონი განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიული შრომით სამსახურს, როგორც აზრის თავისუფლად გამოხატვის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლებასა და სამხედრო ვალდებულებას შორის გონივრულ და ჰუმანურ კომპრომისს.

მუხლი 3 - არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური

1. არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური არის საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახური, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს და ემყარება სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმის დასაბუთების სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე.

მუხლი 4 - არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გასანვევი მოქალაქე

არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში მშვიდობიან პერიოდში გაინვევენ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე.

საქართველოს კანონი
პატიმრობის შესახებ

მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს

მუხლი 26. მსჯავრდებულის უფლებები

1. მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) უზრუნველყოფილი იყოს:

ა. ა) საცხოვრებელი სადგომით, კვებით, ტანსაცმლითა და შრომის უსაფრთხოებით;

ა. ბ) სამედიცინო დახმარებით და მომსახურებით;

ა. გ) დამცველთან შეუზღუდავი შეხვედრით;

ა. დ) სატელეფონო საუბრებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციის კონტროლით, აგრეთვე მიმოწერით;

ა. ე) ბანდეროლების, ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება–გაგზავნით ადმინისტრაციის კონტროლით;

ბ) შეიტანოს საჩივარი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, მოსამსახურეთა, დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების უკანონო მოქმედებაზე;

გ) მიიღოს ზოგადი, პროფესიული ან უმაღლესი განათლება, გაიაროს სოციალური ადაპტაციის კურსები, გაეწიოს კონსულტაციები;

დ) მიიღოს მონაწილეობა კულტურულ-აღმზრდელობით ან რელიგიურ ღონისძიებაში, ისარგებლოს შესაბამისი ინვენტარითა და ლიტერატურით;

ე) ეწეოდეს ინდივიდუალურ საქმიანობას და ადმინისტრაციის კონტროლით იქონიოს ამისათვის საჭირო ხელსაწყოები;

ვ) მოსთხოვოს დაწესებულების ადმინისტრაციას ზომების მიღება მისი პირადი უსაფრთხოების დასაცავად.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს სასამართლოს, დეპარტამენტის, დამცველის ან პროკურორისათვის გაგზავნილი მსჯავრდებულის განცხადება.

საქართველოს კანონი
განათლების შესახებ

მიღებულია 1997 წლის 27 ივნისს

მუხლი 1. სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

ა) ქვეყანაში საგანმანათლებლო სივრცის ერთიანობა;

ბ) სწავლებისა და აღზრდის ჰუმანისტური ხასიათი;

გ) სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა;

დ) სულიერი და ფიზიკური აღზრდის ჰარმონიულობა;

ე) ზოგადსაკაცობრიო, ეროვნულ - კულტურულ ღირებულებათა და საგანმანათლებლო ტრადიციათა აღიარება და პატივისცემა;

ვ) განათლების მეცნიერული ხასიათი;

ზ) განათლების ეტაპობრიობა, უწყვეტობა და მემკვიდრეობითობა;

თ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა მრავალსახეობა და მათი ავტონომიურობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

ი) განათლების სისტემის დემოკრატიულობა;

კ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათაგან.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება
რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლინებათა შესახებ

მიღებულია 2001 წლის 30 მარტს.

საქართველოს პარლამენტი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად მიიჩნევს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, აგრეთვე სხვა რელიგიურ კონფესიებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას;

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და

რწმენის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიიჩნევს აღმსარებლობისა და რწმენის გამო ადამიანის დევნას;

საქართველოს პარლამენტი გამოხატავს უკიდურეს შეშფოთებას უკანასკნელ პერიოდში ახალწარმოქმნილი, ექსტრემისტული რელიგიური გაერთიანებების მხრიდან საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო, აგრესიული გამოხდომების გახშირებისა და სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების უფლებათა დარღვევის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობის გამო;

საქართველოს პარლამენტი მიესალმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის და ქვეყანაში არსებული ტრადიციული რელიგიური კონფესიების ერთობლივ განცხადებებს მშვიდობიანი თანაარსებობისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში თანამშრომლობის შესახებ;

საქართველოს პარლამენტი საკანონმდებლო საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად თვლის სახელმწიფოსა და სხვადასხვა რელიგიური კონფესიების ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებას;

საქართველოს პარლამენტი აღიარებს, რომ საქართველოს სხვადასხვა აღმსარებლობისა და რწმენის მოქალაქეთა გამაერთიანებელი ფაქტორი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრინციპი;

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა განუხრელად დაიცვან საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნები და აღკვეთონ რელიგიური ექსტრემიზმის ყოველგვარი გამოვლინება.
2. საქართველოს სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის ფაქტების გამოვლენას და საქართველოს მოქალაქეთა აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებათა დაცვას.
3. დაევალოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების, ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო სა-

ზოგადოების მშენებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებს, მოამზადონ შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებები სხვადასხვა რელიგიური კონფესიების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მიზნით.

4. დაევალოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტს, სისტემატურად წარუდგინოს პარლამენტს ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

9. გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი;
2. 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპის ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ კონვენციის №1 დამატებითი ოქმი, 1952 წლის 20 მარტი;
3. 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი;
4. 1966 წლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტი;
5. ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989 წ.;
6. დეკლარაცია რელიგიისა და მრწამსის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ, 1981 წლის 25 ნოემბერი.
7. Recommendation 1178 (1992) on sects and new religious movements - PA of EC;
8. Recommendation 1202 (1993) on religious tolerance in a democratic society-PA of EC;
9. Recommendation 1396 (1999), Religion and Democracy - PA of EC;
10. Recommendation on freedom of religion in education - Committe of Experts of the International Religious Liberty Association;
11. Recommendation 1556 (2002)–Religion and change in central and eastern Europe - The Parliamentary Assembly of Council of Europe;
12. Итоговый документ Венской встречи 1989 –принципи 16 и 17;
13. ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მოკლე მეგზური; დ. გომიენი; თბილისი 2002 წ
14. „აღმსარებლობის თავისუფლება ეუთოს წევრ ქვეყნებში" – თავისუფლების ინსტიტუტი 2002;
15. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული კვლევა ეკლესიის საკუთრების რესტიტუციის შესახებ; მრგვალი მაგიდა თემაზე: „რელიგიის თავისუფლება და რელიგიური ორგანიზაციები", 2002 წლის 2 ივლისი;

16. Cases and Matterials on the ECHR. A. Mowbray. Butterworths. 2001;
17. European Human Rights Law. M. Janis, R. Kay, A. Bradley;
18. "Finding common ground"-A first amendment guide to religion and public education - The freedom forum first amendment center at Vanderbilt University 1994;
19. Home office research study №221 "Tackling religious discrimination: practical implications for policy-makers and legislators"-Home office research ,development and statistics directorate, February 2001.
20. Human Rights; Lous Henkin, Gerald L.Neuman, Diane F Orentlicher, David W. Leebron; University casebook series, New york 1999.
21. International Human Rights in Context. Henry J. Steiner and Philip Alston. Claredon Press. Oxford. 1996;
22. International Human Rights in Nutshell. T. Burgenthal. West Publishing co. 1995;
23. Law of The European Convention on Human Rights. D.J. Harris, M. O. Boyle, C. Warbrick. Butterworths, 1995;
24. Liberal Rights; Jeremy Waldron; Cambridge University Press 2001;
25. Study of discrimination in the matter of religious rights and practices, №60; Krishnaswami;
26. Study of the current dimensions of the problems of intolerance and of discrimination on grounds of religion or belief, №26; Odio Benito;
27. The Human Rights Committe-General Coment №22\48;
28. Theory and Practice of The European Convention on Human Rights. P. Van Dijk, G. J.H. van Hoof. Klumer Law International, 1998;
29. U.N Covenant on Civil and Political Rights, CCPR commentary; Manfred Nowak; N.P. Engel Publisher;
30. Universal Human Rights in theory and practice, 1999;
31. 1. Свобода религии или убеждений-закони влияющие на структуризацию религиозных общин-Обзорная конференция ОБСЕ –сентябр 1999-справочный документ БДИПЧ 1999\4.